პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 293 (12 664) 13 დეკემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


## აბსოლუტური თანაფარდობა და სასურველი მეტოქე

**მთავარი მატჩები რუსთავსა და თბილისში**

საქართველოს ჩემპიონატი. ტურის წინათქმა » 2



## ბუმბერაზი კლასიკოსები

**დღეს: მფრინავი ბარსა და დაცემული რეალი**

**რამოსის საფიქრალი: როგორ შევაჩეროთ მესი?**



## ასათიანი: აღარც დინამო, აღარც ლოკომოტივი?

» 3



## ბარსელონამ ქართველი დაიტოვა

**გიორგი ჭანტურიას ბედი სამ დღეში გადაწყდა**

» 5



FIFA World Player 2008

## აქაც კრისტიანო?

ფიფამ ჩამოთვალა იმ 5 ფეხბურთელის კანდიდატურა, რომელთაგან ერთ-ერთს წლის საუკეთესო მობურთალად დაასახელებს. სიას სათავეში უდგას კრისტიანო რონალდო, რომელმაც ეს-ესაა „ფრანს ფუტბოლის“ პრესტიჟული „ოქროს ბურთი“ მოიგო. დანარჩენ ოთხ პრეტენდენტს შორის არიან ლიონელ მესი, ჩავი ერნანდესი, კაკა და ფერნანდო ტორესი. გამარჯვებული 12 იანვარს, ციურიხის „ოპერა ჰაუსში“ გამოვლინდება.



## იუვე–მილანი კაკას გარეშე?

მსოფლიო ფეხბურთი » 6-10

# საქართველოს XX ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## XV ტურის წინ

**13.12. რუსთავი, ფოლადი. 14:00**
**ოლიმპი – დინამო** Live

არბიტრი: გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია;
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი
დისკვალიფიკაცია: გიორგი ფეიქრიშვილი (ოლიმპი)

**13.12. გორი, ქართლი. 14:00**
**სპარტაკი – მგლები**

არბიტრი: ო. ხეცაძე
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ბ. ჭიჭინაძე;
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი
დისკვალიფიკაცია: ვლადიმერ ჯოჯუა, ვლადიმერ ლიპარტია, მწვრთნელი (ორივე მგლები)

**13.12. თბილისი, ამერი. 14:00**
**გაგრა – ბორჯომი**

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე;
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
დისკვალიფიკაცია: არავინ

**14.12. თბილისი, მ. მესხი 14:00**
**ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია** Live

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა
დისკვალიფიკაცია: ლევან ცქიტიშვილი (ლოკომოტივი)

**14.12. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი 14:00**
**მესხეთი – სიონი**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: ა. კოკაია, ს. სპიცინი;
მეოთხე მსაჯი: მ. ურუშაძე
დისკვალიფიკაცია: მინდია ბობლიაშვილი, არჩილ ალავიძე (ორივე სიონი), ლევან თედიაშვილი (მესხეთი)

...სამი ტურიც და, მართლაც სუსხიან ჩემპიონატში თვენახევრიანი შესვენება დაიწყება. ჰოდა, ყველა დავისვენებთ: ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც, მსაჯებიც... და თითზე ჩამოსათვლელი ქომაგებიც. დღენიადაგ იმას მივტირით, რომ სტადიონები, ფაქტობრივად, ცარიელია და ახლა, დეკემბრის სუსხიან დღეებში, რატომღა უნდა ველოდოთ გულშემატკივართა რაოდენობის გაზრდას? არადა, XV ტურში ხუთივე შეხვედრას უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა აქვს; თუმცა ორი მაინც გამორჩეული მატჩია: „ოლიმპი"-"დინამო" და „ლოკომოტივი"-"ვიტ ჯორჯია". ჰო, ერთ ტურში ერთდროულად ორი ცენტრალური და პრინციპული შეხვედრით განებივრებული არა ვართ და, რაღა თქმა უნდა, წინათქმას სწორედ ამ მატჩებზე ავაგებთ.

# აბსოლუტური თანაფარდობა



რატი ალექსიძე

გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს მიმდინარე ჩემპიონატში ერთადერთი წაგება აქვს და „ვეტერინარებმა" ეს მარცხი პირველ წრეში... „ლოკომოტივისგან" იწვნიეს. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩამდე „ვიტ ჯორჯიაც" და „ლოკომოტივიც" უდანაკარგოდ მიდიოდნენ და შესაბამისად, ცხრილის სათავეშიც ეს ორი გუნდი იმყოფებოდა. მოკლედ, პირველი წრის ერთ-ერთ გამორჩეულ შეხვედრად მივიჩნიეთ და ვრცელ წინათქმასთან ერთად მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაც შემოგთავაზეთ. მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ნამეტნავად მცირე უპირატესობა ჰქონდა „ვიტ ჯორჯიას", მაგრამ იმ შეხვედრის მერე... თითქმის აბსოლუტური თანაფარდობა მივიღეთ! ციფრებზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით იმ დრამატულ შეხვედრაზეც ვთქვათ, სადაც ანგარიში ნომინალურმა მასპინძლებმა გახსნეს - გოლი იმ დროს ჩინებულ ფორმაში მყოფმა **ჯაბა ლიპარტიამ** გაიტანა. პირველი ტაიმიც **რამაზ მუმლაძის** გუნდის უპირატესობით წარიმართა და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ შესვენების მერე სიტუაცია რადიკალურად შეიცვლებოდა. „ლოკომოტივმა" კი მართლაც შეუძლებელი შეძლო და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, უკანასკნელ წუთზე კი გამარჯვებაც შეძლო. ორივე გოლი იმ დროს ასევე ჩინებულად მოასპარეზე **რატი ალექსიძემ** გაიტანა, ვინც სამართლიანად ვცანით კიდეც ტურის საუკეთესო ფეხბურთელად. ამის მერე ორივე გუნდმა გარკვეულ ეტაპზე, კვლავაც უდანაკარგოდ გააგრძელა ასპარეზობა; თუმცა ნოემბრიდან „ვიტ ჯორჯიასა" და „ლოკომოტივის" შედეგები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა და ასე გრძელდება დღემდეც! ჰო, „ვეტერინარები" ჩვეული სტაბილურობით და მიზანდასახულობით აგრძელებენ ლიდერობას; მაშინ, როცა **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** „ლოკომოტივმა" ჩემპიონატში ზედიზედ ხუთი (!) მატჩი წააგო და ლიდერთა სამეულსაც ჩამოშორდა. რა თქმა უნდა, „ლოკომოტივის" ახალგაზრდა მწვრთნელებს უამრავი საკადრო პრობლემა ჰქონდათ, მაგრამ ქულათა დანაკარგი მაინც სოლიდურად მიგვაჩნია. და ისევ პირველი წრის მატჩზე: უკანასკნელ სამ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯია" მუდამ ამარცხებდა „ლოკომოტივს"; ამ დროის განმავლობაში კი „ვეტერინართა" მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძე იყო (ახლაც არის და, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება); ჰოდა, ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მწვრთნელმა პირველად წააგო „ლოკომოტ[illegible]ვთან"! ახლა კი „დანაპირები" ციფრები [illegible]ა მართლაც იშვიათი თანაფარდობა: მეტოქეებს დღემდე 11-11 მოგება აქვთ, 10 მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო ბურთების სხვაობაში მინიმალური უპირატესობა „ვიტ ჯორჯიას" მხარეს არის - 30-28.

ამ შეხვედრას კიდევ ერთ ინტრიგას... ძმების დაპირისპირებაც [illegible]ატებს: **გიორგი ლომაიას**, ალბათ, ჩვენგან არ ესწავლება, რომ სტუმართა „სტანდარტულების" დროს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო **დავით ლომაია** იქნება...

# სასურველი მეტოქე

სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერისა და ბოლო დროს ნარუმატებლად მოასპარეზე მეტოქის დაპირისპირება ხვალ გველოდება; აი, დღეს კი, არანაკლებ საინტერესო და პრინციპული მატჩია რუსთავში: აშკარად „მოფერიანებული" და ალმავლობის გზაზე მდგარი „ოლიმპი" ასევე ფორმააკრეფილ „დინამოს" უნდა შეხვდეს! მალე ორი თვე გახდება, ოლიმპმა" ბოლოს რომ წააგო - მას მერე კი გუნდი ისეთ თამაშს და, რაც მთავარია, შედეგს უჩვენებს, სეზონის დაწყების წინ რომ ვვარაუდობდით. რა თქმა უნდა, გუნდის უამრავ ახალწვეულს ერთმანეთში შესათამაშებლად გარკვეული დროც სჭირდებოდა; თუმცა ნუ დავივიწყებთ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორსაც - ახალი მწვრთნელის, **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით „ოლიმპი" ჩინებულად ათამაშდა და ეს ყველაფერი სატურნირო ცხრილსაც „დაეტყო".

არანაკლები წინსვლა აქვს მოქმედ ჩემპიონსაც: 5 ოქტომბერს „ზესტაფონთან" წაგების მერე **რაინერ ცობელის** გუნდმა 11-მატჩიანი წაუგებელი სერია „გამოაცხო" (ყველა ფრონტზე), თანაც ჩემპიონატში უკანასკნელ ხუთ შეხვედრაში გაიმარჯვა! რა თქმა უნდა, აქაც დროის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: გერმანელმა მწვრთნელმა ოპტიმალურ შემადგენლობასაც მიაგნო და საერთოდაც, აქაურობასთან ადაპტაციაც არ გასჭირვებია. ცობელი ხშირად ცვლის საკუთარი გუნდის ტაქტიკურ განლაგებას; აი, თუნდაც დღევანდელ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრა გავიხსენოთ, სადაც „დინამოს" მწვრთნელმა პირველად გამოიყენა 4-3-2-1. აი, დღეს როგორ ტაქტიკას აირჩევს, ძნელი სათქმელია; მით უმეტეს, რომ „დინამოს" ერთობ სერიოზული დანაკლისი აქვს - ტრავმის გამო რუსთავში ვერ ითამაშებს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **მათე ვაწაძე**. ნიჭიერმა და ახალგაზრდა ფორვარდმა პირველი წრის შეხვედრაში მოხდენილი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში, თუმცა მერე არანაკლებ ეფექტური გოლი გაიტანა **გიორგი გაბიდაურმაც** - „ოლიმპის" საყრდენმა ნახევარმცველმა საჯარიმოდან ზუსტი და ლამაზი დარტყმით „დინამოს" მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ეს ყველაფერი მატჩის მეორე ტაიმში მოხდა და თითქმის შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო; არადა, ყოველივე ეს უდიდესი უსამართლობა იქნებოდა - „დინამოს" ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ „ოლიმპის" მეკარე **მირზა მერლანი** ჩინებულად თამაშობდა. და მაინც, მოქმედმა ჩემპიონმა შეძლო თამაშის მინურულს გამარჯვების გოლის გატანა - შეცვლაზე შემოსულმა **დონალდ ჯიუსმა** მშვენივრად შეირგო **გიორგი მერებაშვილის** ზუსტი პასი. სხვათა შორის, წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მერებაშვილი პირველ გოლშიც ასისტენტის როლში მოგვევლინა და საერთოდაც, იმ დღეს ორივე გუნდის შემადგენლობაში უდავოდ გამორჩეული იყო. მოკლედ, „ოლიმპს" დღეს რევანშის საშუალება ეძლევა, თანაც, მეტოქისგან განსხვავებით, აშკარად დასვენებული ხვდება პრინციპულ მატჩს: ვარლამ კილასონიას გუნდმა უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრა 30 ნოემბერს ჩაატარა, მაშინ როცა „დინამომ" ამის მერე ჯერ სუპერთასზე „იომა" „ზესტაფონთან", შემდეგ კი არანაკლები მძიმე მატჩი ჰქონდა „ლოკომოტივთან".

„ოლიმპი" უმაღლეს ლიგაში 2006 წლს გამოჩნდა და დღემდე „დინამოსთან" [illegible]უთი მატჩი აქვს ჩატარებული, საიდანაც ერთი მოიგო, სამი წააგო და ერთხელაც ფრედ ითამაშა. რა თქმა უნდა, „ოლიმპს" საერთო არაფერი აქვს „გორდასთან" ან „მეტალურგთან" - ერთ დროს რუსთავის სიამაყესთან და ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეულ გუნდთან. ჰო, ჯერ „გორდა" ერქვა, მერე „მეტალურგი", შემდეგ ისევ - „გორდა", ბოლოს „რუსთავი"; მოკლედ, იცვლებოდა სახელწოდებები, მაგრამ არ იცვლებოდა „დამოკიდებულება"... თბილისის „დინამოს" მიმართ. ჰო, შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ არა გვგონია, ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს მსგავსი უპირატესობა რომელიმე მეტოქესთან ჰქონდეს. თანაც, გეხსომებათ და ვისაც არა, შევახსენებთ, რომ „გორდა" აუტსაიდერთა რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა.

ამის მიუხედავად, პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული, „დინამოს" რუსთავში... თამაში არ წაუგია! საერთოდაც, უმაღლეს ლიგაში რუსთავის სახელით მოასპარეზე ყველა გუნდთან „დინამოს", შთამბეჭდავზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი ბალანსი აქვს: 23 გამარჯვება, 5 ფრე და 2 წაგება (ბურთების სხვაობა 74-24). მეოთხე ეროვნულ ჩემპიონატში კი (1992-93 წლების სეზონში) სულაც არასაფეხბურთო ანგარიშით დაამარცხა მეტოქე - 12:4. საინტერესოა, რომ იმ შეხვედრაში 3-3 გოლი გაიტანეს **გელა ინალიშვილმა** და **გიორგი ქინქლაძემ**, დანარჩენი ექვსი კი ძმები **არველაძეების** ანგარიშზე გახლდათ: **რეზომ** ოთხი გაიტანა, **შოთამ** და **არჩილმ** - თითო-თითო...

მოკლედ, მეტად საინტერესო ორი დაპირისპირება გველოდება; თანაც, ნუ გამოვრიცხავთ, რომ „ოლიმპი"-"დინამოსა" და „ლოკომოტივი"-"ვიტ ჯორჯიას" შეხვედრების შედეგებმა სატურნირო ცხრილშიც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს...

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დინამო-ოლიმპი 2:1. პირველ წრეში დინამოს ჯუისის გოლმა მოაგებინა

**ბომბარდირები**



| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 5 |

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 3 | 1 | 25-8 | 30 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 15 | 4 | 3 | 0 | 11-4 | 15 |
| 2. დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 28-11 | 28 | 5 | 1 | 0 | 18-5 | 16 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 12 |
| 3. ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14-7 | 24 | 5 | 0 | 2 | 9-3 | 15 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 9 |
| 4. ლოკომოტივი | 12 | 6 | 0 | 6 | 16-14 | 18 | 3 | 0 | 3 | 5-4 | 9 | 3 | 0 | 3 | 11-10 | 9 |
| 5. ოლიმპი | 12 | 4 | 6 | 2 | 12-7 | 18 | 2 | 4 | 0 | 6-1 | 10 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 6. სიონი | 13 | 4 | 6 | 3 | 13-10 | 18 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 | 3 | 3 | 1 | 6-2 | 12 |
| 7. მესხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-17 | 16 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 2 | 6 | 15-16 | 17 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 12 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 9. გაგრა | 13 | 3 | 2 | 8 | 10-23 | 11 | 3 | 2 | 2 | 8-9 | 11 | 0 | 0 | 6 | 2-14 | 0 |
| 10. ბორჯომი | 13 | 2 | 5 | 6 | 14-27 | 11 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 | 1 | 2 | 4 | 8-19 | 5 |
| 11. სპარტაკი | 12 | 1 | 0 | 11 | 6-25 | 3 | 0 | 0 | 6 | 3-15 | 0 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე [illegible]აატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი [illegible] ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

ინტერვიუ დავით ლომაიასთან

# ჩვენს სახეს არ დავკარგავთ

**ამ ტურში ორი მთავარი მატჩი გვაქვს. ერთ-ერთში - ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ სტუმრად თბილისის „ლოკომოტივს“ ეთამაშება. ვიტელებს მიმდინარე ჩემპიონატში ოდენ ერთი წაგება აქვთ და ისიც... „ლოკომოტივითან“. მოკლედ, პირველადგილოსნებს რევანშის სურვილი ღრღნით, ლოკომოტიველებს კი ბოლო დროს ჩემპიონატში აღარ მისდით საქმე კარგად და ერთი ხმაურიანი გამარჯვება გუნდს ძალიან გამოადგებოდა - როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დავით ლომაია „ვიტ ჯორჯიის“ ცენტრალური მცველია, საიმედო და სტაბილური, გუნდის ერთ-ერთი წარმმართველი მოთამაშე. მას „ლოკომოტივთან“ ხვალინდელ მატჩზე და სხვაზეც ვესაუბრეთ...**

- თქმა არ უნდა, ძნელი თამაში გველის, „ლოკომოტივი“ კარგი გუნდია, გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ჩემპიონატში მხოლოდ მასთან დავმარცხდით. ბუნებრივია, რევანშის აღებას ვეცდებით.

**- დისკვალიფიკაციის გამო „ლოკომოტივს“ არ ეყოლება გუნდის ლიდერი ლევან ცქიტიშვილი, რაც, ალბათ, არც თუ პატარა უპირატესობას აძლევს „ვიტ ჯორჯიას“...**

- დიახ, ცქიტიშვილის სახით „ლოკომოტივს“ დიდი ძალა დააკლდება. მხოლოდ გამოცდილებაში არ არის საქმე, ცქიტიშვილი გუნდის წამყვანი ფეხბურთელია...

**- პირველ წრეში „ლოკომოტივთან“ გორში 1:2 რომ წააგეთ, ამას რას დააბრალებდი? დრო რომ გადის, უფრო ადვილია სწორი ანალიზის გაკეთება...**

- იმ თამაშს ვიგებდით, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლოს ორი გოლი გავუშვით, რაც იმის ბრალია, რომ კონცენტრაცია ვერ შევინარჩუნეთ, მატჩის მიწურულს თითქოს ყურადღება გაგვეფანტა. იმედია, კვირას ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდება.

**- „ლოკომოტივს“ თავდასხმაში რატი ალექსიძე ჰყავს, პირველ ტურში სწორედ მან გაუტანა ორივე გოლი „ვიტ ჯორჯიას“...**

- ალექსიძე ისეთი ფორვარდია, ერთი წამითაც თუ მოსცილდი, არ გაპატიებს. „ლოკომოტივთან“ პირველი ტურის მატჩშიც მცველები წამით მოვდუნდით და დავისაჯეთ.

**- გამოდის, რომ „ვიტ ჯორჯიის“ უმთავრესი ნაკლი ისაა, კონცენტრაციას ბოლომდე რომ ვერ ინარჩუნებთ?**

- „ლოკომოტივთან“ კონცენტრაცია რომ დავკარგეთ და 1:2 წავაგეთ, ეს გუნდის ნაკლად არ უნდა ჩაითვალოს. ადამიანი ხარ და ხანდახან შეცდომა მოგდის. „ვიტ ჯორჯია“ მთელი 90 წუთი იბრძვის, არა ერთხელ მოგვიგია თამაში ბოლო წუთებზე... ჩვენი გუნდი ფიზიკურად მართლაც ძალიან კარგადაა მომზადებული, რაც პირველ რიგში ჩვენი მწვრთნელის, რამაზ მუმლაძის დამსახურებაა.

**- „ლოკომოტივთან“ საკვირაო დაპირისპირებაში ფავორიტად „ვიტ ჯორჯია“ მიგაჩნიათ?**

- ჩემი აზრით, შანსები თანაბარია.

**- „ლოკომოტივს“ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ გუნდური თამაში უფრო კარგად თქვენ გამოგდით...**

- ასეა, მეტოქეს გუნდური თამაშით ვჯობდით, მაგრამ „ლოკომოტივმა“ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია რთული მდგომარეობიდან გამოსვლა. თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაშიც ასე გააკეთა ბოლნისის „სიონთან“.

**- „ვიტ ჯორჯიის“ უახლესი მდევარი „დინამოა“. ალბათ, ზურგსუკან კარგად გრძნობთ რაინერ ცობელის გუნდის სუნთქვას...**

- „დინამოსთან“ სხვაობა ორი ქულაა, არც „ზესტაფონია“ შორს. პატარა წაფორხილება და მდევრები ამას არ გვაპატიებენ. ეს მართლაც იგრძნობა. თუმც ამ ტურში „დინამოსაც“ საკმაოდ რთული თამაში ელის რუსთავში.

**- როგორც უნდა იყოს, ამ მომენტში „ვიტ ჯორჯიის“ მთავარი კონკურენტი „დინამოა“ და რას იტყოდით ზოგადად ამ დაპირისპირებაზე?**

- „დინამოს“ ჰქონდა პატარა ჩავარდნა, ჩვენ კი პირველ ადგილზე ისე ვართ, რომ მსგავსი ჩავარდნა არ გვქონია. ერთსაც ვიტყოდი - „ვიტ ჯორჯია“ მებრძოლი გუნდია და თავის სახეს არ დაკარგავს.

**- მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ დამარცხდით. ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდათ თამაში - „ლოკომოტივთან“ თუ სხვა მეტოქესთან?**

- მიჭირს ამ ნიშნით რომელიმე მოწინააღმდეგის გამოყოფა. წინა ტურში აუტსაიდერ ცხინვალის „სპარტაკს“ 2:0 კი მოვუგეთ, მაგრამ მასთან თამაში მართლა გაგვიჭირდა. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ შეიძლებოდა, წაგვეგო კიდეც.

**- ეს კითხვა არაერთხელ დაგვისვამს ვიტჯორჯიელებისთვის, მაგრამ ვერც ახლა ავუვლით გვერდს - არის თუ არა კლუბის ხელმძღვანელობისგან ჩემპიონობის კატეგორიული მოთხოვნა?**

- მოთხოვნა უცვლელია: სამეულში მოხვედრა, თუმც ახლა მეორე ფრონტზეც სერიოზულ ბრძოლას ვაპირებთ - „ვიტ ჯორჯიას“ საქართველოს თასი ჯერ არ მოუგია და ძალიან გვინდა, ეს ტრადიცია დავარღვიოთ.

**დავით თავართქილაძე**



ლეგიონი



## ასათიანი და ლოკომოტივი ვარიანტებს ელიან

მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს **მალხაზ ასათიანი** მოსკოვის „ლოკომოტივმა“ კიევის „დინამოში“ გაანათხოვრა. საქართველოს ნაკრების მცველს საიჯარო ხელშეკრულების ვადა უკვე ამოეწურა. შესაბამისად, ის კვლავ მოსკოვური კლუბის განკარგულებაშია.

გუშინ რუსულმა და უკრაინულმა ვებგვერდებმა ასათიანის თაობაზე მორიგი ინფორმაცია გაავრცელეს. როგორც ირკვევა, მალხაზი კიევიდან მოსკოვში ჩაფრინდა და საკუთარი მომავლის გასარკვევად რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტს შეხვდა. აღმოჩნდა, რომ ასათიანი ახალი კლუბის მოლოდინშია. ამას „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი **ნიკოლაი ნაუმოვიც** ადასტურებს:

*„დიახ, ასათიანი მოსკოვში ჩამოვიდა. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. ქართველს აშკარად ეტყობოდა, რომ წონაშიც დაიკლო და ძალებიც აღიდგინა. ჩვენ ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ 12 იანვრამდე მალხაზი შვებულებაში იქნება. როცა ის მოსკოვში დაბრუნდება, კიდევ დავილაპარაკებთ და მის მომავალს ერთად გადავწყვეტთ. შესაძლოა, კიევის „დინამომ“ ან სხვა რომელიმე კლუბმა მას წინადადება შესთავაზონ. ამ ეტაპისთვის, ასათიანის თაობაზე ჩვენთვის არც ერთ კლუბს არ მოუმართავს. თუმცა, ვფიქრობ, მას შეთავაზებები ექნება“.*

ნაუმოვის კომენტარიდან აშკარად ჩანს, რომ ასათიანთან ერთად „ლოკომოტივიც“ ელის, რომ ჩვენებური სხვა კლუბში გააგრძელებს კარიერას. ამ მომენტისთვის, მალხაზისთვის არც რკინიგზელები იკლავენ თავს და არც კიეველები. ვნახოთ, იქნებ 12 იანვრამდე რამე შეიცვალოს.

**დავით ცაბაძე**

## ხიზანიშვილი ძირითადს უბრუნდებაო...

ამ უქმეებზე **ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნი“ „ვიგანს“ ესტუმრება. „სპორტბოქსის“ ცნობით, თითქმის ერთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ **პოლ ინსის** გუნდს ქართველი მცველი უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ბოლოხანს ზურამ შეძლო სასტარტოში ადგილი მოპოვება, მაგრამ ნოემბერში საზარდულმა შეაწუხა და ზედიზედ სამი მატჩი გამოტოვა. *„ხიზანიშვილი მზად არის თამაშისთვის, სავარაუდოდ, ის სასტარტო შემადგენლობაში იქნება“* - იტყობინება „სპორტბოქსი“.

ვებგვერდი „ვაიტალ ფუტბოლი“ ინსის ხანმოკლე მოღვაწეობას აფასებს. „ბლექბერნის“ თავკაცის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნათა შორის ერთ-ერთი ხიზანიშვილის ხშირი უთამაშებლობაა.

*„კრისტოფ სამბამ და რაიან ნელსენმა ვერ აჩვენეს ისეთი ფეხბურთი, რომ ისინი ხანდახან სხვებმა არ ჩაანაცვლონ. ნელსენი ტრავმებმა უკან დასწია. ის ორი წლის წინანდელი ფორმისგან შორსაა და მიუხედავად ამისა, აშკარად უკეთ თამაშობს, ვიდრე სამბა. ოოიერი და ხიზანიშვილიც იმსახურებენ თამაშს. სხვა თუ არაფერი, ნელსენსა და სამბას დასვენება მაინც სჭირდებათ. საინტერესო იქნება დაცვის შუაში ოოიერი-ხიზანიშვილის დუეტის ხილვა“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მჭედლიძე: პირველად სასტარტოში?

კვირას „პალერმო“ სერია A-ს მატჩში „სიენას“ მასპინძლობს. ქართველ ფორვარდ **ლევან მჭედლიძეს** კარგი შანსი გაუჩნდა, კარიერაში პირველად „პალერმოს“ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდეს - გუნდის მთავარ ფორვარდ **ფაბრიციო მიკოლის** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. **დავიდე ბალარდინიმ** უკვე გადაწყვიტა, რომ სასტარტოში აუცილებლად იქნება **ედისონ კავანი**, მეორე ფორვარდის საკითხი კი ღიად რჩება. ყველაზე მეტი შანსი **დავიდე სუჩის** აქვს, თუმც უიმედოდ არც მჭედლიძე უნდა იყოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

კობა ჟორჟიკაშვილი

## მთავარი ჩამორჩენა ფეხბურთელის განვითარებაშია

### ვინც ვერ იცხოვრა ინგლისში, თამაშობს ბოლნისსა და დაღესტანში

**კობა ჟორჟიკაშვილი ის სპეციალისტია, ახალგაზრდულ ფეხბურთში, როგორც იტყვიან, ჭიპი რომ აქვს მოჭრილი. მას გაუწვრთნია საქართველოს სხვადასხვა ასკობრივი ნაკრები, მის ხელში გაუვლია არა ერთ ნიჭიერ ახალგაზრდას, უმუშავია უმაღლესი ლიგის გუნდებშიც... მოკლედ, საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. ჟორჟიკაშვილს ახალგაზრდული ფეხბურთის პრობლემებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. ვფიქრობთ, მასთან ინტერვიუში საყურადღებო ასპექტებს დაიჭერთ...**

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მალე ახალი მწვრთნელი ეყოლება. როგორ ფიქრობთ, ფედერაციამ მწვრთნელი იდეალურად რომ შეურჩიოს 21-წლამდელებს, ეს მნიშვნელოვნად შეცვლის საქმის არსს? ექნება გუნდს გაცილებით უკეთესი შედეგი?**

- შედეგი და საინტერესო ფეხბურთელის აღმოჩენა - მწვრთნელის საქმიანობა ამით უნდა შეფასდეს. მიმაჩნია, რომ მწვრთნელის შეცვლით შესაძლებელია საქმის გამოსწორება. ქართველი სპეციალისტის ხელფასზე ნაკლები ფული დაიხარჯება და, რაც მთავარია, რატომ უნდა მიიღოს ამ დონეზე გამოცდილება უცხოელმა მწვრთნელმა? არ ჯობია, ეს ჩვენებურმა სპეციალისტმა გააკეთოს?

» 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დავით გიგაური

# კუპერმა და გაგრამ მეორე შანსი მომცეს

დავით გიგაური საქართველოში ბევრს დაავიწყდა. გია გეგუჩაძისა და კახა ცხადაძის „დინამოში" ერთ-ერთი იმედისმომცემი მცველისთვის გასული სეზონი უილბლო გამოდგა - თბილისის „მერანში" სეზონი აშკარად ჩააგდო და ხაზი გადაუსვეს. თუმცა „ოლიმპსა" და „გაგრაში" მის ფასს კარგად ხედავდნენ. სეზონის წინ 22 წლის ფეხბურთელი რუსთავში წავიდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის იმედი არ ჰქონდა და ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე „გაგრაში" ჩაირიცხა. ექტორ კუპერის თანაშემწე ხოსე ფანტაგუცი „გაგრა"-„დინამოს" მატჩს გაფაციცებით ადევნებდა თვალს და მხოლოდ ერთი ფრაზა წარმოთქვა - ეს ბიჭი ორივე გუნდში გამორჩეული იყოო. ამის შემდეგ კუპერმა გიგაური სამივე „სამშაბათობაზე" მიიწვია.

**- დავით, ამ ტურში „გაგრას" ბორჯომთან" პრინციპული შეხვედრა ელის...**

- ამ თამაშზე ბევრადაა დამოკიდებული, რა მოხდება ჩემპიონატში. შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მატჩია და უნდა მოვიგოთ. „ბორჯომთან" პირველი შეხვედრაც უნდა მოგვეგო, მაგრამ ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ. უკვე მეხუთე წუთისთვის 0:2-ს ვაგებდით და დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც წავაგეთ.

**- „გაგრაში" გადასვლა აშკარად წაგადგა...**

- ჩემთვის მთავარი - „გაგრის" ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაა, რომელშიც ნდობა და სითბო იგრძნობა. „მერანის" მესვეურებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ იქ გუნდი ვერ აეწყო და მეც ცუდად ვთამაშობდი. წონამომატებული და ფორმიდან ამოვარდნილი ვიყავი. ახლა უკეთ ვარ მომზადებული, მაგრამ საკუთარ თავს გაცილებით მეტს ვთხოვ და ვგრძნობ, რომ ეს შემიძლია.

**- „მერანში" სეზონი რომ ჩააგდე, მიზეზი რა იყო?**

- მეც ვიცი, რომ ძალიან ცუდად ვთამაშობდი. პირადი პრობლემების გამო, მატჩზე კონცენტრაციას ვერ ვახერხებდი. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი მოგვარდა.

**- წონის პრობლემა სულ გქონდა...**

- ძვალმსხვილი ვარ და ამის გამო ჰგონიათ, თითქოს მუდამ ეს პრობლემა მაწუხებს. სინამდვილეში ასე არ არის. წონის პრობლემა რომ მაწუხებდეს, კუპერი ზედიზედ მესამედ არ მიმიწვევდა.

**- ამ სამი მიწვევის შემდეგ ერთხელ მაინც თუ ესაუბრე?**

- ერთმანეთში არ გვისაუბრია. ისე, ყველას აგვიხსნა, რას ითხოვს თითოეული ჩვენგანისგან - ტაქტიკურად უფრო გამართულ ფეხბურთს და მეტ მოძრაობას. ვერ ვიტყვი, რომ ტაქტიკური დავალება პირველად მოვისმინე, მაგრამ დახვეწა მჭირდება. ისე, ჩემთვის საამაყოა, ასეთმა მწვრთნელმა ყურადღება რომ მომაქცია. ახლა გუნდშიც გაცილებით მოტივირებული ვვარჯიშობ. თავის დროზე 17-წლამდელებშიც მითამაშია, 19-წლამდელებშიც და ახალგაზრდულშიც, მაგრამ „მერანში" ჩაგდებული სეზონის გამო, თითქმის ხაზი გადამისვეს. „გაგრის" ხელმძღვანელობამ კარიერაში მეორე შანსი მომცა და მინდა, ეს შანსი გამოვიყენო. კუპერის მიწვევით კი გაცილებით დიდი წინსვლის იმედი გამიჩნდა.

**- სხვათა შორის, როგორც შევიტყვეთ, გია გეგუჩაძეს სურს, რომ „ზესტაფონში" გადაგიყვანოს...**

- პირადად ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. საერთოდ, თუ ეს საკითხი გადაწყდება, მხოლოდ „გაგრის" ხელმძღვანელთა მონაწილეობით უნდა მოხდეს.

მერაბ მამულაშვილი

# მთავარი ჩამორჩენა ფეხბურთელის განვითარებაშია



«ვ ქართველებს რომ მწვრთნელობა შეუძლიათ, ეს თემურ ქეცბაიას მაგალითიდანაც ჩანს. აქაურებმა უფრო კარგად იციან ჩვენი ახალგაზრდების ხასიათი და მეტი ინფორმაციაც აქვთ ფეხბურთელებზე.

**- გასაგებია, მაგრამ მოედანზე მწვრთნელი ვერ გავა ფეხბურთის სათამაშოდ. ხედავთ იმ რესურსს, რომელსაც 21-წლამდელთა ახალი თავკაცი ისე გამოიყენებს, რომ შესარჩევ ჯგუფში საქართველო აუტსაიდერი აღარ იქნება?**

- ფეხბურთელის განვითარება - ამაშია ჩვენი მთავარი ჩამორჩენა. 2002 წელს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა. კრისტიანო რონალდო, რუნი, სენდეროსი, პოდოლსკი... იმ ტურნირზე ასეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ. ჩვენ და გერმანია ერთ ჯგუფში მოვხვდით და ტურნირის მეორე ეტაპზე გავედით, სადაც სენდეროსის შვეიცარიასთან 0:3 წავაგეთ. იმ შეხვედრაში ვერ ითამაშეს გოჩა ხოჯავამ, ლაშა და შოთა ჭელიძეებმა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო. სანდრო იაშვილი 4 გოლით ტურნირის ერთ-ერთი ბომბარდირი გახდა, ხოჯავა კი ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნიეს. დღეს რა ხდება? იაშვილი ბოლნისის „სიონის" ფეხბურთელია, ხოჯავა კი მახაჩყალის „ანჟიშია", და ეს იმიტომ, რომ საქართველოში არ არის ფეხბურთელის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, შესაბამისი დონის თამაშები, არ არიან მაღალი დონის მწვრთნელები.

**- 2002 წელს როგორღა მიაღწიეთ ასეთ შედეგს?**

- რაც უფრო დაბალია ასაკი, საქართველოს წარმატების მეტი შანსი აქვს, რადგან წინა პლანზე გამოდის ნიჭი, ხოლო რაც უფრო იზრდება ფეხბურთელი, კარგი ინფრასტრუქტურის პირობებში მოთამაშეები ლამის გეომეტრიული პროგრესიით იზრდებიან, ჩვენი ახალგაზრდები კი სათანადოდ ვერ იზრდებიან. ხოჯავას, იაშვილსა და ზაალ ელიავას ინგლისში რომ ეცხოვრათ, ახლა პრემიერლიგის ფეხბურთელები იქნებოდნენ.

**- ქინქლაძე, კალაძე, არველაძეები, ჯამარაული, კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი... ისინი არ გამოუზრდიათ კარგ პირობებში, მაგრამ მაინც ბევრს მიაღწიეს. ინფრასტრუქტურის გარდა, ალბათ, სხვა პრობლემასთანაც გვაქვს საქმე...**

- როცა ქინქლაძე ევროპაში გაიცნეს, თავის თაობაში ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ეს ჩემი აზრია. ქინქლაძე, ნიჭით, რაულსა და დელ პიეროზე მაღლა იდგა, დელ პიეროს ათი ცხოვრება არ ეყოფა იმისთვის, რომ ის გააკეთოს, რასაც ქინქლაძე აკეთებდა. ფეხბურთის განსაკუთრებული ნიჭი ჩვენში ნამდვილად არის. შევადაროთ ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა სხვა ქვეყნებისას, შევადაროთ ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ევროპულ პირობებს და შევადაროთ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა სხვა სახელმწიფოებისას... ახლა კი დავთვალოთ, რამდენ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია ევროპის წამყვან ლიგებში - ასეთი პროპორციის გათვალისწინებით, ცუდი შედეგი ნამდვილად არ გვაქვს, რაც პირველ რიგში ჩვენი საფეხბურთო ნიჭით არის განპირობებული. პრობლემაა განათლებული სპეციალისტებიც. ზოგმა ქართველმა მწვრთნელმა ახლა გაიგო ის, რაც ადრე უნდა სცოდნოდა. ბავშვებთან თუ ახალგაზრდებთან მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ყველა ამ პრობლემიდან გამომდინარე, არ გვყავს საკმარისი რაოდენობის კარგი ფეხბურთელი, ეროვნულ ნაკრებში თითოეულ პოზიციაზე 2-3 სრულფასოვანი მოთამაშე არ მოგვეპოვება.

**- ახალი თაობიდან ვის მიიჩნევთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად?**

- მჭედლიძესა და ყენიას... კიდევ ერთ-ორ ფეხბურთელს, რომელთაც ჯერ არ იცნობენ და მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ... შეიძლება, ეს ტვირთად დააწვეთ. ვინმე იცნობდა 16 წლის ქინქლაძეს? ის „მრეტებში" მე ავიყვანე, უფრო სწორად, ძალით ავაყვანინე. როცა „მრეტებში" ქინქლაძეზე ვუთხარი, მკითხეს - დათო მანუჩაშვილს აჯობებსო? ვუპასუხე - ჯერ ვერა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ნახავთ, რა ფეხბურთელიც დადგება-მეთქი. ქინქლაძე 19 წლის იყო, ფეხზე მყარად რომ დადგა და ყველას გააცნო თავი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდულ ფეხბურთში ძალიან ბევრი სათუთი ფაქტორია.

**- მოკლედ და კონკრეტულად: რა რეზიუმეს გაუკეთებდით დღევანდელ ვითარებას?**

- თუ შედეგი გვინდა, ფეხბურთელი უნდა გავზარდოთ, ან ვიყიდოთ. ნატურალიზებულ უცხოელს, რა თქმა უნდა, ჩვენებური გვირჩევნია. ამიტომ, ფული პირველ რიგში ინფრასტრუქტურასა და განვითარებას უნდა მოვახმაროთ. როცა ასეთი სისტემიდან გამოსული ფეხბურთელები გვეყოლება, მერე დასჭირდება ნაკრებს კარგი, ძვირადღირებული მწვრთნელი. შენება სახურავიდან არ უნდა დავიწყოთ.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

გიორგი განუგრავა

# შეიძლება, ჩემი თამაშის სტილი არ აკმაყოფილებთ

## საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელები გმირები არიან. განუგრავა ჰოკეის არ თამაშობს



სად დაიკარგა გიორგი განუგრავა? რატომ აღარ იწვევენ ახალგაზრდა ტალანტს ეროვნულ და ან თუნდაც ახალგაზრდულ ნაკრებში? როგორც ყოველთვის, ნიჭიერი ადამიანისთვის საქართველოში ცხოვრება რთულია. ასე მოუვიდა განუგრავასაც - ნიჭი უბედურებად ექცა. ეროვნულ ნაკრებში 17 წლისა ათამაშეს. 2007 წლის დეკემბერში ის ჩეხურ „მლადაში" (ბოლესლავი) გადავიდა და... დაიკარგა, თან ყველამ დაივიწყა. ახსნას ვერ ვპოულობთ. თითქოს ტაბუ დაედო მის თემას... ისე კი, კარგია, რომ მისით ექტორ კუპერი მაინც დაინტერესდა...

**- გიორგი, მოგვიყევი შენი ამბები. დიდი ხანია, ერთ დროს საქართველოს ეროვნული გუნდის ფეხბურთელ განუგრავაზე არაფერი გვსმენია...**

- საბედნიეროდ, ბოლოდროინდელი ავადმყოფობის შემდეგ გამოვჯანმრთელდი. ინტენსიური თამაშები გვქონდა, აქაურ რიტმთან შეგუება თავიდან გამიჭირდა და პატარა პრობლემებმა იჩინა თავი. ადაპტაციის რთული პერიოდი დასრულდა და მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი კარგადაა.

**- ასეთი რა გჭირდა?**

- აქ მგლური კანონებია, ერთ ჩავარდნასაც არ გაპატიებენ. „მლადა" „ბარსელონა" არ არის, მაგრამ გარწმუნებთ, საკმაოდ მაღალი დონეა. პირველი წრე მეორე ადგილზე დავასრულეთ და ფინანსურადაც წელში გამართულები ვართ, სპონსორების სიმცირეს არ განვიცდით. აქ ნამდვილი საფეხბურთო ატმოსფეროა. ჩეხეთში ცხოვრებაც ისეთია, მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქრო და აუცილებლად მოუმატებ. სხვათა შორის, წელს ძალიან ძლიერი ფეხბურთელები იყიდეს - ლუდოვიკ სილვესტრი, რომელიც სამი წლის წინ „ბარსელონაში" იყო, პაპადოპულოსი „ლევერკუზენიდან"... ასეთები სუსტ გუნდში არ მიდიან.

**- კარგია ძლიერ გუნდში ყოფნა, მაგრამ შენი უთამაშებლობა რას მივაწეროთ?**

- მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩემს პოზიციაზე ძალიან ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს - იან რაინოხი, რომელიც ჩეხეთის ნაკრებშიც უთამაშია. ის გუნდის კაპიტანია, ცენტრალური ნახევარმცველია სილვესტრიც. მართალია, მეც მქონდა გარკვეული პრობლემები, მაგრამ უთამაშებლობის მიზეზი ძირითადად ესაა. თუმცა, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ჩემი მომზადების დონით კმაყოფილი ვარ. დიდი იმედიც მაქვს, რომ გაურკვევლობას მალე წერტილს დავუსვამ. სხვა შემთხვევაში, კლუბს აუცილებლად შევიცვლი, თუ მივხვდი, რომ აქ ჩემი ადგილი არ არის. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ასე არ მიმაჩნია... არ ვიცი, შეიძლება ჩემი თამაშის სტილი არ აკმაყოფილებთ.

**- მწვრთნელთან თუ შეეცადე ამის გარკვევას?**

- მითხრა, კარგი ფეხბურთელი ხარ, მაგრამ აქაურ მოთხოვნებს რომ შეეჩვიო, დრო გჭირდებაო.

**- ფიზიკური მომზადების დონეს გულისხმობდა?**

- ეს პრობლემა არ არის. „მლადაში" ჩარიცხვიდან ექვს თვეში, ფიზიკური მომზადების მხრივ, გუნდში საუკეთესო ვიყავი. გამიმართლა, რომ ძლიერი ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობ. ჩვენი მწვრთნელი პაველ ჰაბა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. კარიერა მინდა ავაწყო და კლუბში საამისო პირობები ნამდვილად არის. მაგრამ ვფიქრობ იმაზეც, რომ უთამაშებელს პერსპექტივა არ მექნება. თუ თამაშებს მომცემენ, მაშინ ეს პერსპექტივაც გამოჩნდება. ჩეხეთის პირველობა ევროპელებს აინტერესებთ და ყველა ტურს სელექციონერები ესწრებიან, ასი თვალი გვაკვირდება... ახლა რაინოხის წასვლაზეა ლაპარაკი და შესაძლოა, ძირითადში მოხვედრის შანსი გამოჩნდეს. მის წასვლას ახალი წლიდან ველოდები.

**- ეროვნულ ნაკრებში გითამაშია, მაგრამ ახალგაზრდულშიც აღარ გიწვევენ. გეცოდინება, რა ხდება? რაღაც ჩახლართული ისტორია რომაა, ეს ვიცით...**

- შეიძლება, ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელმა ჩემი არსებობა არც იცოდა. მე კი მინდა ვთქვა, რომ ვარსებობ და დიდი იმედით ვცხოვრობ.

**- და მაიც, რა არის მიზეზი, რომ ნაკრებ გუნდებში აღარ გიწვევენ?**

- არ მინდა სხვა დავადანაშაულო და პრეტენზიებით ვილაპარაკო. ნაკრებში უმრავლესობა ჩემი მეგობარია და მე არ ვიტყვი - იმას რატომ იწვევენ და რატომ მე არა-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ნაკრებში ყველა დამსახურებულად თამაშობს. თუმცა ჩემი უდიდესი სურვილია, ეროვნულ გუნდში ვითამაშო. საფიქრალი მაქვს ჩემი ჯანმრთელობა და ოჯახი, შემდეგ კი საქართველოს ნაკრები. სულ იმ ბედნიერ წუთებს ვიხსენებ, როცა ნაკრების ფორმაში გამოწყობილი, ეროვნულ ჰიმნს ვისმენდი...

**- ჩეხეთში თავს კარგად გრძნობ?**

- ნორმალურად, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უცხოელი კონკურენტი არსად არავის სიამოვნებს. რამდენიმე შეხვედრა დუბლებში ჩავატარე. როცა უცხოელი, თანაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი დამინახეს, აგრესია ვიგრძენი. ტრავმას მოვერიდე და მწვრთნელს ვუთხარი - დუბლებში თამაშს აქ ვარჯიში მირჩევნია-მეთქი და ჰაბამ კარგად გამიგო. ჩეხეთში დუბლებში სათამაშოდ არ ჩავსულვარ, ძირითადში თამაში მჭირდება. ვგრძნობ, რომ ეს შემიძლია კიდეც, მოსამზადებელ ეტაპზე ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი და სულ სასტარტოში მათამაშებდნენ. კარგად ჩავატარე ოთხთა ტურნირიც, სადაც „მლადას" გარდა, „სლავია", „ბოჰემიანსი" და „ბრნო" მონაწილეობდნენ. ჩვენ პირველზე გავედით და როგორც მითხრეს, ურიგოდ არ მითამაშია. ავსტრიული შეკრების დროსაც ძირითადში მაყენებდნენ, ჩემპიონატის პირველ ორ ტურშიც ასე გაგრძელდა, მერე კი სათადარიგოებში გადამიყვანეს...

**- უცხოეთში უთამაშებელი ბევრი ქართველი ფეხბურთელი სავალალო მდგომარეობაშია, აქაურ დონეზეც ვეღარ არიან. ძლიერ კლუბში უთამაშებლობას საქართველოში დაბრუნება არ გირჩევნია?**

- ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ, რადგან „მლადას" ძირითადში აუცილებლად უნდა მოვხვდე. ვერ ვიხსენებ, რომ საქართველოში ასეთი მომზადებული ვყოფილიყავი. ჩეხეთში იმდენი განსხვავება ვნახე, საქართველოში ჩამოსვლა ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამიტომაც არ ვაპირებ დაბრუნებას, თორემ ზემოდან ნამდვილად არ ვუყურებ საქართველოს ჩემპიონატს. მეგობრებმა მითხრეს, წლევანდელივით დაძაბული ჩემპიონატი კარგა ხანია არ ყოფილაო. სამწუხარო ისაა, რომ ჩვენი ჩემპიონატით მაყურებელი აღარ ინტერესდება. ჩეხეთში თამაშებზე იმდენი ხალხი დადის, მკვდარ ჩემპიონატს გააცოცხლებ. ფეხბურთს განწყობით თამაშობ, განწყობას კი მაყურებელი გიქმნის. მიმაჩნია, რომ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელები გმირები არიან, მაყურებლის გარეშე რომ თამაშობენ.

**- ქართველ ფეხბურთელთა პრობლემებს შორის ერთ-ერთი მთავარი - დაბალი ტაქტიკური განათლებაა. ჩეხეთში ხომ არ წააწყდი ამ პრობლემას?**

- ესეც პრაქტიკიდან მოდის. ტაქტიკური სრულყოფისთვის ყოველდღიურად ვმუშაობ, თუმცა ამ კუთხით უცოდინრობას ვერ ვგრძნობ. თავიდან მე უფრო მაღალ ტემპთან შეჩვევა გამიჭირდა. ჩეხეთში ევროპულ ფეხბურთს თამაშობენ - სწრაფს, ერთი შეხებით და მგონი, ნელ-ნელა ავუბი მხარი. აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემი თამაშის სტილი შეიცვალა, ახლა შემტევი ნახევარმცველი უფრო ვარ, ვიდრე ტიპური ჩამშლელი.

**- საქართველო არ მოგენატრა?**

- მომენატრა, მაგრამ... ცხოვრება მიდის... „მლადას" ფეხბურთელებს ჰოკეი ძალიან უყვართ. გუნდმა სათამაშოდ დარბაზიც კი იქირავა, მაგრამ მე არ ვთამაშობ, ერთხელ კინაღამ ფეხი მოვიტეხე...

მერაბ მამულაშვილი

მწვრთნელი

# შეგრტი ოთხიდან ერთი კანდიდატია

## 25 დეკემბრამდე გადაწყდება

„ლელო“ 8 დეკემბერს წერდა, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ან უკვე ყოფილი თავკაცი **პეტარ შეგრტი** გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატია. მაშინ ეს ცნობა **ნოდარ ახალკაცმაც** დაგვიდასტურა. აქამდე, გერმანული ფეხბურთის ხელმძღვანელობასა და უცხოურ წყაროებს შეგრტი არ უხსენებიათ. **მათიას ზამერმა** „კიკერს“ 20 ნოემბერს აუწყა, რომ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად სამი კანდიდატურა განიხილებოდა: 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ჰაიკო ჰერლიხი**, „ბაზელის“ ტექნიკური დირექტორი **პიტერ კნაბელი** და „ჰამბურგში“ **ჰუუბ სტევენსის** ყოფილი თანაშემწე **მარკუს შუპი**. იქვე ზამერი განმარტავდა, რომ ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება და გერმანიის საფეხბურთო კავშირი საბოლოო გადაწყვეტილებას შობამდე მიიღებდა.

ზემოთ ხსენებულ სამეულს უკვე შეგრტიც დაემატა. ეს ინფორმაცია „კიკერმაც“ დაბეჭდა. backnanger kreiszeitung-ის ცნობით კი, გერმანული მხარე, რომელსაც **იოახიმ ლიოვი, ოლივერ ბირჰოფი, მათიას ზამერი** და **ჰანსი ფლიკი** წარმოადგენდნენ, შეგრტს მიუნხენში შეხვდა. იქვე აღნიშნულია, რომ ხორვატს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. შეგრტმა სწორედ ეს დეტალი ამცნო გერმანელებს.

გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცი ლიოვი კი msn-თან საუბარში აღნიშნავს, რომ შეგრტი ჯერ მოყვარულთა, ხოლო შემდეგ ახალგაზრდულ გუნდებს ხელმძღვანელობდა, ამას გარდა, ავსტრიაში, ბოხუმში, მანჰაიმსა და დუისბურგშიც საქმიანობდა.

კიდევ ორი წყარო: „ფოკუსთან“ და „შპორტბილდთან“ საუბარში ბირჰოფმა აღნიშნა, რომ 12 დეკემბერს კიდევ ერთხელ გაესაუბრებოდა ოთხივე კანდიდატს, რის შემდეგაც საფეხბურთო კავშირი საბოლოო გადაწყვეტილებას 25 დეკემბრამდე მიიღებდა.

**დავით ცაბაძე**

ახალი თაობა



# ბარსელონამ ქართველი დაიტოვა

## ჭანტურიას ბედი სამ დღეში გადაწყდა

გუშინ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა - „ბარსელონამ“, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, ქართველი ფეხბურთელის დატოვება გადაწყვიტა. საქმე ეხება საფეხბურთო სკოლა „საბურთალოსა“ და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ **გიორგი ჭანტურიას**. ის ბარსელონაში 4 დეკემბერს გაემგზავრა და თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით, სამკვირიანი სტაჟირება უნდა გაევლო.

15 წლის ფეხბურთელისთვის 3 დღე საკმარისი გამოდგა - გიორგიმ პირველივე საკონტროლო შეხვედრაში ერთი გოლი გაიტანა და ორი საგოლე გადაცემაც დაამატა. ამას გარდა, რამდენიმე პოზიციაზე ის დამაჯერებლად გამოიყურებოდა და მწვრთნელს თავი მოაწონა. მეორე მატჩი მან უფროსი ასაკის გუნდში ჩაატარა და კვლავ დამაჯერებლად ითამაშა. როგორც შევიტყვეთ, მისი დატოვება „ბარსას“ მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლას** ერთ-ერთ ასისტენტის მოთხოვნით გადაწყდა.

ეს ამბავი „საბურთალოს“ სკოლის გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ** გაგვიმხილა: *„ჭანტურია „ბარსელონაში“ მოეწონათ და გადაწყდა, რომ ამ იქ გააგრძელებს ვარჯიშს. რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია, ჩვენს სკოლაში, გიორგი დევდარიანის გაზრდილი ფეხბურთელი ესპანურ გრანდში რომ მოეწონათ. მას ახლა წინსვლის მშვენიერი შანსი გაუჩნდა. იმედია, გიორგი ამ შესანიშნავ შესაძლებლობას გამოიყენებს, ბევრს იშრომებს და დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული“.*

საინტერესოა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა „საბურთალოს“ ხმაურიანი პიარკამპანიისთვის არ გამოუყენია. ამას ჭუმბურიძე ბუნებრივად მიიჩნევს:

*„საბურთალო“ იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ საქართველოს ნაკრებს მომავალი თაობები გაუზარდოს. რა თქმა უნდა, „ბარსელონაში“ 15 წლის ბავშვის მოხვედრაც მოვლენაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ ჭანტურია ლეო მესის გვერდით ითამაშებს. ჩვენ ის გაგვიხარდება, მონდომებითა და შრომით დიდ „ბარსელონამდე“ თუ მიაღწევს“.*

ჭანტურია მალე თბილისში დაბრუნდება, საშობაო არდადეგებს სამშობლოში გაატარებს, 8 იანვარს კი ისევ ესპანეთში გაემგზავრება. ის პირველი ქართველი მოთამაშეა, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთის ამ გრანდში ჩარიცხვის პატივი ერგო. ჭანტურია საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრია. უნგრეთში გამართულ შესარჩევ ციკლში 2 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. ამასთან, 1991-92-წლიანების ჭაბუკთა ლიგაში, „საბურთალო - U16“-ის შემადგენლობაში, ტურნირის ბომბარდირია.

„საბურთალომ“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო. მაისში მისი პარტნიორი გახდა ცნობილი გერმანული კლუბი „მაგდებურგი“, რომელთანაც თანამშრომლობაზე ხელშეკრულება თბილისში, „ფოლკსვაგენის“ ცენტრში გაფორმდა. შეთანხმება რეალურ პარტნიორობაშიც გადაიზარდა.

*„იანვარში „საბურთალოს“ ხუთ საუკეთესო მოთამაშეს და გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს „მაგდებურგში“ ორთვიან სტაჟირებაზე გავუშვებთ. ეს თითოეულ მათგანს წაადგება, „საბურთალოსაც“ და, რაც მთავარია, ქართულ ფეხბურთს. იგივე ჭანტურია, იმედია, შანსს გამოიყენებს და ქვეყანას ასახელებს“ - გვითხრა ჭუმბურიძემ.*

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# 125 ათასი ევრო ადამიას სანაცვლოდ

## დემეტრაძე 600 ათასად ფასობს

ქართველი ფორვარდი **გიორგი ადამია** ბაქოს „ნეფთჩიში“ კარიერის გაგრძელებას რომ აღარ აპირებს, ამაზე უკვე ვწერდით. მკითხველმა ისიც იცის, რომ მისი გადაბირებით რუმინული „ოცელული“ დაინტერესდა, მაგრამ სავიზო პრობლემის გამო ადამია დღემდე ვერ ჩავიდა რუმინეთში. „ოცელულის“ გარდა, ადამიას დამატება აზერბაიჯანულ კლუბებს - „ოლიმპიკს“, „ყარაბახს“, „ბაქოსა“ და **კახა ცხადაძის** „სტანდარდს“ სურთ.

„დეიაზის“ მტკიცებით, ადამიას უფრო „ბაქოში“ უნდა ველოდოთ. საინტერესოა, რომ ვებგვერდი „აზერისპორტი“ ჩვენებურ ფორვარდს რუსეთში ან უკრაინაში გადასვლასაც უწინასწარმეტყველებს.

თუ სად გააგრძელებს კარიერას ადამია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ის კი გარკვეულია, რომ მის მომავალ კლუბს „ნეფთჩისთვის“ საკომპენსაციო თანხის გადახდა მოუწევს, რაკი ადამიას ბაქოელებთან ჯერაც კონტრაქტი აკავშირებს. „დეიაზისა“ და „აპას“ მტკიცებით, ადამიას სანაცვლოდ „ნეფთჩი“ 125 ათას ევროს ითხოვს.

რაკი სატრანსფერო ფასებზე ვსაუბრობთ, აქვე გამცნობთ, ამ თემით „აზერისპორტი“ საგანგებოდ დაინტერესდა. აზერბაიჯანის ჩემპიონატის გამორჩეულ ფეხბურთელთა ჩამონათვალში, ადამიას გარდა, კიდევ ერთი ქართველია - „ბაქოს“ თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძე**. ვებგვერდის მტკიცებით, მისი სატრანსფერო ფასი 600 ათასი ევროა.

**დავით ცაბაძე**

[illegible]



ანუკი არეშიძე და კახა კალაძე

# ქორწილი გაზაფხულზე?

რამდენიმე თვის წინ გაცხადდა, რომ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის **კახა კალაძის** საცოლე მოდელი **ანუკი არეშიძე** იყო. ანუკი სააგენტო „ელიტის“ მოდელია და მილანშიც ხშირად უწევდა მივლინებები. წყვილმა ერთმანეთი სწორედ მილანში გაიცნო. მერე ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. კახა და ანუკი ხშირად ჩნდებოდნენ ელიტურ წვეულებებზე იტალიასა და უკრაინაში.

ისინი ამ შემოდგომაზე აპირებდნენ დაქორწინებას, მაგრამ გადადეს. რატომ? „ლელოსთან“ საუბარში თავად კალაძემ აღნიშნა, რომ ქორწილს საქართველოში გეგმავდა, მაგრამ აგვისტოს მოვლენების გამო სხვა დროისთვის გადაიტანა.

სავარაუდოდ, კახასა და ანუკის ქორწილი გაზაფხულზე შედგება და, ალბათ, საქართველოში. მანამდე კი წყვილმა ხელი მოაწერა. იტალიური წყაროების მტკიცებით, ცერემონია მილანში, საიდუმლოდ შედგა, მკაცრად გასაიდუმლოებული იყო საღამოს წვეულებაც...

**დავით ცაბაძე**

მედიატურნირი

# მოედანზე არიან... ჟურნალისტები

ცნობილი ფეხბურთელი **კახი ასათიანი** გუშინ 62 წლისა გახდებოდა. სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა ერთობ საინტერესო ტურნირი მინი-ფეხბურთში, ოთხი ქართული სპორტული გაზეთის („ოლიმპი“, „11X11“, „სარბიელი“, „ლელო“) მონაწილეობით. ორგანიზატორი კი კახი ასათიანის სახელობის ფონდი (ხელმძღვანელი - **ვალერი ჩოლარია**) იყო. გათამაშების პრესტიჟულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ფინალურ მატჩს ფიფას არბიტრი, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მსაჯი **ანატოლი მილჩენკო** გაუძღვა.

ტურნირის რეგლამენტით ჯერ ნახევარფინალური მატჩები გაიმართა: „სარბიელმა“ შეხვედრის ბოლოსკენ შეძლო „11X11“-ის ახალგაზრდული გუნდის წინააღმდეგობის დაძლევა - 10:6. აი, მეორე ნახევარფინალის ძირითადმა დრომ კი გამარჯვებული ვერ გამოავლინა: „ოლიმპისა“ და „ლელოს“ დაძაბული შეხვედრა ფრედ (3:3) დასრულდა. არადა, **პაატა ძნელაძის** (დუბლი) და **კახა მგელაძის** გოლებით „ოლიმპი“ მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო, მაგრამ „ლელომ“ სამჯერვე შეძლო ანგარიშის გათანაბრება (**ლაშა წიკლაური, ზვიად შათირიშვილი, ვაჟა სიმონიშვილი**). დაინიშნა პენალტების სერია, სადაც ჩინებულად გაისარჯა „ლელოს“ მეკარე **ლევან ჯანეზაშვილი**, რომელმაც ორი პენალტი აიღო!



ფინალის წინ. ლელო (მარცხნივ) და სარბიელი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დრამატულ მატჩში წაგებამ ერთობ მტკივნეულად იმოქმედა „ოლიმპის“ მოთამაშე-მწვრთნელ **ალეკო კაკაურიძეზე** და, საერთოდ, მთლიანად გუნდზეც - მესამე ადგილისთვის მატჩში „11X11“ აშკარად უკეთ გამოიყურებოდა მეტოქეზე და დამსახურებულადაც მოიგო (4:3). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს: **მიხეილ ხორბალაძემ** (3) და **გიორგი გრძელიშვილმა**, დამარცხებულთაგან - პაატა ძნელაძემ, **გიორგი არაბულმა** და კახა მგელაძემ.

და აი, ფინალიც. თუმცა ქომაგთა სამწუხაროდ, ბრძოლა არ შედგა: „სარბიელმა“ პირველი წუთებიდანვე ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მოიპოვა და საბოლოოდ - 14:3 გაიმარჯვა. მათ-ვე (**გიორგი ვაშაკიძე, კახა შალამბერიძე, გიორგი დარჯანია, ილია ნანობაშვილი, ნუკრი ლოლაძე, ოთარ მხეიძე, ზურაბ მიგრიაული**) გადაეცათ მთავარი პრიზი. მიგრიაულს და მხეიძეს ინდივიდუალური პრიზებიც ერგოთ - შესაბამისად, საუკეთესო ფეხბურთელისა და საუკეთესო ბომბარდირის. დაჯილდოვდნენ თავიანთ გუნდებში გამორჩეულებიც: კახა მგელაძე („ოლიმპი“), გიორგი გრძელიშვილი (11X11) და ზვიად შათირიშვილი („ლელო“). ისე, მართლაც, სასურველი იქნებოდა, **ვლადიმერ გუცაევის** გარდა, ტურნირს სხვა ცნობილი ფეხბურთელები თუ მწვრთნელებიც დასწრებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, იმ ხალხს „საქმეში“ ნახავდნენ, ხშირ შემთხვევაში, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს... ფეხბურთს რომ ასწავლიან!..

**გია ტუხაშვილი**

*P.S. სურვილი დავიტოვოთ, რომ მომავალ ტურნირზე სპორტული გაზეთების საფეხბურთო გუნდებში მხოლოდ იმავე გაზეთის მოქმედმა ჟურნალისტებმა (გნებავთ, ტექნიკურმა მუშაკებმა) ითამაშონ. თორემ „ლელოსაც“ შეეძლო განაცხადში ყოფილი თანამშრომლის... ჯემალ ჭიპაშვილის შეყვანა. ვინც არ იცის, ვიტყვით, რომ თავის დროზე იგი ერთობ იმედისმომცემ მეკარედ ითვლებოდა. ალბათ, ფინალშიც გაიხსენებდა ახალგაზრდობას და, მერე კი, ვინ იცის...*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლიგა BBVA. XV ტურის წინ




# რამოსის საზრუნავი მესის შეჩერებაა

## სუპერკლასიკოსთვის ყველაფერი მზადაა

| დღეს | |
|---|---|
| ვალენსია-ესპანიოლი | 23:00 |
| ბარსელონა-რეალი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ხეტაფე-მალიორკა | 20:00 |
| რეკრეატივო-ოსასუნა | 20:00 |
| ვალიადოლიდი-დეპორტივო | 20:00 |
| მალაგა-ნუმანსია | 20:00 |
| ალმერია-რასინგი | 20:00 |
| ბილბაო-სპორტინგი | 20:00 |
| სევილია-ვილიარეალი | 22:00 |
| ატლეტიკო-ბეტისი | 00:00 |

სუპერკლასიკო იმდენად დიდი მოვლენაა, რომ პრიმერა დივიზიონის მორიგი ტურის წინასამატჩო მიმოხილვას განსხვავებული ფორმატით შემოგთავაზებთ. გადავწყვიტეთ, სუპერკლასიკოს წინ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციები გაგაცნოთ. ნაწილი მათგანი უშუალოდ ტაქტიკასა და ამა თუ იმ გუნდის საკადრო პრობლემებს არ ეხება, მაგრამ ამჯერად გვეპატიება, ეს ხომ სუპერკლასიკოა. საუბარს ესპანეთის პრემიერ-მინისტრის **ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს** პროგნოზით დავიწყებთ.

### საპატეროს პროგნოზი: 5:1

პრემიერ-მინისტრი, „რეალს" დასცინის და შიშობს, „ბარსამ" უფრო მეტი გოლის გატანით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს

ესპანური საზოგადოება მთავრობის თავმჯდომარის, სენიორ საპატეროს პროგნოზებს დიდი ხანია მიეჩვია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრემიერ-მინისტრი „ბარსელონის" ერთგული გულშემატკივარია. სხვათა შორის, ესპანური ფეხბურთის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქვეყნის მმართველი კატალონიურ გრანდს უჭერს მხარს. მოკლედ, საპატერო ბარსელონისტია და ამას არასოდეს მალავს. შესაძლოა, ოდნავ უცნაური და უჩვეულო იყოს, მაგრამ მთავრობის ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი მატჩების წინ პროგნოზების კეთება უყვარს. სხვათა შორის, მას არაერთი შედეგი გამოუცნია. მაგალითად, 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ საპატერომ საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერით განაცხადა, ჩვენი ბიჭები „არსენალს" 2:1-ს მოუგებენო. მან ისიც დაამატა, ანგარიშს ინგლისელები გახსნიან, მაგრამ არ შეგეშინდეთ, „ბარსელონა" ჰანდიკაპსაც ამოქაჩავს და გამარჯვების ბურთსაც შეაგდებსო. საპატერო ყველას არწმუნებდა, რომ ჩემპიონთა თასს აუცილებლად „ბარსა" მოიპოვებდა. მისი პროგნოზი მაშინ 100 პროცენტით გამართლდა... თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ „ბარსელონის" თავგადაკლული გულშემატკივარი პრემიერ-მინისტრის პროგნოზი ამჯერადაც გამართლდეს. საქმე ის არის, რომ როდრიგეს საპატერო **პეპ გვარდიოლას** ბიჭების დიდი ანგარიშით გამარჯვებას წინასწარმეტყველებს. მისი აზრით, „ბარსა" 5:1-ს მოიგებს. ბატონმა ხოსე ლუისმა სუპერკლასიკოსთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს გვერდი ვერ აუარა და ჟურნალისტებთან დღევანდელ მატჩზე გულწრფელად ისაუბრა: *„როგორც „ბარსას" ერთგული და რიგითი ინჩასი, ჩემი გუნდისგან შთამბეჭდავ გამარჯვებას ველი. ვიცი, საზოგადოება ჩემს პროგნოზებს მიეჩვია. გულს არც ახლა დაგწყვეტთ და მოგახსენებთ, რომ „ბარსელონის" დიდი ანგარიშით, 5:1 გამარჯვებას ველი. რა თქმა უნდა, სარისკო პროგნოზია, რადგან „რეალი" ისეთი დასუსტებულია, შესაძლოა, „კამპ ნოუზე" გოლის გატანა გაუჭირდეს. გვარდიოლას ბიჭებს კი ნესით პრობლემები არ უნდა შეექმნათ. ყველა ვხედავთ, რომ სამეფო კლუბს დაცვაში უმწვავესი პრობლემები აქვს. დარწმუნებული ვარ, სეგუნდა და ტერსერა დივიზიონის გუნდების უმრავლესობას უფრო ორგანიზებული და გამართული დაცვა ჰყავთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გული მიგრძნობს, რომ „ბარსელონა" იკერ კასილიასს ძალიან ბევრ გოლს გაუტანს. მეშინია, ხუთ ბურთზე მეტი არ შეაგდონ და სასაცილო მდგომარეობაში არ ჩამაყენონ. ხალხი რას იფიქრებს, საპატეროს ელემენტარული პროგნოზის გაკეთება არ შეუძლიაო."*

პრემიერ-მინისტრის იუმორისტულმა განცხადებამ ესპანურ საზოგადოებაში არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა. მას ჟურნალისტების ერთი ნაწილი თავს დაესხა და მიკერძოებაში დასდო ბრალი. ამ ჟურნალისტების თქმით, საპატერო ყველას პრემიერია და რომელიმე ერთი გუნდის მისამართით სიმპათიას ღიად არ უნდა გამოხატავდეს. ამ მოსაზრებაში, რა თქმა უნდა, არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ხსენებულ ჟურნალისტებს რატომღაც დაავიწყდათ, რომ წლების განმავლობაში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იყო. **ფრანკოს** დიქტატორულ რეჟიმზე არაფერს ვამბობთ. მაშინ მადრიდი „ბარსელონას" ისე ექცეოდა, როგორც თბილისის „დინამოს" საბჭოთა კავშირის დროს რუსები ექცეოდნენ. მთავრობა სამეფო კლუბისადმი დაუფარავ სიმპათიას ესპანეთში დემოკრატიის დამყარების შემდეგაც გამოხატავდა. მაგალითად, ყველასთვის უსაყვარლესი პრემიერ-მინისტრი **ფელიპე გონსალესი** არ მალავდა, რომ „რეალს" უჭერდა მხარს. კიდევ ერთი პრემიერ-მინისტრი **ხოსე მარია ასნარი** კი სულაც სამეფო კლუბის სოსიოა და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს. ამ ყველაფრის შემდეგ საპატეროს განცხადებით ჟურნალისტთა ერთი ფრთის აღშფოთება ძნელად მისახვედრი სულაც არ არის. საქმე ისაა, რომ ისინიც „რეალის" თავგადაკლული ფანები არიან და ღიზიანდებიან, როცა საჯარო მოხელე მათ საძულველ გუნდს დაუფარავად უჭერს მხარს.

სუპერკლასიკოს წინ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ გუნდები უპრინციპულეს დაპირისპირებას რაც შეიძლება ნაკლები ტრავმითა და დისკვალიფიკაციით შეხვდნენ. წელს „რეალს" ამ თვალსაზრისით ფატალურად არ უმართლებს. პრიმერა დივიზიონის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ მადრიდულ გრანდს მიმდინარე სეზონში უამრავი პრობლემა შეექმნა. ტური ისე არ ჩაივლის, სამეფო კლუბს რომელიმე ფეხბურთელი არ გამოაკლდეს. გულშემატკივრებს ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ, რომ **ვესლი სნეიდერი** დროულად გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ ესპანეთიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდიელი ნახევარმცველი ისევ ფეხს იტკიებს და მისი თამაში ფაქტობრივად გამორიცხულია. ხშირად ხდება, როცა გუნდების მესვეურები დეზინფორმაციას მიზნობრივად ავრცელებენ. მათ მოწინააღმდეგისთვის თავგზის აბნევა უნდათ ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ სნეიდერს სრული დატვირთვით არ უვარჯიშია, გუშინ ის ძირითადი ბირთვისგან განცალკევებით ემზადებოდა. ჰოლანდიელს ფიზიკური მომზადების ორი სპეციალისტი და სამი ექიმი აკვირდებოდა. დიდი სიფრთხილის მიუხედავად, ვესლიმ მსუბუქი ვარჯიშის გართულების გარეშე დასრულება ვერ შეძლო. ძუნძულისას მან ტკივილი იგრძნო და მუშაობა შეწყვიტა. სამეფო კლუბის სამედიცინო შტაბმა იმავე საღამოს ინფორმაცია გაავრცელა, ვესლი სნეიდერი „ბარსელონის" წინააღმდეგ ვერ იასპარეზებსო. **ხუანდე რამოსს** იმდენად სერიოზული პრობლემები აქვს, რომ იძულებული გახდა, ასეთი მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ სათადარიგო გუნდიდან გამოუცდელი მოთამაშეები **ჩემა ანტონი, ალბერტო ბუენო, მიგელ პალანსა** და **გორკა ხოსე უნდა** გამოეძახებინა. სენიორ რამოსმა ოთხი ახალგაზრდა ძირითადი გუნდის ფეხბურთელებთან **რაულთან, ვან დერ ვაარტთან, გუტისთან, გაგოსთან, დრენტესთან, კანავაროსთან, მიჩელ სალგადოსთან, რობენთან, სერხიო რამოსთან, სავიოლასთან, მეტცელდერთან, მარსელოსთან, იგუაინთან, დუდეკთან, კოდინასა** და **კასილიასთან** ერთად ავარჯიშა. შემადგენლობას დაკვირვებით თუ გადაავლეთ თვალი, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ხუანდე რამოსს მართლაც ძალიან ბევრი პრობლემა აქვს.

### ვინ გააჩერებს მესის?

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იმაზე ვსაუბრობდით, რომ ხუანდე რამოსი **მესის** წინააღმდეგ **მიჩელ სალგადოს** დაყენებას აპირებს. მადრიდული გრანდის ვეტერანმა მცველმა გამოწვევა ვაჟკაცურად მიიღო და განაცხადა, თუ ამ დავალებას მომცემენ, თავს არ დავზოგავო. მიჩელ სალგადო ამტკიცებს, რომ ყველაფრისთვის მზად არის, მაგრამ ხუანდეს ეჭვები და შიში ღრნის. მთავარ მწვრთნელს ეშინია, არგენტინელმა ჯადოქარმა ასაკოვანი და ზანტი მცველი არ დაჩაგროს. ყველას კარგად ესმის, მესიმ მოედანზე თავი თავისუფლად რომ იგრძნოს, „რეალს" ეშაკიც ვერ უშველის. ამიტომ სენიორ რამოსი ალტერნატიულ ვარიანტებზე მუშაობს. მას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია მესის მართლა მიჩელ სალგადო დაუპირისპიროს, თუ ეს მისია **სერხიო რამოსს** დაავალოს. რამოსი ფლანგზე რომ გადაწიონ, ცენტრში შეიქმნება პრობლემა. გუშინ ნათქვამს დღესაც გავიმეორებთ, **სამუელ ეტოოს** გაუვნებელყოფას არანაკლები ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება.

ასეა თუ ისე, ხუანდე რამოსმა გადაწყვეტილება დღეს საღამომდე უნდა მიიღოს. მადრიდელთა თავკაცმა გუშინ სალგადოსა და სერხიო რამოსს მესის თამაშების ვიდეო კოლაჟი ანახა. მწვრთნელი და შეგირდები გენიალური არგენტინელის ილეთებს ერთობლივად სწავლობდნენ და მისი გაუვნებელყოფის საშუალებებს ეძებდნენ. მათი თქმით, რამდენიმე ხელჩასაჭიდი გარემოება დაადგინეს, მაგრამ თეორია ერთია, პრაქტიკა კი მეორე. ლეო რომ გაბრაზდეს, დედაქალაქელებს ვიდეო კოლაჟი და თეორიული მეცადინეობა ვერ უშველის.

### გვარდიოლა გამარჯვებაში დარწმუნებულია

კატალონიელთა ბანაკში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. რა თქმა უნდა, ისინიც მაქსიმალური სერიოზულობით ემზადებიან, მაგრამ **პეპ გვარდიოლა** რომელიმე ცალკეული ფეხბურთელის განეიტრალებაზე ფიქრით თავს არ იღლის. ამთავითვე ცნობილია, რომ გვარდიოლა პერსონალურ მეურვეს სტუმართა არც ერთ ფეხბურთელს არ მიუჩენს. სენიორ პეპს საკადრო პრობლემების თვალსაზრისითაც ნაკლები საფიქრალი აქვს, **ანდრეს ინიესტასა** და **გაბრიელ მილიტოს** სერიოზული ტრავმების შესახებ დიდი ხნის წინ შევიტყვეთ და იმავე დღეს გავიგეთ, რომ ეს ბიჭები სუპერკლასიკოში ვერ იასპარეზებდნენ. პარასკევის მონაცემებით კატალონიური გრანდის სხვა ვარსკვლავები მწყობრში არიან. მიკრო ტრავმა მხოლოდ **ალექსანდრ გლებს** აწუხებდა, მაგრამ ბელარუსს ფეხის ტკივილმა გაუარა და ექიმების ნებართვით სრული დატვირთვით ივარჯიშა. კაცმა რომ თქვას, გლები ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის და ტრავმა რომც ვერ მოეშუშებინა, მისი არყოფნა „ბარსას" დიდად არ დაეტყობოდა.

პარასკევის ვარჯიშზე გვარდიოლამ 21 ფეხბურთელს მოუყარა თავი. ბედის ირონიაა, რომ კატალონიის სასამართლომ სამუელ ეტოო ერთ-ერთ საქმეზე მოწმის სახით დასაკითხად მაინცდამაინც მაშინ დაიბარა, როცა ვარჯიში უნდა დაწყებულიყო. სასამართლოში მიუსვლელობა არ გამოვიდოდა. ამიტომ, გვარდიოლამ ვარჯიშის დაწყება მცირე ხნით გადადო, მაგრამ პროცესი საკმაოდ დიდ ხანს გაიწელა და პეპი იძულებული გახდა, ეტოოს აღარ დალოდებოდა. კამერუნელი ბაზაზე მხოლოდ ნაშუადღევს გამოჩნდა და ინდივიდუალურად ივარჯიშა. მიუხედავად ყველაფრისა, მოსალოდნელია, რომ გვარდიოლა მას ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. მასპინძელთა თავკაცს პრესკონფერენციაზე რა თქმა უნდა, არ დაუკონკრეტებია, მისი გუნდი რა ტაქტიკითა და განლაგებით იასპარეზებს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ წამყვანი მოთამაშეები თამაშის დაწყების წინ ჯანზე იქნებიან, ძირითად შემადგენლობაში ალბათ, იმავე ბიჭებს ვიხილავთ, რომლებმაც „ვალენსიას" წირვა გამოუყვანეს. მაშინ სამუელ ეტოოს არ უთამაშია, მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, ძირითადში იქნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ გვარდიოლა გლებს ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვამს, ანრის ფლანგზე გადაიყვანს, ეტოოს კი თავდასხმის ცენტრალურ ხაზს ჩააბარებს. გვარდიოლა დარწმუნებულია, რომ მისი ბიჭები შთამბეჭდავ გამარჯვებას მოიპოვებენ და გულშემატკივრებს წინასაშობაო საჩუქარს გაუკეთებენ: *„ჩვენგან ყველა გამარჯვებას ელოდება და ითხოვს. რა თქმა უნდა, სამი ქულის მოპოვება აბსოლუტური ამოცანაა. ყველა სხვა შედეგი წარუმატებლობად შეფასდება. „რეალი" მრავალი პრობლემის მიუხედავად ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან ხუმრობა არ შეიძლება, თუმცა ჩვენ ცირკის მასხარები არ ვართ, რომ ხუმრობისთვის მოვიცალოთ. საქმეს არნახული მონდომებითა და სერიოზულობით ვეკიდებით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ თამაშის მოგება შეგვიძლია, თანაც დამაჯერებლად და შთამბეჭდავი ანგარიშით. მთავარია, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვამჟღავნოთ და იღბალმა ზურგი არ შეგვაქციოს."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 14 | 11 | 2 | 1 | 44-9 | 35 |
| 2. ვილიარეალი | 14 | 8 | 5 | 1 | 26-18 | 29 |
| 3. ვალენსია | 14 | 8 | 3 | 3 | 28-18 | 27 |
| 4. სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 22-14 | 27 |
| 5. რეალი | 14 | 8 | 2 | 4 | 33-24 | 26 |
| 6. ატლეტიკო | 14 | 7 | 3 | 4 | 33-21 | 24 |
| 7. დეპორტივო | 14 | 7 | 3 | 4 | 16-14 | 24 |
| 8. ვალიადოლიდი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-20 | 20 |
| 9. ბეტისი | 14 | 5 | 3 | 6 | 21-19 | 18 |
| 10. ხეტაფე | 14 | 4 | 6 | 4 | 17-19 | 18 |
| 11. მალაგა | 14 | 5 | 3 | 6 | 21-25 | 18 |
| 12. სპორტინგი | 14 | 6 | 0 | 8 | 23-32 | 18 |
| 13. რასინგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16-20 | 16 |
| 14. ალმერია | 14 | 4 | 3 | 7 | 15-23 | 15 |
| 15. ნუმანსია | 14 | 4 | 2 | 8 | 17-28 | 14 |
| 16. ბილბაო | 14 | 3 | 4 | 7 | 16-24 | 13 |
| 17. მალიორკა | 14 | 3 | 4 | 7 | 16-25 | 13 |
| 18. ესპანიოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 11-20 | 13 |
| 19. რეკრეატივო | 14 | 2 | 4 | 8 | 9-22 | 10 |
| 20. ოსასუნა | 14 | 1 | 6 | 7 | 11-19 | 9 |

ფენერბაჰჩე

# ლუისს წყალი შეუდგა

## თურქები ზიკოს დაბრუნებას ითხოვენ

**ლუის არაგონესს** ისევ აგინებენ. ასაკოვანი სპეციალისტი ლანძღვასა და გინებას დიდი ხანია მიეჩვია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მოგებამ მისი პრესტიჟი იმდენად აამაღლა, რომ გამოცდილ სპეციალისტზე აუგს აღარავინ ამბობდა. მათ შორის ისინი, ვინც საკვალიფიკაციო რაუნდებისა და განვლილი დიდი ტურნირების განმავლობაში ლუისს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ. ერთი სიტყვით, ევრო 2008-ზე გამარჯვებამ მოხუცს დაფასება და სიმშვიდე მოუტანა, მაგრამ ახლა მას თურქი ჟურნალისტები და გულშემატკივრები გადაეკიდნენ. „ფენერბაჰჩეს" წარუმატებელი ასპარეზობის გამო არაგონესს ოპონენტები მოუმრავლდნენ. გუშინ თურქულ პრესაში ესპანელი სპეციალისტის წინააღმდეგ ერთმანეთზე უფრო მწვავე სტატიები დაიბეჭდა, საერთო სულისკვეთება ასეთია, სად გაქრა შარშანდელი „ფენერბაჰჩე"? კაცმა რომ თქვას, ეს კითხვა აბსოლუტურად ლეგიტიმურია. გასულ სეზონში „ფენერმა" ისეთ გრანდებს ძლია, როგორებიც „ინტერი" და „ჩელსი" არიან. პსვ-ზე, ცსკა-სა და „სევილიაზე" არაფერს ვამბობთ. წელს კი ლუის არაგონესმა ჩემპიონთა ლიგა ისე დაასრულა, რომ გულშემატკივრები ერთხელაც ვერ გაახარა. ამ ყველაფრის გამო, პირენეელ მწვრთნელს მასმედია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. ყველაზე ცუდი, ალბათ, ის არის, რომ ლუისი გულშემატკივრებმაც აითვალწუნეს. არადა, ზაფხულში მას აეროპორტში თითქმის 50 ათასი კაცი დახვდა. არაგონესმა მაშინ გულუბრყვილოდ იკითხა, რა ხდება, ევროპის ჩემპიონობა თურქეთმა ხომ არ მოიპოვაო. ნათქვამია, რომ სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაგონესი „ფენერბაჰჩეს" გულშემატკივრებისთვის საძულველი ადამიანია. საზოგადოება მის გადაყენებასა და **ზიკოს** დაბრუნებას ითხოვს. გასაკვირი არ არის, რომ წარუმატებლობებით ხელმძღვანელობაც უკმაყოფილოა. თურქი მიმომხილველები დარწმუნებული არიან, რომ სენიორ ლუისს მალე დაითხოვენ სამსახურიდან.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A XVI ტურის წინ

# იტალიური ფეხბურთის კლასიკა

## ყველაზე ტიტულოვანი გუნდების ჯახი



| დღეს | |
|---|---|
| ბოლონია-ტორინო | 21:00 |
| ნაპოლი-ლეჩე | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ფიორენტინა-კატანია | 18:00 |
| ჯენოა-ატალანტა | 18:00 |
| ინტერი-კიევო | 18:00 |
| პალერმო-სიენა | 18:00 |
| რეჯინა-სამპდორია | 18:00 |
| რომა-კალიარი | 18:00 |
| უდინეზე-ლაციო | 18:00 |
| იუვენტუსი- მილანი | 23:30 |

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ნელ-ნელა ეკვატორს უახლოვდება. ამ უქმეებზე მე-16 ტურის მატჩები გაიმართება, რომელთა შორის უდავოდ გამორჩეული „იუვენტუსი"-„მილანის" დაპირისპირებაა. იტალიის ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ჯახი მთელს ევროპაში უდიდეს ინტერესს იწვევს და ბუნებრივია, ყველაზე ვრცლად სწორედ ამ პაექრობაზე შევჩერდებით.

თითოეული თამაშის წინ „მილნის" სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა ყველაზე რთულად პროგნოზირებადია. ამის მიზეზი **კარლო ანჩელოტი** და მისი გაუთავებელი როტაციებია. კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან „მილანში" დღეს არაერთი ექსტრაკლასის ფეხბურთელია და თითოეულ მათგანს სათამაშო დრო სჭირდება. „იუვესთან" მატჩის წინ, სხვადასხვა გამოცემა სხვადასხვა შემადგენლობას წინასწარმეტყველებდა. ერთი ვერსიით, სათადარიგო იქნება **რონალდინიო**, ვინაც ტრავმა ჯერ სრულად ვერ მოიშუშა. თავდასხმაში **პატო** და **შევჩენკო** იმოქმედებენ, მათ უკან **კაკა** გაირჯება. თუმცა, სხვა ვერსია აქვს „გაძეტა დელო სპორტს" და ჩვენც უმჯობესია ავტორიტეტულ გამოცემას დავუჯეროთ. „გაძეტას" მტკიცებით, კარლეტო 4-3-2-1 ტაქტიკას აირჩევს და გამოკვეთილ ფორვარდად პატოს დააყენებს. მის უკან კაკა და რონალდინიო იმოქმედებენ (თუმცა გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციით, კაკა ვარჯიშზე დაშავდა და ხვალ მისი თამაში საეჭვოა). მართალია, გაუჩოს არცთუ სასურველ კონდიციას ეს წყაროც ადასტურებს, მაგრამ ბრაზილიელი, წესით, მაინც სასტარტოში უნდა ვიხილოთ. ერთი სიტყვით, „იუვენტუსს" მრისხანე ბრაზილიური ტრიო შეუტევს, რომელსაც ზურგს სამი შუახაზელი გაუმაგრებს. მარჯვნიდან **ფლამინი** იმოქმედებს, ცენტრში **პირლო** დადგება, მარცხნივ კი **ამბროზინი**. „მილანს" **გატუზოს** გარეშე უწევს თამაში, როგორც იცით, რინომ „კატანიასთან" პაექრობაში უმძიმესი ტრავმა მიიღო და ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოშორდა. სამაგიეროდ, განიკურნენ ამბროზინი და პირლო და წესით, სასტარტოშიც უნდა იასპარეზონ. დაცვის ცენტრში **მალდინისა** და **კახა კალაძის** დუეტი გაირჯება, ფლანგებზე კი **იანკულოვსკის** და **ძამბროტას** ვიხილავთ.

„მილანის" ბანაკში დიდი ჴამზადისია, ყველა ერთხმად თანხმდება, რომ „იუვესთან" ჯახს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბოლო დროს, შევჩენკომ თავი შეგვახსენა, სათასო პაექრობაში გოლიც გაიტანა და ჟურნალისტების ინტერესიც დაიმსახურა. ანდრეიმ „ვეკია სენიორასთან" დაპირისპირებაზე შემდეგი განაცხადა:

*„წინ დიდი მატჩია, სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. ერთმანეთის პირისპირ ხომ იტალიის ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი წარდგება. შეხვედრას ინტრიგას სატურნირო ცხრილში შექმნილი მდგომარეობაც მატებს, თამაში ფაქტობრივად ექვს ქულაზე გაიმართება. „იუვე" ძლიერი გუნდია, გამარჯვებულის მენტალიტეტით, მაგრამ ნაკლები არც ჩვენ ვართ. ვეცდებით, საკუთარი თამაში ვაჩვენოთ მეტოქეს და სამი ქულა ავიღოთ. „ინტერი" წინ გაიჭრა, თუმცა ამაში საგანგაშო არაფერია. ჩემპიონატი კიდევ დიდხანს გაგრძელდება და მდგომარეობის გამოსწორების საშუალება გვექნება. იმედი მაქვს, ამ პროცესებში ჩემს წვლილს შევიტან და გუნდს წარმატებების მიღწევაში დავეხმარები. იტალიის თასზე „ლაციოსთან" გატანილმა გოლმა დიდად გამახარა, ვგრძნობ, ფორმის პიკს ვუახლოვდები და მალე საკუთარ შესაძლებლობებს წარმოვაჩენ. ბოლოს, ორიოდე სიტყვით გატუზოს ტრავმას შევეხები, რომელმაც ყველას გული დაგვწყვიტა. რინო გუნდის ლიდერია და მისი არყოფნა ძალიან დაგვეტყობა. იმედია, ხშირად გვესტუმრება ბაზაზე და გაგვამხნევებს, მისი უბრალო გამოჩენაც კი ჩვენთვის დიდი სტიმული იქნება".*

მატჩისწინა კომენტარი კარლო ანჩელოტიმაც გააკეთა: *„რანიერიმ შესანიშნავი გუნდი გააკეთა, რომლის წინააღმდეგ თამაში ურთულესი საქმეა. ძირითადად „ინტერზე" და მის საჩემპიონო შანსებზე საუბრობენ, არადა, „ბებერი ქალბატონი" არანაკლებ ძალას წარმოადგენს, რაშიც ტურიდან ტურამდე ვრწმუნდები. ტურინელებს დაბალანსებული გუნდი ჰყავთ, რომელიც თანაბრად ძლიერია შეტევაში და დაცვაში თამაშისას. ეს ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების შერწყმის დამსახურებაა. „იუვე" უკანმოუხედავად არ შემოგვიტევს და პირველ რიგში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნებს. ჩვენც შესაბამის ტაქტიკას ავირჩევთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. შემადგენლობაზე ნურაფერს მკითხავთ, ჯერ ისიც არ ვიცი, რომელი ფეხბურთელია დაშავებული და რომელი ჯანმრთელი, ამ კუთხით სრული ქაოსი გვაქვს".*

იტალიელი ჟურნალისტები „მილანის" მთავარ პრობლემას სწორედ ტრავმირებულ მოთამაშეებში ხედავენ, კარლეტომ ისიც კი არ იცის, ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს.

იტალიური ფეხბურთის კლასიკა - ასე მოიხსენია „იუვენტუსის" მმართველმა დირექტორმა „იუვე"-"მილანის" დაპირისპირება. **ჯოვანი კობოლი ჯილი** პრესასთან საკმაოდ წრფელი იყო:

*„თუ „ინტერი"-"იუვენტუსის" მატჩს დიდი იტალიური დერბი ჰქვია, „როსონერისა" და „ბიანკონერის" პაექრობას შეგვიძლია იტალიური ფეხბურთის კლასიკა დავარქვათ. გუნდში საბრძოლო განწყობაა, გულშემატკივრები „მილანის" დამარცხებას მოითხოვენ და მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა ვილონოთ. მთავარია, ტიფოზებმა თავისი საქმე პირნათლად შეასრულონ და გუნდს გულმხურვალედ უქომაგონ. „ინტერი" ექვსი ქულით გაიჭრა წინ და მასთან ჩამორჩენის არავითარი სურვილი არ გვაქვს. ჩვენი ამოცანა სკუდეტოს მოპოვებაა და ბუნებრივია, თითოეულ შეხვედრაში მაქსიმუმისთვის ვიბრძვით. იმედია, „მილანთან" გუნდი მობილიზებული იქნება და არ გაგვაწბილებს".*

კლაუდიო რანიერი, სავარაუდოდ, 4-4-2-ზე შეაჩერებს არჩევანს და თავდასხმაში ნაცად დუეტს დააყენებს. **ალესანდრო დელ პიერო** და **კარვალიო ამაური** ბოლო პერიოდში მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იმყოფებიან. ნახევარდაცვაში ოთხი ფეხბურთელი ერთ ხაზზე განლაგდება: მარჯვენა ფლანგზე **მარკიონი** იმოქმედებს, მარცხენა ფრთაზე **ნედვედი**, ცენტრს კი **მარკიზიო** და **სისოკო** გააკონტროლებენ. დაცვაში **მოლინაროს**, **კიელინის**, **მელბერგსა** და **გრიგერას** ვიხილავთ. შეამჩნევდით, რომ ძირითადში არ მოიაზრება **ლეგროტალიე** - „სკუადრა აძურას" მცველი ტრავმირებულია და მის ადგილს მოედანზე ჩეხი გრიგერა დაიკავებს.

რანიერი მატჩის წინ ოპტიმისტურ განწყობაზეა: *„გუნდი შესანიშნავ ფორმაშია, რაშიც „ბატესთან" პაექრობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა. მართალია, ბელარუსებს ვერ მოვუგეთ და მხოლოდ ქულა ავიღეთ, მაგრამ ეს ამ მხრივ არაფერს ცვლის. ბევრს ვმოძრაობდით, არაერთი მომენტი გვქონდა და უბრალოდ, ფორტუნამ გვიმუხთლა. „მილანი" დაცვაში არ ჩადგება, შემოგვიტევს და შეეცდება სწრაფი გოლიც კი გაიტანოს. ასეთი ეჭვი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები სწორედ ჩვენ ვართ. უკან დახევას არც „იუვე" აპირებს და ვფიქრობ, ძალიან საინტერესო მატჩის მომსწრენი უნდა გავხდეთ".*

ერთი სიტყვით, იტალიური ფეხბურთის კლასიკად ქცეული დაპირისპირება წესით, ამ ჯერზეც ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, კვირა საღამოს დაველოდოთ.

„ინტერი" „კიევოს" მასპინძლობს და უპირობო სამ ქულას გეგმავს. **ჟოზე მოურინიო** გამთამაშებლობას კვლავ **დეიან სტანკოვიჩს** უპირებს, თავდასხმაში კი **ხულიო კრუსს** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** გაამწესებს. პორტუგალიელმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ვერონელები აუცილებლად უნდა დაამარცხონ და უშუალო კონკურენტების ჯახის ფონზე მორიგი სამი ქულა აიღონ. სხვა მატჩებიდან შეგვიძლია „უდინეზე"-„ლაციოს" დაპირისპირება გამოვყოთ, ინტერესს იწვევს „ჯენოა" - „ატალანტას" პაექრობაც.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 15 | 11 | 3 | 1 | 25-8 | 36 |
| 2. იუვენტუსი | 15 | 9 | 3 | 3 | 23-10 | 30 |
| 3. მილანი | 15 | 9 | 3 | 3 | 21-13 | 30 |
| 4. ნაპოლი | 15 | 8 | 3 | 4 | 22-15 | 27 |
| 5. ფიორენტინა | 15 | 8 | 2 | 5 | 22-14 | 26 |
| 6. ჯენოა | 15 | 7 | 4 | 4 | 22-16 | 25 |
| 7. ატალანტა | 15 | 7 | 2 | 6 | 19-15 | 23 |
| 8. ლაციო | 15 | 7 | 2 | 6 | 22-19 | 23 |
| 9. კატანია | 15 | 6 | 4 | 5 | 15-16 | 22 |
| 10. უდინეზე | 15 | 6 | 3 | 6 | 21-18 | 21 |
| 11. პალერმო | 15 | 6 | 2 | 7 | 19-20 | 20 |
| 12. კალიარი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-17 | 20 |
| 13. რომა | 14 | 6 | 2 | 6 | 16-18 | 20 |
| 14. სიენა | 15 | 5 | 4 | 6 | 12-14 | 19 |
| 15. სამპდორია | 14 | 4 | 4 | 6 | 13-17 | 16 |
| 16. ლეჩე | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| 17. ტორინო | 15 | 3 | 3 | 9 | 15-24 | 12 |
| 18. რეჯინა | 15 | 3 | 3 | 9 | 14-30 | 12 |
| 19. ბოლონია | 15 | 2 | 5 | 8 | 14-25 | 11 |
| 20. კიევო | 15 | 2 | 3 | 10 | 7-22 | 9 |

ინტერი

# ადრიანომ ისევ აურია

**ჟოზე მოურინიომ** „ინტერში" მისვლისთანავე განაცხადა, რომ მას ბრაზილიელი ფორვარდის, **ადრიანოს** დიდი იმედი ჰქონდა. იმ დროისთვის იმპერატორი სამშობლოში იმყოფებოდა და იქაურ სერია A-ში ირჯებოდა. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ბრაზილიელი „ინტერში" დააბრუნა და ძირითადშიც ანდო ადგილი. ერთი ხანობა, ყველაფერი კარგად მიდიოდა და ფეხბურთელიც მწვრთნელს დიდად ემადლიერებოდა, თუმცა შემდეგ ადრიანომ ისევ აურია და პროგრესირებად კარიერას დიდი საფრთხე შეუქმნა. გემახსოვრებათ,. ბრაზილიელმა რამდენჯერმე ვარჯიში გააცდინა, რის გამოც დროებით მოკვეთეს კიდეც გუნდის შემადგენლობიდან. გუშინ კი იტალიელი ჟურნალისტები მორიგი ინციდენტის მომსწრენი გახდნენ - ჟოზემ ადრიანო ვარჯიშზე არ დაუშვა და ბაზის კარისკენ მიუთითა. ბუნებრივია, მახმედიის წარმომადგენლები მიზეზებით დაინტერესდნენ და შემდეგი გამოარკვიეს - „ვერდერთან" ნათამაშები მატჩის შემდეგ, მოურინიოს მკვდარი საათი გამოუცხადებია და ფეხბურთელები ბაზაზე გამოუკეტავს. ადრიანო კი ჟოზეს არ დაემორჩილა და დილამდე ღამის კლუბში გაერთო. ეს ამბავი პორტუგალიელ სპეციალისტს არ გამოპარვია და სავარაუდოდ, ბრაზილიელის მიმართ სერიოზულ სანქციებს გაატარებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის წინ

# და მაინც: ჰოფე თუ ბაიერნი?

## ვინ გახდება შემოდგომის ჩემპიონი?

| გუშინ | |
|---|---|
| ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) | 2:1 |
| **დღეს** | |
| ვერდერი-ვოლფსბურგი | 18:30 |
| ჰამბურგი-აინტრახტი | 18:30 |
| ლევერკუზენი-კოტბუსი | 18:30 |
| ჰერტა-კარლსრუე | 18:30 |
| ჰანოვერი-არმინია | 18:30 |
| შტუტგარტი-ბაიერნი | 18:30 |
| ბოხუმი-კიოლნი | 18:30 |
| **ხვალ** | |
| ჰოფენჰაიმი-შალკე | 20:00 |

პირველი წრის ბოლო ტურის წინ, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, ვინ გახდება შემოდგომის ჩემპიონი. ამ თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ საკმაოდ საპატიო „ტიტულისთვის" „ჰოფენჰაიმი" და „ბაიერნი" იბრძვიან. და ახლა აღარ დავიწყებთ იმაზე საუბარს, რომ „ჰოფესგან" ამას არავინ ელოდა, რადგან ყოველი ტურის წინ ან ტურის შემდეგ გამეორება საჭირო აღარ არის - ფაქტია, რომ **რალფ რანგნიკს** ჩამოყალიბებული, პირველობისთვის ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს. ფაქტი ის გახლავთ, რომ „სოფლელები" რეკორდმაისტერს ბურთების უკეთესი შეფარდებით სჯობნიან და ამ ტურში, შემოდგომის ჩემპიონობის ორივე კანდიდატს რთული მეტოქეები ჰყავს. ბავარიელები შტუტგარტში ჩადიან, სადაც ახალმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** გუნდი გამოაცოცხლა და ზედიზედ ორი თამაში მოიგო, „სოფლელები" კი „შალკეს" მასპინძლობენ.

ისე, პირველი წრის მოგების თეორიული შანსი „ლევერკუზენსაც" აქვს - თუკი „ჰოფენჰაიმი" და „ბაიერნი" დამარცხდებიან, „ფარმაცევტები" კი „კოტბუსს" გაანადგურებენ. მაგრამ ეს ძალიან მწირი შანსია და ფაქტია, რომ **ბრუნო ლაბადია** და მისი შეგირდები არდადეგებზე ლიდერის რანგში გასვლაზე აღარ ფიქრობენ. თანაც, სტატისტიკაც გვეუბნება, რომ „ლევერკუზენი" შინ „კოტბუსს" ყოველთვის ვერ ამარცხებდა - 2 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება. იმ დროს, როცა „ბაიერს" დისკვალიფიკაცია მოხდილი **არტურო ვიდალი** უბრუნდება, რომელიც ძირითად შემადგენლობაში **საშა დუმის** ადგილს დაიკავებს, „ენერგის" კაპიტანი **ტიმო როსტი** დააკლდება, რომელმაც წინა ტურში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და ბუნდესლიგის პირველი წრე ნაადრევად დაასრულა. ამ უკანასკნელს **ბოიან პრაშნიკარის** გუნდში ან **კვიტანოვიჩი** შეცვლის, ანაც **რადელიჩი**.

მას მერე, რაც მარკუს ბაბელი „შტუტგარტის" დამრიგებლად დაინიშნა, შვაბებმა ორივე თამაში მოიგეს ბურთების შეფარდებით 5:0. დღეს კი, გერმანიის ნაკრების ყოფილ მცველს სამწვრთნელო ასპარეზზე უკვე პირველი სერიოზული გამოცდა ელის - „შტუტგარტი" ძალიან კარგ ფორმაში მყოფ „ბაიერნს" ხვდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაბელი და რეკორდმაისტერის დამრიგებელი **იურგენ კლინსმანი** 1995-დან 1997 წლამდე მიუნხენურ გრანდში ერთად თამაშობდნენ. ისინი კარგი მეგობრები არიან. „შტუტგარტმა" თავის „მერსედეს ბენც შტადიონზე" შარშან და შარშანწინ „ბაიერნს" მოუგო: 3:1 და 2:0. თუკი შვაბები დღესაც შეძლებენ სამი ქულის მოპოვებას, გამოვა, რომ ბაბელმა გუნდი ნამდვილად სწორ გზაზე დააყენა, ხოლო „ბაიერნი" კი შემოდგომის ჩემპიონობას გამოემშვიდობება. „შტუტგარტის" ახალი თავკაცი იმედოვნებს, რომ **მარიო გომესი** გამოჯანმრთელებას მოასწრებს და მოედანზე გასვლა შეეძლება. დიდი შანსია, რომ კლინსმანმა სამი წამყვანი ფეხბურთელი - **ფრანკ რიბერი**, დაცვის ბურჯი **ლუსიო** და საყრდენი ნახევარმცველი **ზე რობერტო** ვერ დაიხმაროს.

გადავინაცვლოთ ჩრდილოეთში, კერძოდ კი ბრემენში, სადაც „ვოლფსბურგი" ჩადის. ბრემენელებმა შუა კვირაში მილანის „ინტერი" დაამარცხეს და ჩემპიონთა ლიგას უეფას თასის საგზური გამოსტყუეს. მაგრამ დღეს **თომას შააფის** გუნდს გამარჯვების მოპოვება ძალიან გაუჭირდება, რადგან „ვერდერს" ორი უმთავრესი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებული ჰყავს: შააფი ვერც დირიჟორ **დიეგოს** (4 მატჩით დასაჯეს) გამოიყენებს და ვერც გოლეადორ **კლაუდიო პისაროს** (3 მატჩი). ამასთან, ტრავმირებულები არიან ფორვარდები **უგო ალმეიდა** და **მარტინ ჰარნიკიც**. ასე რომ, ძალიან საინტერესოა, ვის გაამწესებს შააფი თავდასხმაში **მარკუს როზენბერგის** გვერდით, ნუთუ **ბუბაკარ სანოგოს**, რომელზეც დიდი ხანია, არაფერი გვსმენია და აღარ ვიცით, ცოცხალია თუ არა. ასე რომ, ეს შესაძლოა „ვოლფსბურგის" შანსი იყოს. **ფელიქს მაგათის** გუნდი მეექვსე ადგილზეა და ფაქტია, რომ თებერვლამდე ამაზე ზემოთ ველარ აიწევს, მაგრამ ხომ იცით, „დესპოტი ფელიქსის" მიზანი მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაა.



ცეკვავს ის, ვინც ბოლოს ცეკვავს. ჰოფენჰაიმის თავდამსხმელი ვედად იბიშევიჩი და ბაიერნის მცველი ლუსიო

პირველ წრეს საშინაო მატჩით ამთავრებს მეხუთე ადგილზე მყოფი „ჰამბურგიც": **მარტინ იოლის** სამწყსოს ფრანკფურტის „აინტრახტი" სტუმრობს. აღსანიშნავია, რომ ფრანკფურტელებმა ჰამბურგში ბოლოს 1998 წელს მოიგეს. ისე, „აინტრახტს" გასვლით მატჩებში ძალიან ცუდი ბალანსი აქვს. თავად განსაჯეთ: **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდმა ბოლო ორი სტუმრობა კატასტროფულად დაასრულა: 0:5 ბრემენში და 0:4 დორტმუნდში. დღესვე, „ჰანოვერის" კარს („არმინიასთან" მატჩში) მესამე მეკარე **მორტენ იენსენი** დაიცავს. ეს იმიტომ, რომ **რობერტ ენკე** ტრავმირებულია, **ფლორიან ფრომლოვიტცი** კი, დისკვალიფიცირებული (წინა ტურში გააძევეს). „წითლების" მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** ამბობს, რომ 21 წლის კარის დარაჯს 100 პროცენტით ენდობა, რასაც ნამდვილად ველარ ვიტყვით **ჰანო ბალიტშთან** მიმართებაში, რომელიც ჰეკინგმა გუნდიდან მოკვეთა. გამარჯვების შემთხვევაში „ჰანოვერი" გასავარდნ ზონასთან საკმაოდ დიდ დისტანციას დაიჭერს.

ბერლინის „ჰერტას" წინა ტურამდე ოთხმატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა და დედაქალაქელებმა წარმატებული სვლა „შალკესთან" შეწყვიტეს - 0:1. დღეს, **ლუსიენ ფავრის** ბიჭები „კარლსრუეს" მასპინძლობენ და ძალიან უნდათ, რომ მინიმუმ საუკეთესო ოთხეულში (ახლა „ჰერტა" სწორედ მეოთხე ადგილზეა), მაქსიმუმ კი სამეულში („ლევერკუზენს" ერთი ქულით ჩამორჩება) გამოიზამთრონ. ბადენელებმა კი წინა ტურში „ვერდერი" დაამარცხეს (პირველი გამარჯვება ბოლო 9 კვირის განმავლობაში) და საკმაოდ კარგ განწყობაზე არიან. გასავარდნ ზონაში გამოზამთრება **ალექსანდრე იაშვილის** გუნდის გეგმებში ნამდვილად არ შედის.

გერმანიის დასავლეთში კი ერთმანეთს „ბოხუმი" და „კიოლნი" დაუპირისპირდებიან. ამ შეხვედრაში ორივე გუნდს თითო წამყვანი ფეხბურთელი აკლია: **მარსელ კოლერი მიმუნ აზაუაგს** ვერ გამოიყენებს, **კრისტოფ დაუმს** კი საყრდენ ნახევარმცველ **პეტიტზე** მოუწევს უარის თქმა. ორივე მათგანი დისკვალიფიცირებულია. „ბოხუმი" ბოლოსწინა ადგილზეა და უნდა აღინიშნოს, რომ 12 ტურია, არ მოუგია (0/7/5). „კიოლნმა" კი ზედიზედ 4 თამაში წააგო და ისევ ცხრილის ქვედა ნახევარში დაბრუნდა.

დაბოლოს: ბუნდესლიგის პირველი წრე ხვალ, უაღრესად საინტერესო მატჩით დაიხურება: „ჰოფენჰაიმი"-"შალკე". „ბაიერნთან" მარცხის შემდეგ (1:2), ჰოფენჰაიმში ბევრი რამ მოხდა. ჯერ იყო და გუნდის მთავარი მწვრთნელი რალფ რანგნიკი და რეკორდმაისტერის მენეჯერი **ული ჰიონესი** ერთმანეთში კინკლაობდნენ, კვირის მიწურულს კი „სოფლელებმა" ძალიან საინტერესო ტრანსფერი გაჩარხეს, დაიბევეს რა მეორე წრისთვის „ვალენსიის" მეკარე **ტიმო ჰილდებრანდი**. ამჯერად, „ჰოფეს" კონცენტრაცია „შალკესთან" მატჩისკენაა მიმართული. გელზენკირხენულ კლუბში „ჰერტას" დამარცხების შემდეგ აღარ არის ისეთი საგანგაშო ვითარება, როგორიც ორი კვირის წინ იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მენეჯერ **ანდრეას მიულერს** და მთავარ მწვრთნელ **ფრედ რუტენს** პოსტიდან დათხოვნის საფრთხე აღარ ემუქრებათ. ფაქტია, რომ „ჰოფენჰაიმი" ტრადიციულად ალვირახსნილ ფეხბურთს ითამაშებს, გელზენკირხენელები კი მეტოქეს დაცვით ფეხბურთს შესთავაზებენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ „შალკე" მეშვიდე ადგილზეა, **ლევან კობიაშვილისა** (სხვათა შორის, დიდი ხანია, ძირითად შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა!) და **ლევან ყენიას** გუნდს 16 ტურის შემდეგ ყველაზე ცოტა გოლი აქვს გაშვებული: 15 და გელზენკირხენელებს თითქმის ოჯერ ნაკლები აქვთ გატანილი, ვიდრე „ჰოფენჰაიმს"...

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 16 | 11 | 1 | 4 | 41-22 | 34 |
| 2. ბაიერნი | 16 | 10 | 4 | 2 | 37-22 | 34 |
| 3. ლევერკუზენი | 16 | 10 | 1 | 5 | 35-20 | 31 |
| 4. ჰერტა | 16 | 9 | 3 | 4 | 23-20 | 30 |
| 5. ჰამბურგი | 16 | 9 | 3 | 4 | 25-24 | 30 |
| 6. ბორუსია (დ) | 17 | 7 | 8 | 2 | 27-19 | 29 |
| 7. ვოლფსბურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 34-23 | 26 |
| 8. შალკე | 16 | 7 | 5 | 4 | 23-15 | 26 |
| 9. შტუტგარტი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-21 | 24 |
| 10. ვერდერი | 16 | 6 | 5 | 5 | 37-27 | 23 |
| 11. აინტრახტი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-28 | 19 |
| 12. კიოლნი | 16 | 6 | 1 | 9 | 17-24 | 19 |
| 13. ჰანოვერი | 16 | 4 | 4 | 8 | 19-31 | 16 |
| 14. არმინია | 16 | 2 | 7 | 7 | 14-26 | 13 |
| 15. კარლსრუე | 16 | 4 | 1 | 11 | 15-28 | 13 |
| 16. კოტბუსი | 16 | 3 | 3 | 10 | 11-28 | 12 |
| 17. ბოხუმი | 16 | 1 | 8 | 7 | 18-28 | 11 |
| 18. ბორუსია (მ) | 17 | 3 | 2 | 12 | 18-35 | 11 |

საზანო



ნატურალური პროდუქტების სარესტორაციო ქსელი!
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ
უმაღლესი ხარისხის
ყველანაირი კერძი და პროდუქტი:
ცომეული, ნამცხვარი, ფხალეული, ხორცეული
და ყველაფერი დანარჩენი,
რაც სუფრას სჭირდება.
პროდუქტები და კერძები შეგიძლიათ
შეიძინოთ და მიირთვათ ჩვენთან, ან ჩვენ
მოგართმევთ სახლში!
აგრეთვე გვაქვს დარბაზი 150 კაცზე!
მის: ნუცუბიძის 62ა; გამსახურდიას 43 (ყოფ. გაგარინის მოედ.)
ტელ: 31 12 76; 38 12 75; მობ: 899 78 02 45

მანჩესტერ იუნაიტედი

# 2010 წლამდე ოცნებათა თეატრში

## ვიდიჩი თანამემამულეთა გარემოცვაში

მანკუნიანელთა ჰოლანდიელმა გოლკიპერმა **ედვინ ვან დერ სარმა** კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. მის ძველ შეთანხმებას ვადა მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გასდიოდა. შეგახსენებთ, რომ მეკარე „ოლდ ტრეფორდზე" 2005 წლიდან თამაშობს.

როგორც ჩანს, **ნემანია ვიდიჩს** მალე გვერდში ორი თანამემამულე ეყოლება. ლაპარაკია, რომ „ეშმაკები" ბელგრადის „პარტიზანიდან" ერთბაშად ორ სერბ ფეხბურთელს შეიძენენ. რამდენიმე კვირის წინ უკვე ვწერდით, რომ **ფერგიუსონს** 21 წლის **ზორან ტოშიჩის** შეძენა სურდა. ჟურნალისტები აეროპორტში მხოლოდ მას ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად ის 17 წლის **ადამ ლეიაიჩის** თანხლებით ჩამოფრინდა. როგორც გაირკვა, ორივე მათგანი „იუნაიტედში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ თინეიჯერი ლეიაიჩი ინგლისურ მხარესთან კონტრაქტს გააფორმებს, თუმცა 6 თვით ან შეიძლება სულაც წლით, ისევ ბელგრადში დაბრუნდეს, რათა სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეს. ტოშიჩის კონტრაქტს ამჟამინდელ კლუბთან ვადა სულ რამდენიმე დღეში, 31 დეკემბერს გასდის და შესაბამისად, ინგლისში უფასოდ გადავა, ხოლო ლეიაიჩს ხელშეკრულება 2011 წელს უწურება. პერსპექტიული სერბის შეძენა რამდენიმე მილიონი დაჯდება.

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა შეიძლება **უეინ რუნი** დისკვალიფიკაციით დასაჯოს. ალბათ გახსოვთ, „ოლბორგთან" შეხვედრის მეორე ნახევარში მან სტუმართა ნახევარმცველ **კასპერ რისგორთან** ჩხუბი წამოიწყო. *„ვფიქრობ, რუნის ეპიზოდი მსაჯს გამოეპარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აუცილებლად გააძევებდა. უეინმა რამდენჯერმე საკმაოდ ძლიერად ჩამარტყა და ჩემ გარდა კიდევ არაერთხელ ეუხეშა ჩემს თანაგუნდელებსაც"*, - განუცხადა „სქაის სპორტსს" დანიელმა ფეხბურთელმა.

**შალვა ბიბილაშვილი**



ზორან ტოშიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტურის წინ

# მთავარი ინტრიგა: მამლები vs ეშმაკები

## მოიგებს თუ არა ჩელსი მორიგ ლონდონურ დერბის მაინც?

| დღეს | |
|---|---|
| მიდლსბრო-არსენალი | 16:45 |
| ასტონ ვილა-ბოლტონი | 19:00 |
| ლივერპული-ჰალ სიტი | 19:00 |
| მანჩესტერ სიტი-ევერტონი | 19:00 |
| სტოკ სიტი- ფულჰემი | 19:00 |
| სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 19:00 |
| ვიგანი-ბლექბერნი | 19:00 |
| ტოტენჰემი-მანჩ. იუნაიტედი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| პორტსმუთი-ნიუკასლი | 17:30 |
| ჩელსი-ვესტ ჰემი | 20:00 |



„ენფილდზე" საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. მერსისაიდელები პრემიერლიგის ლიდერები კი არიან, მაგრამ დღემდე ყველა იმას ელოდება, როდის წაუცდება ფეხი **რაფა ბენიტესის** გუნდს. ბოლო წლების „ლივერპულისგან" შევეჩვიეთ ღირსეულ ბრძოლას ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ პრემიერლიგის ცხრილის სათავეში დიდი ხნით გაჩერება მათივე გულშემატკივრებში მიუჩვეველი ლხინის განწყობას ბადებს. რა თქმა უნდა, მასპინძლები დღეს ფავორიტები არიან, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონატში საშინაო შეხვედრა სეზონში არ წაუგიათ, მაგრამ შეუძლებელია, „წითლების" წარმატებაში ბოლომდე თავდაჯერებული იყო... „ლივერპულს" ბოლო სამ საშინაო შეხვედრაში მართალია გოლი არ გაუშვია, მაგრამ თავის მხრივ სულ ერთი გაიტანა და ისიც ჩემპიონთა ლიგაში, „მარსელთან". ჩემპიონატში კი გუნდმა ორი მოსაწყენი შეხვედრა ჩაატარა, „ფულჰემსა" (22 ნოემბერი) და „ვესტ ჰემთან" (1-ლი დეკემბერი). თავის მხრივ, „ჰალ სიტიმ" ბოლო სამ გასვლით მატჩში ერთი შეხვედრა დათმო: „მანჩესტერ იუნაიტედთან", თუმცა ქულის წამოღება მოახერხა პორტსმუთიდან და სტოკიდან.

სათაურშივე აღვნიშნეთ, რომ ტურის მთავარ მოვლენას „უაით ჰართ ლეინზე" ელიან. წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში „ეშმაკებისთვის" ყველაფერი რიგზე ვერ მიდის და ამიტომ ყოველი შეხვედრა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა - ეს თავისთავად ინტრიგაა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, უმაღლესი კლასის სპეციალისტების, სერ **ალექს ფერგიუსონისა** და **ჰარი რედნაპის** მორიგი დაპირისპირება. შეგახსენებთ, რომ ისინი წელს ოფიციალურ შეხვედრებში უკვე ორჯერ შეხვდნენ. პირველად 10 აგვისტოს, სუპერთასზე, სადაც უგოლო 120 წუთის შემდეგ ჩემპიონებმა პენალტების სერიაში 3:1 მოიგეს; რამდენიმე დღეში პრემიერლიგის მეორე ტურის შეხვედრაში ფერგიუსონი „ფრეტონ პარკს" ეწვია და **დარენ ფლეტჩერის** გოლით 1:0 მოიგო. დაპირისპირებას დამატებით ინტრიგას **დიმიტარ ბერბატოვი** და **მაიკლ ქერიკი** აძლევენ. როგორი სიძულვილი იციან „მამლების" გულშემატკივრებმა, მგონი, ყველამ ნახა: წასვლიდან 7 წლის მერეც კი **სოლ კემპბელი** ისე ლანძღეს, საქმე დასაჭერად გაიხადეს. არ გვგონია, ბულგარელსა და ინგლისელს ნაკლები დღე ელოდეთ. გაუჭირდება ორივეს, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლომდე ჯანმრთელი არც ერთი მათგანი არ გახლავთ. ჩემპიონებს საქმეს ურთულებს ისიც, რომ ნამდვილად არ ეყოლებათ ორი ლიდერი და საეჭვოა მესამის თამაშიც. ლაპარაკია **პატრის ევრასა** და **უეინ რუნიზე**. ისინი დისკვალიფიკაციას იხდიან. **კრისტიანო რონალდოს** ასპარეზობას ეჭვქვეშ მისი ტრავმა აყენებს. BBC გუშინ ამტკიცებდა, პორტუგალიელმა ტკივილები დაიამა და **ეურელიო გომესის** დაწიოკებას გეგმავსო. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სასტარტო შემადგენლობაში **რიო ფერდინანდის** მოხვედრაც. სერ ალექსის თქმით, ის არ არის დარწმუნებული, რომ ზემოხსენებული ფეხბურთელები თამაშში ბოლომდე დახარჯვას შეძლებენ. მანჩესტერელებს აქვთ შანსი, ტოკიოში წასვლამდე შოტლანდიელის ხელმძღვანელობით აქამდე მოპოვებულ 500 გამარჯვებას კიდევ ერთი დაამატონ და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე განსაკუთრებულად ხალისიან განწყობაზე გაემგზავრონ. „იუნაიტედს" ბოლო ოთხ პრემიერლიგურ შეხვედრაში გოლი გაშვებული არ აქვს. ახლა რაც შეეხება „ტოტენჰემის" ბანაკს: ორშაბათს, „ვესტ ჰემთან" შეხვედრაში კლუბმა რედნაპის ხელმძღვანელობით 12-დან მე-9 მატჩი მოიგო; „მამლებმა" წელს 85-ე წუთის შემდეგ მეტოქეთა კარში უკვე 6 გოლის გატანა მოახერხეს; თუკი მასპინძლები სამ ქულას აიღებენ, ეს გახდება რიგით 150-ე საშინაო პრემიერლიგური გამარჯვება.

წინა ტურში არბიტრმა **სტივ ტერნერმა** „მიდლსბრო" „ჰალ სიტისთან" შეხვედრაში აშკარად გაძარცვა, როდესაც შეხვედრის მიწურულს, 85-ე წუთზე თითიდან გამოწოვილი პენალტი დანიშნა **როს ტერნბულის** კარში. მასპინძლებს „მეთოფეებთან" წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები არ შეაწუხებთ. სამაგიეროდ, სტუმრებს აქვთ სოლიდური დანაკლისი, მაგრამ **როსიცკი, ედუარდო** და **უოლკოტი** რომ უკვე დიდი ხანია არ თამაშობენ, სიურპრიზი არავისთვის იქნება. **ნასრიმ** კი გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ხორვატი ედუარდოს დაბრუნებას შემდეგი ტურისთვის ელიან.

„ასტონ ვილა" „ბოლტონს" მასპინძლობს და რა თქმა უნდა, გამარჯვებას გეგმავს. შესანიშნავ ფორმაშია გუნდის ლიდერი **ეშლი იანგი**, რომელმაც წინა ტურში „ევერტონთან" ზღაპრულად ითამაშა და ახლაც ბოლომდე დახარჯვას აპირებს. მასპინძლებს ლაზარეთში მხოლოდ სეზონის დასაწყისში დაშავებული **ვილფრედ ბუმა** ჰყავთ. სტუმრებმა კონტრაქტი გაუწყვიტეს ინგლისის ნაკრების ყოფილ კარის დარაჯ **იან უოკერს**, რომელიც სამი წლის განმავლობაში გუნდის მეორე მეკარედ ითვლებოდა. სერიოზული დანაკლისი არც „ბოლტონს" აქვს.

„ევერტონის" მთავარი პრობლემის შესახებ იმდენი ვწერეთ, რომ დაწვრილებით ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. გუნდი წამყვანი მოთამაშეების ტრავმებმა გაანამა. ვერ ითამაშებენ **ლარს იაკობსენი, ნუნუ ვალენტე, ჯეიმს ვონი, იაკუბუ აიგბენი, ლუის საა**... „მანჩესტერ სიტის" **დიტმარ ჰამანი** დაუბრუნდა, რომელსაც შეუძლია, „ქალაქელთა" შუა ხაზს მეტი სიმყარე შესძინოს. რა გასაკვირია და, ვერ ითამაშებენ **ელანო, ბოჟინოვი** და **პეტროვი**.

უმწვრთნელო „სანდერლენდი" „ვესტ ბრომვიჩს" მიიღებს. ბოლო ტურში „შავმა კატებმა" შესანიშნავად მოახერხეს თავის დაცვა 90 წუთის განმავლობაში, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან" თუნდაც ამდენი ხანი კარგად თამაში საკმარისი რომ არ არის, ეს 1999 წლის 26 მაისის შემდეგ ყველამ იცის - **ნემანია ვიდიჩმა** მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაიტანა. მასპინძელთა ლიდერების თამაში ეჭვქვეშ არ დგას. ლამის უიმედო აუტსაიდერთან შეხვედრაში „სანდერლენდს" გამარჯვება მართებს.

„სტოკისა" და „ფულჰემის" შეხვედრას სერიოზული პერსონა არავინ გამოაკლდება. მატჩის ბედი დიდად იქნება დამოკიდებული მასპინძელთა ლიდერ **რორი დელაპზე**, ვინც ახლა მართლა კარგ ფორმაში იმყოფება. სტუმრების ბედს კი განსაზღვრავს გამოცდილი **მარკ შვარცერის** თავდაჯერებული თამაში.

„ბლექბერნის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯონ უილიამსმა** აღნიშნა: იმისთვის, რომ წელს პრემიერლიგაში ჩვენს გამოსვლას ღირსეული დაერქვას, სეზონის დასრულებამდე ცხრა თამაშის მოგება კიდევ გვმართებსო. **პოლ ინსისთვის** საათი უკვე ჩართულია - ერთი წაფორხილება და კლუბის ხელმძღვანელობა მის თავს გულშემატკივრებს გადაუგდებს. ნორმალურ ფორმაში იმყოფებიან **სტივ ბრუსის** შეგირდები. მწვრთნელს ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია.

კვირას ორი საინტერესო დაპირისპირება გაიმართება: ყურადღებას იქცევს „პორტსმუთისა" და „ნიუკასლის" პრინციპული შეხლა. მასპინძლებს **ლასანა დიარა** დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს არ ეყოლებათ დიდი ხნის წინ დაშავებული **ალან სმიტი** და **ჯოი ბარტონი**. ექსპერტების პროგნოზით, **ტონი ადამსის** შეგირდებმა სამი ქულა უნდა მოიპოვონ.

„სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსი" მესამე ლონდონურ დერბის გამართავს. აქამდე მან ვერც ერთის მოგება მოახერხა - 1:1 „ტოტენჰემთან" და 1:2 „არსენალთან". „არისტოკრატებს" სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ: **რიკარდო კარვალიო, მიკაელ ესიენი** და **ფლორან მალუდა**. „ჩაქუჩების" რიგებში კი ტრადიციულად ლაზარეთში მყოფი **კირონ დაიერი** და **დინ ეშტონი** ვერ ითამაშებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 24-9 | 37 |
| 2. ჩელსი | 16 | 11 | 3 | 2 | 35-6 | 36 |
| 3. არსენალი | 16 | 9 | 2 | 5 | 28-19 | 29 |
| 4. მანჩესტერ იუნ. | 14 | 8 | 4 | 2 | 26-10 | 28 |
| 5. ასტონ ვილა | 16 | 8 | 4 | 4 | 25-18 | 28 |
| 6. ჰალ სიტი | 16 | 7 | 5 | 4 | 24-25 | 26 |
| 7. პორტსმუთი | 16 | 6 | 5 | 5 | 19-23 | 23 |
| 8. ევერტონი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-25 | 22 |
| 9. ფულჰემი | 15 | 5 | 5 | 5 | 13-12 | 20 |
| 10. ბოლტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 18-19 | 20 |
| 11. ვიგანი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-20 | 19 |
| 12. მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 16-23 | 19 |
| 13. სტოკ სიტი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-27 | 19 |
| 14. მანჩესტერ სიტი | 16 | 5 | 3 | 8 | 30-24 | 18 |
| 15. ტოტენჰემი | 16 | 5 | 3 | 8 | 19-21 | 18 |
| 16. ვესტ ჰემი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 17. ნიუკასლი | 16 | 3 | 7 | 6 | 19-24 | 16 |
| 18. სანდერლენდი | 15 | 4 | 3 | 8 | 13-24 | 15 |
| 19. ბლექბერნი | 16 | 3 | 4 | 9 | 17-31 | 13 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 16 | 3 | 3 | 10 | 12-28 | 12 |

ამბები

## ლიონის ლიდერები დაისაჯნენ

„ლიონის" ფეხბურთელები **კრისი და ჟუნინიო** „ფიორენტინასთან" წინასწარგანზრახულ უხეშობაში დაადანაშაულეს და შესაბამისად, გარდა დისკვალიფიკაციისა (რომელიც მათ „ბაიერნთან" წაგებულ შეხვედრაში მოიხადეს), სოლიდური ფინანსური სანქციაც გამოუწერეს. კრისი თხუთმეტი ათასი ევროთი დაჯარიმდა, ხოლო ჟუნინიო - ათით. ფეხბურთელებს უფლება ეძლევათ, სამი დღის განმავლობაში სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება გაასაჩივრონ.

## ფეხბურთი მანიას ემსგავსება

ინგლისური პრემიერლიგის სატიტულო სპონსორმა „ბარკლაიმ" მსოფლიოს 185 ქვეყანაში 32 ათასი გულშემატკივრის გამოკითხვა შეუკვეთა და შემდეგი საინტერესო შედეგები მიიღო: რესპონდენტთა 80 პროცენტი აცხადებს, რომ ფეხბურთი მეგობრებთან ყოფნისას ყველაზე ხშირი სალაპარაკო თემაა; 49 პროცენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთი დაახლოებით ისეთივე მნიშვნელოვანია მათ ცხოვრებაში, როგორც ოჯახი და მეგობრები. გამოკითხვამ შემდეგი შედეგები გამოავლინა: პრემიერლიგის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი „არსენალის" ყოფილი კაპიტანი **ტიერი ანრი** გახლავთ, მეორეზეა „ლივერპულის" მოქმედი კაპიტანი **სტივენ ჯერარდი;** ხოლო მესამე - „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდა **ერიკ კანტონა**.

პრემიერლიგის დაარსებიდან დღემდე ყველაზე დასამახსოვრებელი ფაქტი 1996 წელს მოხდა, როცა **დევიდ ბექჰემმა** „უიმბლდონს" გოლი ცენტრიდან გაუტანა. ასევე არ ეძლევა დავიწყებას კანტონას მიერ ტრიბუნაზე მჯდარი გულშემატკივრის გალახვის ფაქტი.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის შემდეგ

# ფრთხილად, ევროპა, ეს კაცი ძალიან საშიშია!

## ლიონთან მატჩის შემდეგ ფრანგებმა რიბერის ახალი მეტსახელი შეარქვეს: სატანა!



ფრანკ რიბერი ჩემპიონთა ლიგაში პირველად თამაშობს

რაც უნდა გასაკვირი იყოს, 25 წლის **ფრანკ რიბერი** პირველად თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში და პირველივე სეზონში ისე გამოიყურება, თითქოს ეს მისი ტურნირი იყოს. „ბაიერნის" ფრანგმა ვარსკვლავმა ჯგუფური ეტაპი ისე ჩაატარა, რომ უკვე ყველას შიშის ზარს სცემს. აქ საკმარისი არ არის მხოლოდ იმის თქმა, რომ რიბერი შესანიშნავ ფორმაშია. არა, რიბერი გენიალურ ფორმაშია! და ეს ეპითეტიც არ არის საკმარისი...

ფაქტია, რომ როდესაც 19 დეკემბერს ნიონში მერვედფინალის წილისყრა შედგება, „ბაიერნის" მეტოქეობას ფაქტობრივად არავინ ისურვებს - პირველ რიგში რიბერის გამო! ფრანგი ფლეიმეიქერი ძალიან სწრაფია, ძალიან ტექნიკური და ძალიან სახიფათო. და რაც ყველაზე მთავარია, რიბერი ისეა მონდომებული, მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, როგორც, ალბათ, არც ერთი სხვა ფეხბურთელი! ასე რომ, ფრთხილად ევროპა, ვისაც ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა, პირველ რიგში, რიბერი უნდა შეაჩეროს!

*„არ ვიცი და ვერ დავიჩემებ, რომ ჩვენ აუცილებლად გავალთ ფინალში, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ასეთი მონდომებული და მოტივირებული არასდროს ვყოფილვარ!"* - აცხადებს ფრანგი დრიბლიორი, რომელსაც ჩვენმა ფრანგმა კოლეგებმა „ლიონთან" მატჩის (3:2 „ბაიერნის" სასარგებლოდ, სადაც „რიბო" ერთი გოლითა და ორი საგოლე პასით გამოირჩა) ასეთი წოდება უძღვნეს: „სატანა".

*„ფრანკი ყველასგან გამორჩეული, გრანდიოზული ფეხბურთელია. ის კრეატიულობა, ინსტინქტი და დაუნდობლობა, რაც მას ახასიათებს, ფრანკს გენიალურ ფეხბურთელად აყალიბებს. დაუჯერებელია ყველაფერი ის, რასაც რიბერი მოედანზე აკეთებს,"* - ამბობს ბავარიელთა დამრიგებელი **იურგენ კლინსმანი**. გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** კი მხოლოდ ერთი ეპითეტით შემოიფარგლება: „ფენომენი"!

სწორედ რიბერის დამსახურებაა ის, რომ „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად გახდა ჯგუფური ეტაპის საუკეთესო გუნდი: 14 ქულა, ბურთების შეფარდება 12:4. მერვედფინალში მიუნხენური კლუბის სავარაუდო მეტოქეები „ჩელსი", „ინტერი", „სპორტინგი", „ატლეტიკო", „ვილიარეალი", „არსენალი" და „რეალი" არიან. რიბერისთან ერთად, რეკორდმაისტერს ყოველი მათგანის დამარცხება შეუძლია.

„ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**: *„ყველამ დაინახა, რომ „ბაიერნთან" წარმატების მიღწევა თურმე არც ისე იოლი ყოფილა, როგორც ეს ბევრს ეგონა. არა მგონია, ჩვენი გუნდი მერვედფინალის წილისყრის წინ ვინმესთვის სასურველი მეტოქე იყოს."* კლინსმანი: *„ჩვენ ტოპ-გუნდების სიაში ვართ!"*

აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის" გერმანული კონკურენტების ხელმძღვანელებსაც მიაჩნიათ, რომ რეკორდმაისტერს წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლისა და მისი მოგების სერიოზული შანსი აქვს. *„კლინსმანის ხელში გუნდი ძალიან კარგად ათამაშდა. პირადად მე ნამდვილად არ გამიკვირდება, ბავარიელებმა ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგონ. „ლიონთან" მატჩის პირველმა ტაიმმა ამაში 100 პროცენტით დამარწმუნა,"* - აცხადებს „ჰოფენჰაიმის" მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი**. *„თუკი „ბაიერნს" რიბერი ჯანმრთელად ეყოლება, დიდი შანსია, მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგა მოიგონ!"* - ეს კი „ვერდერის" სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** სიტყვებია. რეკორდმაისტერის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას რეალურად მიიჩნევს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც**: *„მიუნხენური კლუბი ევროპულ გრანდებს არაფრით ჩამოუვარდება!"*

მაგრამ „ბაიერნი" მხოლოდ რიბერი როდია. მაგალითად, **მიროსლავ კლოზეს** 5 გოლი აქვს გატანილი და ამ შედეგით ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირთა დავას **კარიმ ბენზემასთან**, **ლეო მესისთან** და **სტივენ ჯერარდთან** ერთად სათავეში უდგას. ამასთან, მეკარეებიდან ყველაზე მეტი დარტყმა სწორედ მიუნხენელთა კარის დარაჯ **მიხაელ რენზინგს** აქვს მოგერიებული. ასე რომ, თუკი რეკორდმაისტერი ბუნდესლიგაში მაინცდამაინც გრანდიოზულ შედეგებს ვერ აჩვენებს, ჩემპიონთა ლიგაში აშკარად საუკეთესოა. ფრთხილად, ევროპა, მიუნხენური გიგანტი დაბრუნდა!

**გოტფრიდ ლენცი**

ეს საინტერესოა

### მოგერიებული დარტყმები

| მეკარე | დარტყმა |
|---|---|
| რენზინგი (ბაიერნი) | 32 |
| ვერემკო (ბატე) | 27 |
| დონი (რომა) | 25 |
| საპატა (სტიაუა) | 25 |
| ზაზა (ოლბორგი) | 25 |
| პიატოვი (შახტარი) | 24 |
| ბოგუში (დინამო კ) | 23 |
| კოსტანცო (ბაზელი) | 23 |
| სეზარი (ინტერი) | 23 |
| ბორუცი (სელტიკი) | 22 |

### საერთო ცხრილი

| | ქულა | ბურთები |
|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 14 | 12-4 |
| 2. ლივერპული | 14 | 11-5 |
| 3. ბარსელონა | 13 | 18-8 |
| 4. რომა | 12 | 12-6 |
| 5. რეალი | 12 | 9-5 |
| 6. იუვენტუსი | 12 | 7-3 |
| 7. პორტუ | 12 | 9-8 |
| 8. სპორტინგი | 12 | 8-8 |
| 9. ატლეტიკო | 12 | 9-4 |
| 10. არსენალი | 11 | 11-5 |
| 11. ლიონი | 11 | 14-10 |
| 12. ჩელსი | 11 | 9-5 |
| 13. მანჩესტერი | 10 | 9-3 |
| 14. პანათინაიკოსი | 10 | 8-7 |
| 15. ვილიარეალი | 9 | 9-7 |
| 16. ინტერი | 8 | 8-7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ბაიერნი) | 5 |
| მესი (ბარსელონა) | 5 |
| ბენზემა (ლიონი) | 5 |
| ჯერარდი (ლივერპული) | 5 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 4 |
| ბერბატოვი (მანჩესტერი) | 4 |
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 4 |
| ჟადსონი (შახტარი) | 4 |
| კუვერმანსი (ეინდჰოვენი) | 4 |
| ლოპესი (პორტუ) | 4 |

ჩელსი

# სკოლარის სასიამოვნო თავის ტკივილი

## დროგბა და ანელკა ერთად?




„ტელეგრაფის" ჟურნალისტებმა **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ერთ კონკრეტულ პრობლემას საკმაოდ საყურადღებო სტატია მიუძღვნეს. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ბრაზილიელმა სპეციალისტმა განაცხადა, **დიდიე დროგბა** ფორმაში ჩადგება და იძულებული გავხდები, მოვიფიქრო, როგორ შეიძლება წინა ხაზში ერთდროულად მისი და **ნიკოლა ანელკას** გამოყენებაო. პირველად ექსპერიმენტი ლონდონში, „კლუჟთან" შეხვედრის 65-ე წუთზე შედგა. მართალია, ის სულ 25 წუთი გაგრძელდა, მაგრამ ვერ გაამართლაო, ვერავინ იტყვის. კოტდივუარელმა გადამწყვეტი და თანაც ფანტასტიკური გოლი გაიტანა და გუნდს გამარჯვება მოუტანა. ამის მიუხედავად, ფელიპაო ისევ ფიქრებშია... მას სათამაშო სქემის დარღვევა მოუწევს. თანაც შუა ხაზში იმდენი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავს, ვინმეს სკამისთვის გამეტებაც ძნელია. მით უფრო, რომ რთული იქნება თითქმის ერთნაირი სტილის ფორვარდების კონკრეტულ სქემასთან ადაპტაცია. *„ის, რომ დიდიე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, ვგონებ, ეჭვს არავისში იწვევს. შემიძლია გამოგიტყდეთ, რომ როცა ის მინდორზეა, სათამაშო სქემებით ვარირების მეტი საშუალება მეძლევა, მაგრამ ძალზე სამწუხაროა ერთი ფაქტორი: მან ჩვენთან ერთად ბოლომდე ვერ გაიარა მოსამზადებელი პერიოდი. შემდეგ დაგვიბრუნდა და ისევ დაიმტვრა, მეორედ დაბრუნდა და დისკვალიფიკაცია მიიღო. ის ფაქტი, რომ შედარებით იშვიათად თამაშობს, სწორედ ამის დამსახურებაა და არა ჩემი მის მიმართ უნდობლობის. დიახ, მას შეუძლია სხვადასხვა სქემას მოერგოს, მაგრამ გუნდისთვის ამის გაკეთება არც ისე იოლია... განსხვავებულ სქემაზე მორგება სხვებსაც ხომ სჭირდებათ?*

*დროგბას ფიგურა ძალიან მნიშვნელოვანია „ჩელსისთვის", მაგრამ ახლა რეალობა ცოტა განსხვავებულია. მის გარეშე გავედით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან, პრემიერლიგაში მე-2 ადგილზე ვართ და გუნდის მთავარი ბომბარდირი ანელკაა. კარგად ვიცი დიდიეს სათამაშო შესაძლებლობები, მაგრამ მე ანელკაზეც უნდა ვიფიქრო, რადგან ფრანგიც გუნდის ნაწილია. ეს ჩემი სამსახურია".*

„კლუჟთან" შეხვედრაში დიდიეს მოედანზე გამოჩენის შემდეგ ანელკა მარცხენა ფლანგზე გადაბარგდა, ხოლო დროგბას სათარეშოდ ცენტრი დარჩა. ამის წყალობით, აფრიკელს გოლის გატანა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილად შეეძლო.

სკოლარის შეგირდებმა ჯგუფში პირველი ადგილი „რომას" დაუთმეს. თამაში რომის „ოლიმპიკოზე" შეიძლება ენციკლოპედიურ მაგალითად განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება დაჩაგროს ერთმა მწვრთნელმა მეორე. ამის მიუხედავად „არისტოკრატების" დამრიგებელი აცხადებს: *„ჩვენ სხვა გზა, გარდა გამარჯვებებისა, უბრალოდ, არ გაგვაჩნია. სულ ერთია, ვისთან და სად ვითამაშებთ - „რეალთან" „სანტიაგო ბერნაბეუზე" თუ „ბარსელონასთან" „სტემფორდ ბრიჯზე". ჩემს ბიჭებს არავისი ეშინიათ, იმიტომ, რომ ისინი საუკეთესოები არიან. ჩვენ ძალიან ხშირად საკმაოდ კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ჩემი მიზანია, ყოველთვის საუკეთესონი ვიყოთ. ასე იყო „კლუჟთანაც". ნორმალურად გამოვიყურებოდით, მაგრამ თამაში უკეთ შეგვეძლო. რუმინელებს რამდენიმე კარგი მოთამაშე ჰყავთ, თუმცა მთავარი ძალა მათში უტეხი სულია. ბოლოს ფხა ჩვენც გამოვაჩინეთ და გავიმარჯვეთ".*

„არისტოკრატებს" პორტუგალიური „ბრაგიდან" 20 წლის ცენტრალური თავდამსხმელის **ორლანდო სას** გადაბირება სურთ. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტის ვადა რამდენიმე წლის შემდეგ ეწურება, ამიტომ უსახელო ფეხბურთელის ტრანსფერი საკმაოდ ძვირად, 4 მილიონ გირვანქად გახლავთ შეფასებული. ლონდონელები მზად არიან, აღნიშნული თანხა გადაიხადონ. სავარაუდოდ, ფეხბურთელთან ხელშეკრულება უკვე იანვარშივე გაფორმდება, თუმცა ორლანდო 6 თვით იჯარის წესით „ბრაგაში" დარჩება და კუნძულზე მხოლოდ ამის შემდეგ გადავა.

კვირის დასაწყისში გაცნობეთ, რომ „პანათინაიკოსის" თავკაც **ჰენკ თენ კატეს** ჩელსელი ყოფილი შეგირდის **ალექსის** გადაბირება სურდა. ამას გარდა, ლაპარაკობდნენ „მილანისა" და „სევილიის" დაინტერესებაზეც. დაიწერა კონკრეტული თანხა, 10 მილიონი ევრო რასაც ვითომ „როსონერი" ბრაზილიელში იხდიდა. უცნაურია, მაგრამ გავრცელდა ხმები, თითქოს, ბრაზილიელმა თავადაც მოისურვა კონტრაქტის გამოსყიდვა, რადგან სათამაშო პრაქტიკის სიმწირით უკმაყოფილო იყო. „ჩელსის" ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ მსგავსი ფაქტი არ მომხდარა და საერთოდაც, კლუბი იანვარში ვინმეს გაყიდვას არ გეგმავს, შესაბამისად, გუნდის არც ერთი წევრი ტრანსფერზე არ დგას.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

# რობი კინი დანებებას არ აპირებს

„ლივერპულის" ფორვარდი **რობი კინი** აცხადებს, რომ „ენფილდ როუდიდან" წასვლა აზრადაც არ მოსვლია. ეტყობა, მას არ სურს კარიერაში მეორე დიდი კლუბიდან წავიდეს დამარცხებულის სახელით. თავის დროზე მილანის „ინტერში" მას არაფერი გამოუვიდა. *„ლივერპულში სულ რამდენიმე თვეა, რაც ვცხოვრობ და რატომ გაჩნდა ასეთი ხმები, ვერაფრით ამიხსნია. ადაპტაციის პერიოდი საფეხბურთო ცხოვრების განუყოფელი ელემენტია. არასოდეს დამისვამს შეკითხვა საკუთარი თავისთვის, მინდა თუ არა კიდევ აქ თამაში. გარწმუნებთ, „ენფილდზე" კიდევ დიდი ხნით დავრჩები. ხალხს შეუძლია დაწეროს და დაიჯეროს ყველაფერი, რაც მოუნდება... სულ ცოტა დროღა მჭირდება აქაურობასთან ბოლომდე შესაგუებლად, მაგრამ ისე არავინ გაიგოს, თითქოს ამ სიტყვებით თავის მართლებას ვცდილობ. შეუძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს ტალანტი სადღაც დაკარგულიყო. მე ხომ ბოლო ათი წელიწადია სტაბილურად გამაქვს გოლები"*, - აცხადებს ფეხბურთელი.

# რასისტები საქანს მიღმა

სწორედ გუშინ გაცნობეთ, რომ სექტემბერში „ფრეტონ პარკზე" „პორტსმუთისა" და „ტოტენჰემის" დაპირისპირებას სერიოზული სკანდალი მოჰყვა. სასტიკი სიტყვიერი შეურაცხყოფის ატანა უხდებოდა მთელი თამაშის განმავლობაში **სოლ კემპბელს**. მას რასისტულ ნიადაგზეც ამცირებდნენ. პოლიციამ თამაშის დასრულებისთანავე წამოიწყო საქმის გამოძიება და სტადიონზე დამონტაჟებული ვიდეოკამარების ჩანაწერები ამოიღო. რამდენიმე დღის წინ პოლიციამ 16 ეჭვმიტანილის ფოტო გამოაქვეყნა. აი, პირველი შედეგიც: ორი მათგანი პოლიციამ დააკავა, დაკითხა და სასამართლოს მიერ გირაოს შეფარდების შემდეგ შინ გაუშვა. ბრალდებულებს 21 იანვრამდე ბრიტანეთის დატოვების უფლება არ აქვთ. დანარჩენი 14 ეჭვმიტანილის ძებნა გრძელდება.

საინტერესოა, რომ ბრიტანეთში სკანდალი მძვინვარებს უშუალოდ ფეხბურთელის მიერ ჩადენილ კრიმინალთან დაკავშირებითაც. საქმე გვაქვს „ჰალ სიტის" ფორვარდ **მარლონ კინგთან**, ვინც სიმთვრალის დროს ლონდონის ერთ-ერთ ბარში მავან ქალბატონს ფიზიკურად გაუსწორდა. სასამართლო თებერვალში შედგება. ფეხბურთელი წინასწარ პატიმრობას გადაურჩა. საინტერესოა ისიც, რომ მარლონი ციხეში 2001 წელს ერთხელ უკვე იჯდა. ის ნაქურდალ ავტომანქანაში დააკავეს. მაშინ მას სასამართლომ წელიწად-ნახევარი მიუსაჯა, მაგრამ აპელაციის შემდეგ ხუთი თვის თავზე დატოვა ციხის საკანი.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ბასილაშვილის მეექვსე და მეოთხედფინალი

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ყველაზე პრესტიჟულ ახალგაზრდულ ტურნირზე, „ორანჯ ბოულზე" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა. კი ბისკეინში (აშშ) ქართველი მერვედფინალში გავიდა, სადაც ამერიკელ **ევან კინგს** (86) შეხვდა. ბასილაშვილი აქამდე ორჯერ დაუპირისპირდა კინგს და ორივეჯერ მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი გაცილებით წინ არის რეიტინგში. ასე მოხდა მესამედაც, ნიკამ ცაცია კინგი უშანსოდ დატოვა – 6:3, 6:4. მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე კიდევ ერთი ამერიკელია **ჯარმერ ჯენკინსი** (116). რეიტინგმა შეცდომაში არ შეგვიყვანოს – 18 წლის ჯარმერი წლის დასაწყისში მსოფლიოს მე-18 ჩოგანი იყო ახალგაზრდებს შორის. ზაფხულის შემდეგ კი მან უკვე დიდებში გადაინაცვლა.

ესპანეთის ქალაქ ბენიკარლოში მიმდინარეობს ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი ამერიკული დოლარია. **სოფიო ქვაცაბაიამ** მეორე წრეში მექსიკელი **ხიმენა ჰერმოსო** დაამარცხა – 6:1, 6:4. სოფიო მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ესპანელ **მარია-ტერეზა ტორო-ფლორს** შეხვდა. ტორო-ფლორი 16 წლისაა, ის „უაილდ ქარდით" მოხვდა ბენიკარლოში, პირველ წრეში ესპანელმა **ანა ჯიქია** დაამარცხა, მეოთხედფინალში კი 20 წლის ქვაცაბაიასაც აჯობა – 6:2, 6:3. წყვილთა ბადეში ორივე ჩვენებურმა მეოთხედფინალში დაასრულა asპარეზობა. ანა ჯიქიამ ავსტრიელ **შტეფანი რატთან** ერთად მე-4 ნომრად განთესილ რუმინელებთან (**მატეი, მიტუ**) წააგო – 2:6, 3:6. დამარცხდა ქვაცაბაიასა და რუსი **იულია პარასიუკის** მე-3 ნომრად განთესილი დუეტიც, მათ მაკედონიელ **ჟოსიფოსკასთან** და რუს **პეტროვასთან** წააგეს – 6:3, 3:6, 7:10. ამით სეზონი ყველა ქართველმა ქალმა დაასრულა. პროფესიონალებში ქართველებს წლეულს მხოლოდ **ლადო ჩიხლაძე** დაგვრჩა საგულშემატკივრო – ლადო ჩეხეთის ქალაქ ოპავაში განთესილთა შორის იქნება, ტურნირი (10 ათასი $) ორშაბათს დაიწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ნიკოლოზ ბ... ლი

რაგბი

პრესკონფერენცია


პაატა ნარიმანაშვილი


ლევან მაისაშვილი

# ორივე გუნდი ფავორიტია

**დღეს, 16 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე, საქართველოს თასის ფინალში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „ლელო" „აკადემიას" დაუპირისპირდება. რაგბის კავშირში ორივე გუნდის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს.**

## გიორგი ნიჟარაძე,
### საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„აკადემიელებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. მიუხედავად უამრავი სიძნელისა, ამ გუნდმა მოახერხა და ჯერ ჩემპიონატის გათამაშებაში გაალწია პლეი ოფში, მერე კი, აგერ თასის ფინალშიც გავიდა.

რაც შეეხება „ლელოს", ეს გუნდი მუდმივად მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. მისი სათამაშო კლასი და „აკადემიის" ამბიციურობა, ვფიქრობ, მატჩს საინტერესო სანახავს გახდის.

მეორე ღონისძიება კვირას, „შევარდენის" სარაგბო სტადიონზეა და 11 საათზე დაიწყება. სპორტის დეპარტამენტის დახმარებით საშუალება მოგვეცა, ორი საკმაოდ მასშტაბური ბავშვთა სარაგბო ფესტივალი მოგვეწყო. ერთი კვირის წინათ 1994-95 წლებში დაბადებულმა ბავშვებმა იასპარეზეს. ამჯერად კი, მათზე უმცროსები 1996-97 წლებში დაბადებულები ირაკლი ჩხეიძის სახელობის ფესტივალზე ითამაშებენ. სულ თავს 20 გუნდი მოიყრის."

## პაატა ნარიმანაშვილი,
### „აკადემიის" მთავარი მწვრთნელი:

„დარწმუნებული ვარ, თამაში ძალიან საინტერესო გამოვა. „ლელო" ფავორიტია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ისევე როგორც ჩემპიონატისა და თასის განვლილ შეხვედრებში, ახლაც უფრო მეტად, ალბათ, ფორტუნას იმედი უნდა გვქონდეს.

ჩემპიონატის შეხვედრები შემჭიდროებული გრაფიკით, ინტენსიურად წარიმართა. ამან, ცხადია, ბიჭები დაღალა. თუმცა, „აკადემიას," აგერ უკვე ერთი თვეა არ უთამაშია და მორაგბეებმა, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად დაისვენეს, ძალები აღიდგინეს.

სამწუხაროდ, ტრავმების გამო ორი წამყვანი მოთამაშე **გიორგი ქოპილაშვილი** და **გუგა სუთიძე** ვერ ითამაშებენ."

## ლევან მაისაშვილი,
### „ლელოს" მთავარი მწვრთნელი:

„ჩვენს გუნდს საკმაოდ დაძაბული სეზონი ჰქონდა. ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე 10 დღის განმავლობაში სამი ურთულესი შეხვედრა გავმართეთ. მერე ჩვენი ოთხი წამყვანი მოთამაშე, ორი კვირის განმავლობაში საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში იყო მივლინებული. სრული შემადგენლობით გუნდი ოთხი დღეა ვარჯიშობს.

რაც შეეხება ფინალს. აქ ფავორიტი არავინაა. მოწინააღმდეგის შეუფასებლობა არ შეიძლება. ფინალს სხვანაირი ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და მოგების შანსი ორივე გუნდისთვის ერთნაირია. ამ მატჩს ის გუნდი მოიგებს, რომელიც უფრო მობილიზებული გამოვა საასპარეზოდ."

## როლანდ ბატოიანი,
### „აკადემიის" კაპიტანი:

„ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშეს გააზრებული გვაქვს, რომ საქართველოს თასის ფინალში უნდა ვითამაშოთ. გამალებული ვემზადებით. მოსაგები ერთი თამაშილა დარჩა და ვეცდებით მიზნის მისაღწევად მაქსიმუმი გავიღოთ."

## ილია მაისურაძე,
### „ლელოს" კაპიტანი:

„ყველა მორაგბისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა საქართველოს თასის ფინალში თამაში. მე არასდროს მქონია ბედნიერება, თასი ამემართა. ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს მოხდეს. თასი „ლელომ" უნდა წაიღოს. რაგბიში ასეა, ის გუნდი ისჯება, რომელიც მოწინააღმდეგეს პატივს არ სცემს, სათანადოდ არ აფასებს. ჩვენ ვითვალისწინებთ მეტოქის შესაძლებლობებს და შეხვედრას მაქსიმალურად მობილიზებულნი შევხვდებით. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, შერკინების პირველხაზელი **მიხეილ სუჯაშვილი** დაგვაკლდება. მიუხედავად ამისა, თასი „ლელომ" უნდა წაიღოს."

**საქართველოს თასი. ფინალი.**

ლელო: **15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. გოდერძი ჯოგლიძე, 13. გიგა კორკელია, 12. ალექსანდრე მანჯავიძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ჭინჭარაული.**

**1. ბადრი ყალიჩავა, 2. შოთა ცხოვრებაშვილი, 3. ირაკლი მირცხულავა, 4. დავით ჯალალონია, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. ილია მაისურაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ლაშა აზალაძე.**

აკადემია: **15. დავით გურგენიძე, 14. ივანე დავითაშვილი, 13. ბესო წასიძე, 12. ოლეგ მოლოდინაშვილი, 11. როლანდ ბატოიანი, 10. ლევან ხუხუნეიშვილი, 9. შალვა დავითაშვილი.**

**1. გიორგი ლამბაშიძე, 2. ბექა მეკოკიშვილი, 3. გიორგი ლომსაძე, 4. მიხეილ გაჩეჩილაძე, 5. გიორგი ნებულიშვილი, 6. დავით ნიბლაძე, 7. ალექსანდრე მალლაკელიძე, 8. ირაკლი მურვანიძე.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




წინასამატჩო პრესკონფერენცია. სასოფლო-ავიამშენი

# ფავორიტი ავიაა?

## დავეთანხმოთ თუ არა მწვრთნელს

კვირას საქართველოს ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩები გაიმართება. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება წინამორბედთაგან მეტად გამორჩეული ტური, რადგან სამ მატჩში ერთმანეთს თანაბარი ძალის გუნდები ხვდებიან და საინტერესო ბრძოლებს უნდა ველოდეთ.

ტურის ცენტრალურ შეხვედრად "სასოფლოსა" და "ავიამშენის" დაპირისპირება მოინათლა. პრესკონფერენციაც ამ თამაშს მიეძღვნა.

ჟურნალისტებთან შეხვედრა "ავიატორთა" გუნდის უფროსმა **ლევან ჭალისურმა** გახსნა:

- როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მოგებას ვგეგმავთ. იმასაც ვითვალისწინებთ, რომ "სასოფლო" სერიოზული გუნდია და იოლი გასეირნება არ გველის. საყურადღებოა, რომ სადღეისოდ ჩვენც და "სასოფლოსაც" 2-2 ნაგება გვაქვს და სატურნირო ცხრილში უკეთესი პოზიციისთვის კვირას საინტერესო ბრძოლა გაჩაღდება. სხვათა შორის, ძალიან გვწყდება გული პირველი ნაგების გამო – პირველ ტურში, "ნტდ\თბილისთან" 7 კალათბურთელით ვითამაშეთ. მაშინ ჩვენი ბედი ბოლომდე არ იყო გარკვეული... თუმცა, მას შემდეგ საქმე უკეთესობისკენ წავიდა და ახლა დანაკარგის ანაზღაურებას ვცდილობთ. "სასოფლოსთან" მატჩში დაგვაკლდება გამთამაშებელი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც "დინამოსთან" ამხანაგურ მატჩში კოჭი დაიზიანა. დღეს, ასევე კოჭი იტკინა კიდევ ერთმა გამთამაშებელმა ბუბა კვიმსაძემ, რომლის თამაში სათუოა.

"ავიამშენის" ფავორიტობას გაუსვა ხაზი "სასოფლოს" თავკაცმა **მიხეილ კობეშავიძემ:**

- "ავიატორები" არა მხოლოდ ზეგინდელი მატჩის, არამედ მთლიანად ჩემპიონატის ფავორიტები არიან. მათ კარგად დაბალანსებული და გამოცდილი გუნდი ჰყავთ. დაგვაკლდება მიხეილ ბერიშვილი, რომელიც ამერიკის კლუბ "ოკლაჰომაში" გაემგზავრა. ასევე არ გვეყოლება ტატო ჩაჩიბაია, რომელიც სამშაბათს ოპერაციას იკეთებს. მინდა ერთი სიახლეც მოგახსენოთ, "სასოფლოში" ახალი კაპიტანი ავირჩიეთ – ბექა წივწივაძე, რომელიც პოლონეთიდან დაგვიბრუნდა. იქ დარჩენის შანსი კი ჰქონდა, მაგრამ მეტი სათამაშო დროის მხრივ ჩვენთან დაბრუნება არჩია. მის ასაკში თამაში და გამოცდილების დაგროვება აუცილებელია.

მწვრთნელისგან სიტყვა **ბექა წივწივაძემ** გადაიბარა:

- მწვრთნელს ვერ დავეთანხმები – "ავიამშენი" ფავორიტი არ არის. ჩემი აზრით, გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად აქვს. მიშა ბერიშვილი ძალიან დაგვაკლდება, მაგრამ ვეცდებით ჩვენი პლუსი გამოვიყენოთ და ახალგაზრდული ჟინისა და მონდომების ხარჯზე შედარებით გამოცდილი მეტოქე დავამარცხოთ.

"ავიატორთა" შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა **ნოდარ ბერაიაა**. პრესკონფერენცია სწორედ მან დაასრულა:

- გუნდში ორი ტრავმირებული გვყავს, თუმცა ვეცდებით ამის მიუხედავად ჩვენი თამაში ვუჩვენოთ და გამარჯვება არ დავთმოთ. საბოლოოდ რა მოხდება, კვირას ვნახავთ.

ინტერვიუ მიხეილ კობეშავიძესთან

# მისაბაძი ქომაგობა გვაქვს

**საქართველოს ჩემპიონატში დებიუტანტის კვალობაზე კარგად გამოიყურება სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდი. "სასოფლოს" 8 მატჩში 6 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილშია. მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს გუნდის აწმყოსა და მომავალზე საუბარი, რაშიც "სასოფლოს" მთავარი მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე დაგვეხმარება.**

- გუნდი გვიან, 15 სექტემბერს შევკრიბეთ... კარგად მოგეხსენებათ, რომ სრულყოფილებისთვის არა 5-6 თვე, არამედ წლებია საჭირო. ასე და ამგვარად, ახლადშეკრებილი "სასოფლოს" მიერ ნაჩვენები შედეგებით მთლად უკმაყოფილო არ ვარ. აგერ, "სან ანტონიოს" უწერია 10 ნაგება და რა გასაკვირია, ჩვენ საქართველოს ჩემპიონატში 2 მარცხი გვქონდეს. მთავარია, გუნდმა ბოლომდე იბრძოლოს და გულშემატკივარს ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს, თითქოს ქუჩიდან მოვედით.

**- გუნდის უფროსობა რა მიზნებს გისახავთ?**

- ხელმძღვანელობის და ჩვენი მიზანია ბრძოლისუნარიანი, დისციპლინირებული გუნდის შეკრება. რაც შეეხება რეგულარულ სეზონს, იქ ოთხეულში მოხვედრა გვსურს. რაც შეიძლება, მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთ, რათა პლეი ოფში შედარებით სუსტი მეტოქე შეგვხვდეს.

**- პლეი ოფში საკუთარ მოედანზე თამაში ბევრს ნიშნავს. სასოფლოს დარბაზი კი ჩემპიონატის მატჩებისთვის საჭირო სტანდარტებს აკმაყოფილებს...**

- სასწავლებლის რექტორი, გელა ჯავახიშვილი ყოფილი კალათბურთელია. სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა საკალათბურთო გუნდი. კლუბის შექმნა შარშანაც სურდა, მაგრამ ეს საქმე წლეულს გამოვიდა. ბაზა მართლაც კარგი გვაქვს, თუმცა ამ ჩემპიონატში სასოფლოს არენაზე ვერ ვითამაშებთ. მომავალი სეზონისთვის ხელმძღვანელობა იატაკის გამოცვლას, ფარებისა და ტაბლოს შეძენას აპირებს. სწორედ მომდევნო ჩემპიონატიდან ვითამაშებთ საკუთარ სარბიელზე. სპორტის სასახლეში ამდენი ქომაგი მოდის და, დარწმუნებული ვარ, სასოფლოს დარბაზში გამართულ მატჩებზე ტრიბუნები ბოლომდე გაივსება. მატკივრების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ყველაზე მეტი და აქტიური ქომაგობა ჩვენ გვყავს. იმედია, ამ მხრივ სხვა გუნდებიც მოგვბაძავენ.

**- ახლახან ამერიკაში წავიდა "სასოფლოს" ლიდერი მიხეილ ბერიშვილი...**

- ეს მისი კარიერისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, ჩვენი გუნდისთვის კი – დიდი დანაკლისი. ვეცდებით, მიშას წასვლა ჩვენს თამაშზე არ ავსახოთ, თუმცა ერთგვარი გადაწყობა მაინც მოგვიწევს.

**- სეზონში "სასოფლოს" საუკეთესო მატჩი რომელი იყო?**

- დუდუ დადიანის თასზე "ავიამშენი" დავამარცხეთ და ფინალის საგზური მოვიპოვეთ. ეს იყო საუკეთესო მატჩი. ასევე მინდა გავიხსენო რუსთავური შეხვედრა, სადაც "ენერჯისთან" ბოლო წამებზე დავმარცხდით... ყველაზე ცუდად კი ბოლო ტურში, "ნტდ\თბილისთან" ვითამაშეთ. მეტოქემ გრძელი სათადარიგოთა სკამის წყალობით მოგვიგო. ჩვენმა მეფარეებმაც ცუდად ითამაშეს...

**- თუმცაღა, არავიზე ნაკლები წინახაზელები გყავთ...**

- ჩვენი მეფარეები ახალგაზრდები არიან. "ნტდ\თბილისში" ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეფარე პლასიდე როდუმტა თამაშობს, "ავიამშენში" ვატო ნაცვლიშვილი და რიჩარდ მათიაშვილი ირიცხებიან. ხოლო "ენერჯიში – დავით უგრეხელიძე...

**- "სასოფლოს" პარალელურად იუნიორთა ნაკრებს წვრთნით...**

- ჭაბუკთა ნაკრების წევრებს კვირაში ერთხელ, ორშაბათობით ვავარჯიშებ. ჯერ მხოლოდ ადგილობრივებთან ვმუშაობ, თუმცა ძირითადი ბირთვი მაინც საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში მოასპარეზე კალათბურთელებმა უნდა შეადგინონ. ზოგიერთი მათგანი უმაღლეს ლიგაშიც ცდის ძალებს – მერაბ ბოქოლიშვილი, გიორგი ტეტელაშვილი, აკაკი დვალიშვილი...

**- ლეგიონერებიდან ვის უწევს 18-წლამდელთა ნაკრებში თამაში?**

- იტალიაში მოასპარეზე ნიკა მეტრეველს და ესპანეთში მოთამაშე თორნიკე შენგელიასა და ბექა ჩიკვილაძეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ავტორის ფოტოები




მიხეილ კობეშავიძე



სამბო

პრესკონფერენცია

# როცა მეგობრებს ვიზები ენანებათ

წლეულს, გაზაფხულზე, სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლა. მაშინ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ლევან ნიკლაური** და **მირიან პავლიაშვილი** ავიდნენ, რამდენიმე სპორტსმენმა კი საპრიზო ადგილები დაიკავა. ნოემბერში ჩვენები მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებული პოლიტიკური სიტუაციის გამო ქართველმა სამბისტებმა სანქტ-პეტერბურგში წასვლაზე უარი თქვეს, სამაგიეროდ, კაუნასში (ლიტვა) სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს. უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველთაგან არავის უასპარეზია, რადგან შარშანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულმა **უშანგი კუზანაშვილმა** წონა არ დაიკლო და 57 კილოში აინაცვლა, სადაც **ავანდილ ცინცაძეც** ცდიდა ძალებს. სამწუხაროდ, ქართველი მოჭიდავეები ნახევარფინალში, შესაბამისად, რუს **ვლადიმირ ბერზოვსკისთან** და უკრაინელ **ანდრეი კირილსიუკთან** დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

62 კილოში **გელა ბარათაშვილი** გამოდიოდა. ფინალში გადასასვლელი შეხვედრა მან ლიტველ **არტემი სიტენკოვს** მოუგო, თუმცა გადამწყვეტი ორთაბრძოლა რუს **ასლან მუდრანოვთან** დათმო და „ვერცხლი“ ერგო. ასევე, მხოლოდ ფინალური შეხვედრა წააგო **ბექა იმერლიშვილმა** (68) რუს **ანტონ ჟუკოვთან**. სამაგიეროდ, მომდევნო ხუთიდან ოთხ წონაში ქართველმა სამბისტებმა იზეიმეს გამარჯვება. 74 კილოში **კახა მამულაშვილმა** ჯერ ფრანგ **გედერიკ ბონდისს** დააყრევინა ფარხმალი, მერე ლიტველი **გინტარას ალექნავიჩუსი** ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი რუსი **არტიომ ფომინი** დადო ბეჭებზე და საქართველოს სპორტულ დელეგაციას ოქროს მედალი შესძინა. საგულისხმოა, რომ კახას შეჯიბრების საუკეთესო მოჭიდავის პრიზიც ერგო.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **გიორგი იაძე** (82 კგ). პირველ მეტოქედ მასაც ფრანგი სამბისტი ხვდა - **ნიკოლას ბერნარდი**, რომლის ძლევაც არ გასჭირვებია. იოლად დაამარცხა ლიტველი **არნას პაგოიუსი**, ბოლოს კი რუს **ალექსანდერ მაკეიჩევს** აჯობა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში წარმომადგენელი არ გვყოლია. ლიტვის საკონსულომ, რატომღაც, ლევან ნიკლაურს ვიზა არ მისცა, ხოლო ამ წონის ლიდერმა, შარშანდელმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა **მინდია ბოდაველმა** 100 კილოში აინაცვლა, რადგან ობიექტური მიზეზების გამო მირიან პავლიაშვილმა კაუნასში გამგზავრება ვერ შეძლო. ბოდაველმა მისთვის უჩვეულო წონაში არაფერი დაუთმო მეტოქეებს - ზედიზედ დაამარცხა რუსი **მაქსიმ ნეგანოვი**, ლატვიელი **დენის ზილკინსი**, ლიტველი **მარიუს ლაბალაუკისი** და ჩემპიონი გახდა. საგულისხმოა, რომ მინდიამ ამას წინათ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატზეც პირველი ადგილი დაიკავა.

თანაგუნდელებს მხარი აუბა მძიმეწონოსანმა **ვახტანგ ზოიძემაც**. ოქროს მედლამდე მას სულ ორი ორთაბრძოლის გამართვამ მოუწია: ჯერ ერთ ლიტველს - **დენისას სოკოლასს**, შემდეგ მის თანაგუნდელს **ტომას მეშკოვსკისს** აჯობა...

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სტუდენტთა პირველობის გამარჯვებულები, პრიზიორები და მათი მწვრთნელები მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

- ჩემპიონატზე რვა სპორტსმენი წავიყვანეთ და ყველამ მედალი დაიმსახურა, - გვითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ**. - ამის მიუხედავად, კმაყოფილი მაინც არ ვარ. საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსებმა 2,5 ქულით გვაჯობეს და პირველი ადგილი დაიკავეს, არადა, მათთვის უნდა გაგვესწრო - კუზანაშვილს, ცინცაძეს, ბარათაშვილსა და იმერლიშვილს კვარცხლბეკზე უფრო მაღალი საფეხურები უნდა დაეკავებინათ. მორალურად და მატერიალურადაც დაგვაზარალა ლიტვის საკონსულომ. ჯერ ერთი, რომ ლევან ნიკლაურს, რომელიც გერმანიიდან სამი კვირის წინათ ჩამოვიდა და მთელი ევროპა აქვს მოვლილი, ვიზა არ მისცა. მიზეზიც არ აგვიხსნეს. საერთოდაც, ჯვარს გვაცვეს, სანამ გამგზავრების ნებართვას ავიღებდით. ჩემი და ზოიძის ვიზის თანხა კი სულაც ორჯერ გადავიხადე. 120 ევროს არ ვჩივი, უბრალოდ, მეგობარი ქვეყნის ჩინოვნიკებისგან მორალური შეურაცხყოფაა გულსატკენი, თორემ კაუნასში გულითადად გვიმასპინძლეს. რომ არა ნიკლაურის წამოუსვლელობა, გუნდური პირველობა ჩვენ დაგვრჩებოდა, თუმცა 16 ქვეყნის წარმომადგენელთა პაექრობაში მოპოვებული მეორე ადგილიც ურიგო როდია.

სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატით ქართველმა სამბისტებმა წლევანდელი სეზონი დაამთავრეს. ხვალ ისინი ბაკურიანს მიემგზავრებიან საწვრთნელ შეკრებაზე საერთო ფიზიკური მომზადების გასავლელად, 29 დეკემბერს კი საბოლოოდ შეაჯამებენ წლის შედეგებს და სამ-სამ საუკეთესო მოჭიდავესა და მწვრთნელს დაასახელებენ.

ვაჟა **დანელია**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“

ან „ვეფხისტყაოსანი“

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია“

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“



მედია სახლი „პალიტრას“ გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. VII ტური

**A ჯგუფი**

**ციბონა-ლე მანი 89:70**
20:18, 26:23, 26:17, 17:12
ც: მარლაში (21), კელოუეი (18), როგიჩი (12), კუსი (11), პრკაჩინი (10).
ლ-მ: ბლუტენტალი (15+7 მოხსნა), კოფი (14), ბატისტა (12).

**უნიკახა-ოლიმპიაკოსი 60:56**
17:20, 11:15, 18:9, 14:12
უ: კელატი (16).
ო: პრინტეზისი (12), შორცანიდისი (12), ბურუსისი (10+3 ჩაჭრა).

**აველინო-მაკაბი 72:86**
20:22, 20:26, 16:17, 16:21
ა: ბესტი (17), სლეი (14), ტუშეკი (13).
მ: ბრაუნი (26), ელიაჰუ (18+10 მოხსნა), ფიშერი (17+10 მოხსნა), გრინი (14+7 მოხსნა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 5/2 | 61 |
| 2. უნიკახა | 5/2 | 45 |
| 3. ციბონა | 5/2 | 22 |
| 4. მაკაბი | 4/3 | 0 |
| 5. აველინო | 2/5 | -56 |
| 6. ლე მანი | 0/7 | -72 |

**B ჯგუფი**

**მონტეპასკი-ჟალგირისი 100:93**
26:19, 31:21, 16:23, 27:30
მ: დომერკანტი (21), კ. ლავრინოვიჩი (19), კაუკენასი (17+5 პასი), მაკინტაირი (14+6 პასი), სატო (11).
ჟ: მაჩიულისი (21+4 ჩაჭრა), კალნიეტისი (20+4 ჩაჭრა), ვუდსი (17+8 მოხსნა).

**ნანსი-პროკომი 78:70**
24:22, 20:14, 12:18, 22:16
ნ: მორანდაისი (18), კოქსი (16), ჯულიანი (13+14 მოხსნა+5 ჩაჭრა), უილსონი (12+9 მოხსნა).
პ: ლოგანი (22), იუინგი (17+5 პასი), ბარელი (14+9 მოხსნა), ბურკი (14+9 მოხსნა).

**პანათინაიკოსი-ბარსელონა 76:87**
18:25, 20:24, 15:19, 23:19
პ: ბატისტი (21+7 მოხსნა), სპანულისი (13+5 პასი), ნიკოლასი (11), ფოცისი (3).
ბ: ანდერსენი (22+9 მოხსნა), ბაზილე (16+5 პასი).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6/1 | 103 |
| 2. მონტეპასკი | 6/1 | 82 |
| 3. პანათინაიკოსი | 5/2 | 25 |
| 4. პროკომი | 2/5 | -14 |
| 5. ნანსი | 2/5 | -100 |
| 6. ჟალგირისი | 0/7 | -96 |

**C ჯგუფი**

**ალბა-ფენერბაჩე 72:63**
10:19, 17:11, 24:18, 21:15
ა: სესეი (17), მაკელროი (16+4 ჩაჭრა), იაკობსენი (11).
ფ: თურქჩანი (13+7 მოხსნა).

**ტაუგრესი-ოლიმპია 101:69**
25:27, 27:10, 20:13, 29:19
ტ: მაკდონალდი (21), ტელეტოვიჩი (13), სან-ემეტერიო (12), მიკელი (12), ბარაჩი (11+8 მოხსნა).
ო: ქუპანი (15), რობინსონი (12), გოლუბოვიჩი (12+9 მოხსნა).

**ხუვენტუდი-რომა 97:93**
26:24, 22:24, 28:21, 21:24
ხ: რაიტი (19+7 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (15), ერნანდეს-სონსეკა (14), მალეტი (12+5 პასი).
რ: ჰათსონი (22+8 მოხსნა), ბეჩიროვიჩი (14+5 პასი), ჯენინგსი (12), დე ლა ფუენტე (11), ჯააბერი (11+7 მოხსნა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი | 5/2 | 88 |
| 2. რომა | 5/2 | 34 |
| 3. ხუვენტუდი | 4/3 | 28 |
| 4. ფენერბაჩე | 3/4 | -26 |
| 5. ალბა | 3/4 | -48 |
| 6. უნიონი | 1/6 | -76 |

**D ჯგუფი**

**ცსკა-პანიონიოსი 93:61**
29:17, 21:14, 20:10, 23:20
ც: სმოდიში (15), ლენგდონი (14+5 პასი), ხრიაპა (14), ლორბეკი (13), მორისი (10).
პ: დიკუდისი (15), ცვეტკოვიჩი (13), ზოროსკი (10).

**ეფესი-მილანი 74:67**
28:19, 11:18, 15:17, 20:13
ე: ვუიანიჩი (20), ფექერი (19+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), სმიტი (12+3 ჩაჭრა), ტორნტონი (10).
მ: ბულერი (14+5 პასი), როკა (11+8 მოხსნა).

**რეალი-პარტიზანი 68:67**
24:9, 12:15, 16:25, 16:18
რ: რეიესი (15+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), მ. ტომასი (10).
პ: ტრიპკოვიჩი (22), ველიჩკოვიჩი (10).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 6/1 | 118 |
| 2. რეალი | 4/3 | 27 |
| 3. პარტიზანი | 3/4 | 7 |
| 4. ეფესი | 3/4 | -33 |
| 5. პანიონიოსი | 3/4 | -75 |
| 6. მილანი | 2/5 | -44 |

**ტურის მოთამაშე**

ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის მეშვიდე ტურის საუკეთესო მოთამაშე ხორვატიის "ციბონას" მცველი **როული მარშალი** გახდა. "ტაუგრესთან" საშინაო შეხვედრაში (89:70) ამერიკელმა ლეგიონერმა 21 ქულა, 5 მოხსნა, 3 შედეგიანი პასი და 2 ჩაჭრა დააგროვა. "ციბონას" კალათბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 34 ქულა შეადგინა.

ტურის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის პრეტენზიას აცხადებდნენ - **ქაია პექერი** ("ეფესი"), **ანდრე ჰათსონი** ("რომა"), **მანტას კალნიეტისი** ("ჟალგირისი"), **მაიკ ბატისტი** ("პანათინაიკოსი"), **დევიდ ანდერსენი** ("ბარსელონა"), **უროშ ტრიპკოვიჩი** (პარტიზანი"), **დიორ ფიშერი** ("მაკაბი").

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**იუტა-პორტლენდი 97:88**
29:27, 28:19, 21:20, 19:22
ი: ოქური (27+10 მოხსნა), მილსეპი (17+12 მოხსნა), დ. უილიამსი (14+11 პასი), რ. ბიუერი (10).
პ: როი (33+8 მოხსნა), ოლდრიჯი (22), ფერნანდესი (10), ოდენი (8+9 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 88:122**
21:36, 18:27, 35:26, 14:33
ვ: ბატლერი (19), დიქსონი (17+7 პასი+4 ჩაჭრა), ჯეიმისონი (17), მაკგი (11+3 დაფარება).
ბ: პირსი (22+8 პასი), რ. ალენი (22), ჰაუსი (14), პერკინსი (12), რონდო (11+6 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (11+12 მოხსნა+7 პასი), ტ. ალენი (10+5 ჩაჭრა), გ. დევისი (9+7 მოხსნა).

**დალასი-შარლოტი 95:90**
26:24, 27:30, 21:20, 21:16
დ: ტერი (26), ნოვიცკი (23+13 მოხსნა), კიდი (12+7 პასი+3 ჩაჭრა), ბასი (11+9 მოხსნა).
შ: ოკაფორი (27+17 მოხსნა+3 დაფარება), ფელტონი (16+6 პასი+3 ჩაჭრა), ოგუსტინი (9+10 პასი).

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია-კაროლინა 6:5 (ბ)**
0:1, 1:4, 4:0, 0:0
**გოლები:** 0:1 ე. სტაალი-10 (ტ. რუუტუ-7), 0:2 კულენი-8 (ჯასტინ უილიამსი-1, ბაიდა-6), 1:2 ჰარტნელი-7 (ჯ. კარტერი-8), 1:3 სამსონოვი-4 (ე. სტაალი-8, ტ. რუუტუ-8), 1:4 პიტკანენი-2 (ოეი უიტნი-13, ბრინდამორი-10), 1:5 ე. სტაალი-11 (ტ. რუუტუ-9, კორვო-7), 2:5 ჰარტნელი-8 (ალბერტსი-6, ჯ. კარტერი-9), 3:5 ჰარტნელი-9 (ლუპული-6, ქობურნი-9), 4:5 აპშოლი-5 (კუკონენი-2, ალბერტსი-7), 5:5 საიმონ განიე-15 (ნუბლი-8, მ. რიჩარდსი-20).
**ბულიტები გაიტანეს:** საიმონ განიე (ფილადელფია), მ. რიჩარდსი (ფილადელფია).

**კოლამბუსი-ნეშვილი 2:1 (ბ)**
0:0, 0:0, 1:1, 0:0
**გოლები:** 0:1 ერატი-8 (არნოტი-9, სატერი-14), 1:1 კომოდორი-1 (რასელი-3, ბრასარი-14).
**ბულიტები გაიტანეს:** ნეში (კოლამბუსი), ფიდლერი (ნეშვილი), ვორაჩეკი (კოლამბუსი).

**მონრეალი-ტამპა ბეი 1:3**
1:2, 0:1, 0:0
**გოლები:** 1:0 ბრისბუა-2 (კოვალიოვი-17, მარკოვი-19), 1:1 სენტ ლუისი-9 (რეკი-10, ლეკავალიე-14), 1:2 ლეკავალიე-12 (მეზაროში-8, კრაიჩეკი-5), 1:3 სენტ ლუისი-10 (კრაიჩეკი-6).

**პიტსბურგი-აილენდერსი 9:2**
4:1, 4:0, 1:1
**გოლები:** 1:0 დუპუი-4 (შატანი-10, სკუდერი-6), 2:0 შატანი-11 (კუკი-9, კროსბი-29), 2:1 შტრაიტი-7 (უეიტი-21, ჰანტერი-11), 3:1 სიკორა-8 (მალკინი-36, ფედოტენკო-6), 4:1 ბუშე-1 (კროსბი-30, შატანი-11), 5:1 მალკინი-12 (გოლიგოსკი-8, სიკორა-11), 6:1 სიკორა-9 (გოლიგოსკი-9, ტელბოტი-3), 7:1 სიკორა-10 (კროსბი-31, ჯ. სტაალი-7), 8:1 დუპუი-5 (ჯ. სტაალი-8, სკუდერი-7), 8:2 სატონი-1 (ბეილი-7, პარკი-6), 9:2 დუპუი-6 (კუკი-10, ორპიკი-5).

**ედმონტონი-ფლორიდა 0:2**
0:0, 0:1, 0:1
**გოლები:** 0:1 უეისი-5 (მაკეიბი-8, ფროლიკი-6), 0:2 დვორაკი-4 (პელტონენი-7).

**ფინიქსი-მინესოტა 3:1**
0:0, 2:0, 1:1
**გოლები:** 1:0 ზ. მიხალეკი-2 (დოუნი-15, რაინპრახტი-10), 2:0 ო. იოკინენი-10 (მიულერი-12, ბოედკერი-8), 3:0 ლინდსტრიომი-1 (რაინპრახტი-11, ლისინი-3), 3:1 მიეტინენი-8 (ბრუნეტი-9, მ. კოივუ-20).

**ლ. ანჯელესი-სტ. ლუისი 6:2**
1:0, 3:1, 2:1
**გოლები:** 1:0 ფროლოვი-12 (ქუინსი-15, სტოლი-6), 2:0 დ. ბრაუნი-9 (ქუინსი-16, სტოლი-7), 3:0 დ. ბრაუნი-10 (კოპიტარი-15, დოუტი-7), 4,0 კოპიტარი-8 (ო'სალივანი-9, პურსელი-1), 4:1 რადოკი-2 (პოლაკი-3), 4:2 კოლაიაკოვო-1 (პერონი-16, ტკაჩუკი-8), 5:2 დ. ბრაუნი-11 (სტოლი-8, კალდერი-5), 6:2 კოპიტარი-9 (ო'სალივანი-10).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 2:0**
1:0, 1:0, 0:0
**გოლები:** 1:0 მარლო-13 (გრირი-8, გოკი-4), 2:0 სეტოგუჩი-14 (მარლო-18, ვლასიჩი-15).

---

ყველა ვარსკვლავის მატჩი 2009

# ჰოვარდი წინ გაიჭრა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილეებისთვის ხმის მიცემის საშუალედო შედეგები გამოცხადდა. ამ ეტაპზე ყველაზე მეტი ხმა (775 933) აქვს მიღებული "ორლანდო მეჯიქის" ცენტრალურ თავდამსხმელს **დუაიტ ჰოვარდს**.

როგორც ცნობილია, გულშემატკივრების ტრადიციული გამოკითხვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციების ნაკრებთა სასტარტო ხუთეულების გამოვლენას ისახავს მიზნად, ხოლო დანარჩენ 7-7 კალათბურთელს გუნდების მწვრთნელები ასახელებენ.

"ოლ სტარი" დღეს რომ ტარდებოდეს, მონაწილე გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობებით გავიდოდნენ:

**აღმოსავლეთი:** დუეინ უეიდი ("მაიამი"), ალენ აივერსონი ("დეტროიტი"), ლებრონ ჯეიმსი ("კლივლენდი"), კევინ გარნეტი ("ბოსტონი"), დუიატ ჰოვარდი ("ორლანდო");

**დასავლეთი:** კობი ბრაიანტი ("ლეიკერსი"), კრის პოლი ("ნიუ ორლეანი"), ტიმ დანკანი ("სან ანტონიო"), ამარე სტაუდმაიერი ("ფინიქსი"), იაო მინი ("ჰიუსტონი").

დღეისთვის გამოკითხვის საშუალედო შედეგები ასე გამოიყურება:

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| **მცველები** | |
| დუენ უეიდი (მაიამი) | 623 311 |
| ალენ აივერსონი (დეტროიტი) | 492 093 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 236 634 |
| რეი ალენი (ბოსტონი) | 174 155 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 124 705 |
| **ფორვარდები** | |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 643 786 |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | 495 514 |
| იი იანლიანი (ნიუ ჯერსი) | 356 556 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 274 195 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 153 512 |
| **ცენტრები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 775 933 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 116 708 |
| რაშიდ უოლასი (დეტროიტი) | 88 885 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ტორონტო) | 75 324 |
| ელ ჰორფორდი (ატლანტა) | 45 284 |




| დასავლეთი | |
|---|---|
| **მცველები** | |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 719 252 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 406 220 |
| ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | 332 222 |
| მანუ ჯინობილი (სან ანტონიო) | 166 981 |
| ჯეისონ კიდი (დალასი) | 162 286 |
| **ფორვარდები** | |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 442 203 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი) | 370 470 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 327 233 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 261 952 |
| პაუ გასოლი (ლეიკერსი) | 260 374 |
| **ცენტრები** | |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 529 290 |
| შაკილ ო'ნილი (ფინიქსი) | 227 273 |
| მეჰმეთ ოქური (იუტა) | 162 139 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეიკერსი) | 155 689 |
| გრეგ ოდენი (პორტლენდი) | 71 366 |

# ლიგაში ტრავმები გახშირდა

ბოლო ტურის შემდეგ რეგულარულ ჩემპიონატს ტრავმების გამო კიდევ რამდენიმე კალათბურთელი გამოაკლდა.

"ჰიუსტონ როკეტსის" ერთ-ერთი ლიდერი **რონ არტესტი** მინიმუმ ორი მატჩით ვერ დაეხმარება თავის გუნდს. ფორვარდს ფეხის კუნთი დაეჭიმა და ექიმების ვარაუდით, დაახლოებით ერთკვირიანი მკურნალობა ესაჭიროება.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად "ჰიუსტონის" მწვრთნელთა განკარგულებაში მხოლოდ 10 კალათბურთელია. მუხლის ტრავმის გამო ზედიზედ 7 მატჩია ვერ ახერხებს მოედანზე გასვლას წამყვანი მცველი **ტრეისი მაკგრეიდი**. ბოლო ინფორმაციით, ტი-მაკმა გუშინ განაახლა გუნდთან ერთად ვარჯიშები და მისი დაბრუნება მომავალ კვირას არის დაგეგმილი.

*"წამყვანი კალათბურთელების ტრავმების მიუხედავად, რაც შეიძლება მეტი თამაშის მოგება უნდა შევძლოთ. ჩვენ ვიცოდით, რომ არტესტს ადრეც ჰქონდა ფეხთან დაკავშირებული პრობლემები და მისი ტრავმა მოულოდნელი არ ყოფილა"*, - განაცხადა "რაკეტების" დამრიგებელმა **რიკ ადელმანმა**.




■ ■ ■

არტესტის მსგავსად, ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს "კლივლენდ კავალიერზის" ძირითად ცენტრს **ჟიდრუნას ილგაუსკასს**. ლიტველსაც ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული.

ილგაუსკასმა დაზიანება "ფილადელფიასთან" მატჩში მიიღო, როდესაც ერთ-ერთ ეპიზოდში **დონიელ მარშალის** ტყორცნის დაფარება სცადა.

მოხსნების რაოდენობით "კავალიერზის" ლიდერს სასტარტო ხუთეულში ბრაზილიელი **ანდერსონ ვარეჟაო** შეცვლის.

■ ■ ■

გაცილებით სერიოზული ტრავმა აღმოაჩნდა "ოკლაჰომა სიტის" ცენტრს **კრის უილკოქსს**. მან "მემფისთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში მარცხენა ხელის თითი იღრძო და ექიმების ვარაუდით, დაახლოებით 10-14 დღე ვერ შეძლებს თამაშს.

ამ სეზონში უილკოქსი შვიდჯერ გამოჩნდა "ოკლაჰომას" სასტარტო ხუთეულში. მისი საშუალო მონაგარი 13.7 ქულას შეადგენს.

## სხვადასხვა

ფორმულა 1

### ჰონდა 150 მილიონს დაკარგავს

ბრიტანული გაზეთ "თაიმსის" ცნობით, იაპონურ საჯინიბო "ჰონდას" ფორმულა 1-დან გასვლა დაახლოებით 150 მილიონი დოლარი დაუჯდება.

სწორედ ასეთი თანხის გადახდა მოუწევთ იაპონელებს საკონტრაქტო ვალდებულებების შესასრულებლად. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "ჰონდას" 2009 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე მყიდველი არ გამოუჩნდება.

მარტო საპრიზო პილოტ **ჯენსონ ბატონთან** კონტრაქტის გაწყვეტა "ჰონდას" 35 მილიონზე მეტი დაუჯდება, გარდა ამისა, ავტოგიგანტმა ბრეკლიში მდებარე ბაზაზე მომუშავე 700 თანამშრომლის კომპენსაციაზეც უნდა იზრუნოს. მაგრამ "ჰონდაში" დარწმუნებულნი არიან, რომ ფორმულას დატოვებით სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

*"ვფიქრობ, ხუთი წლის შემდეგ ყველა დარწმუნდება, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ"*, - ამბობს Honda Motor-ის პრეზიდენტი **ტაკეო ფუკუი**.

კალათბურთი

### ლატვია ევროპაზე უარს ამბობს

ქალთა შორის ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ლატვიაში ჩატარებას საფრთხე დაემუქრა. ამის მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაცია გახლავთ.

ლატვია ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად დაახლოებით 4 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებდა. ამ თანხიდან 2.8 მილიონი სახელმწიფოს უნდა გამოეყო, 700 ათას დოლარზე მეტს კი რიგის, ლიეპაისა და ვალმიერის თვითმმართველობები გამოდიოდნენ. სხვათა შორის, ამ ქალაქების ხელმძღვანელებსაც ეჭვი ეპარებათ, რომ შეძლებენ საჭირო თანხის მოძიებას.

ველოსპორტი

### 2010 წლის ტური როტერდამში დაიწყება

ლეგენდარული ფრანგული ველომარათონი ტურ დე ფრანსი 2010 წელს სტარტს ჰოლანდიის ქალაქ როტერდამიდან აიღებს. პირველი ეტაპის გამართვა 3 ივლისს არის დაგეგმილი. ამის შესახებ ფრანგული გაზეთი "ეკიპი" იტყობინება.

9-კილომეტრიანი რბოლა როტერადმის ქუჩებსა და ქალაქის სამ ხიდზე გაივლის. მეორე დღეს, 4 ივლისს, პელოტონი ბელგიის საზღვრისკენ გაემართება. 2010 წლის რბოლის სხვა დეტალები ორგანიზატორებს ჯერ არ დაუსახელებიათ.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ტურ დე ფრანსი მონტე კარლოდან აიღებს სტარტს.

ციგურებით სირბილი

### კლასენი ამ სეზონში არ გაირბენს

ტურინის ოლიმპიური თამაშების ხუთგზის მედალოსანი, კანადელი **სინდი კლასენი** მთლიანად გამოტოვებს 2008-09 წლების სეზონს.

1500 მეტრ დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ეს გადაწყვეტილება მწვრთნელებთან შეთანხმებით მიიღო. კლასენს არ სურს საფრთხე შეუქმნას 2010 წლის ოლიმპიადისთვის მზადების გეგმას. როგორც ცნობილია, 29 წლის მოციგურავემ ორივე მუხლზე ოპერაცია გადაიტანა და მისი სპორტში დაბრუნება იანვარში იყო ნავარაუდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტოსპორტი



# უემბლიზე ჩემპიონები იკრიბებიან

14 დეკემბერს, ავტოსპორტის მოყვარულთა ყურადღება ლონდონის ლეგენდარული „უემბლის“ სტადიონისკენ იქნება მიპყრობილი. ინგლისის მთავარი საფეხბურთო არენა ზედიზედ მეორედ ტრადიციულ ჩემპიონთა რბოლას უმასპინძლებს.

რბოლის წინ, მაყურებელი ერთი საინტერესო დაპირისპირების მოწმე გახდება - ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** თავისი „მაკლარენით“ პეკინის სამგზის ჩემპიონ ველომრბოლს **კრის ჰოის** გაეჯიბრება. ორი ბრიტანელი გაარკვევს, რა უფრო სწრაფია – ფორმულა 1-ის ბოლიდი თუ ჩვეულებრივი ველოსიპედი. სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ, ჰოიმ უკვე მოუგო ერთი დუელი ჰემილტონს - ველომრბოლი დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

წლევანდელი ჩემპიონთა რბოლის მონაწილეებს შორის ფორმულა 1-ის ოთხი ყოფილი და მოქმედი პილოტი ირიცხება. ესენი არიან: **მიხაელ შუმახერი, სებასტიან ფეტელი, ჯენსონ ბატონი** და **დევიდ კულტჰარდი**. სტარტზე უნდა გასულიყო **მარკ უებერიც**, მაგრამ ავსტრალიელმა ცოტა ხნის ფეხი მოიტეხა.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ჩემპიონთა რბოლის ტრადიციული მონაწილეა. შარშან შუმი თანამემამულე სებასტიან ფეტელთან ერთად ასპარეზობდა და ამ დუეტმა “ერთა თასი” (გუნდური ტიტული) მოიგო, თუმცა შუმახერი პირად ჩათვლაში დამარცხდა DTM-ის სერიის ჩემპიონ **მატიას ექსტრიომთან.**

საინტერესო ფაქტია, რომ დღემდე ჩემპიონთა რბოლა ფორმულა 1-ის არც ერთი პილოტს არ მოუგია. გამონაკლისია მხოლოდ **ჰეიკი კოვალაინენი**, რომელმაც 2004 წელს “სენ დენიზე” იმარჯვა, მაგრამ ფინელი მაშინ “ნისანის” მსოფლიოს სერიაში გამოდიოდა. საინტერესოა, დაირღვევა თუ არა წელს ეს უცნაური ტრადიცია?

ავტომრბოლებს ხუთი სხვადასხვა მანქანით მოუწევთ გამოსვლა – (Ford Focus 1998cc, RoC, RX 150, KTM X-Bow, Abarth 500 Assetto Corse). ჩემპიონთა რბოლის მონაწილეთა სია ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | მიხაელ შუმახერი | სებასტიან ფეტელი |
| ბრიტანეთი (Autosport) | ჯენსონ ბატონი | ენდი პრიოლი |
| ავსტრალია | ტროი ბეილისი | უცნობია |
| საფრანგეთი | ივან მიულერი | სებასტიან ლოები |
| სკანდინავია | ტომ კრისტენსენი | მატიას ექსტრიომი |
| აშშ | კარლ ედვარდსი | უცნობია |
| ბრიტანეთი (F1 Racing) | დევიდ კულტჰარდი | უცნობია |

როგორც ხედავთ, ძალიან საინტერესო შემადგენლობაა შეკრებილი. მაგალითად, **ტიმ კრისტენსენი** ლე მანის 24-საათიანი რბოლის გამარჯვებულია, NASCAR-ის სერიის ვარსკვლავია **კარლ ედვარდსი...**

მიხაელ შუმახერი მოუთმენლად ელის ჩემპიონთა რბოლის დაწყებას და აცხადებს, რომ სიამოვნებს ასეთ კომპანიაში დროის გატარება.

*“საინტერესოა, როცა სხვა სარბოლო სერიების პილოტებთან გიწევს შეხვედრა... ჩვეულებრივ, ამის შესაძლებობა თითქმის არ არსებობს, რადგან ყველანი ძალიან დაკავებულები ვართ. აქ კი მხიარული ატმოსფეროა, შეგიძლია ყველასთან მშვიდი ურთიერთობა დაამყარო, არ იგრძნობა კონკურენცია... ამიტომაც მიყვარს ეს ტურნირი. ჩემს მომავალ მეტოქეებს უდიდეს პატივს ვცემ. ისინი თავიანთი საქმის ოსტატები არიან და სპორტი ძალიან უყვართ.*

*ჩემპიონთა რბოლა უცნაური შეჯიბრია, რადგან ყველაფერი სტადიონზე აგებულ ძალიან ვიწრო ტრასაზე ხდება. გასაოცარიც კია, საერთოდ როგორ შეძლეს ორგანიზატორებმა ასეთ პატარა ტერიტორიაზე მსგავსი ტრასის აგება”,* - ამბობს ლეგენდარული გერმანელი.

როგორც ორგანიზატორები იუწყებიან, ყველა ბილეთი გაყიდულია და კვირას “უემბლიზე” 90 ათას მაყურებელს ელიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-მილტონი | 2:4 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერფილდი-მაკლსფილდი | 2:4 |
| ლინკოლნი-აკრინგტონი | 5:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ალბინოლეფე-ფროსინონე | 2:2 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-ბორუსია (მ) | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აინტრახტი-სტ. პაული | 1:0 |
| კობლენცი-ინგოლშტადტი | 0:1 |
| ოსნაბრიუკი-დუისბურგი | 1:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-ბაიერნი A | 2:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| დიუნკერკი-რეიმსი | 2:1 |
| რომორანტენი-ანჟე | 1:1, პენ. 9:8 |
| ტრუა-ბოვე | 3:1 |
| სტრასბური-სედანი | 2:4 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი-ბრედა | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდორნი-ჰელმონდი | 1:0 |
| კამბური-ვეენდამი | 2:2 |
| ემენი-ფორტუნა | 1:2 |
| ეინდჰოვენი A-დორდრეჰტი | 2:1 |
| იგლზი-ვენლო | 1:0 |
| მაასტრიხტი-ცვოლე | 4:1 |
| როსენდალი-ომნივორლდი | 1:1 |
| ვაალვიკი-დენ ბოში | 1:1 |
| ტელსტარი-ექსელსიორი | 1:1 |
| ტოპ ოსი-ჰაარლემი | 1:0 |
| **ბელგია** | |
| მეხელენი-ბეერსხოტი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| გენჩლერი-გალათასარაი | 1:3 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ტნს | 1:0 |
| ნითი-ჰავერფორდვესტი | 1:1 |
| რილი-ნიუ | 3:4 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ნ)-ბნეი შაჰნინი | 1:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| პადერბორნი-ბრემერჰავენი | 77:68 |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-ვილერბანი | 70:64 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-სპარტაკი | 2:2 |
| სიბირი-ატლანტი | 4:1 |
| ტრაქტორი-მვდ | 2:6 |
| ხიმიკი-ლოკომოტივი | 1:2 |
| ვიტიაზი-ს. იულიაევი | 3:4 |
| ცსკა-მეტალურგი (მ) | 5:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ოლიმპია | 5:0 |
| ალბა-ლინცი | 3:3 |
| ვენა-ვილახი | 7:3 |
| გრაცი-ინსბრუკი | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კერპეტი | 1:3 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-დუისბურგი | 7:2 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 1:1 |
| ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 5:2 |
| ჰამბურგი-შტრაუბინგი | 0:4 |
| იზერლონი-აისბარენი | 2:3 |
| კასელი-მანჰაიმი | 0:3 |
| კიოლნი-ჰანოვერი | 2:4 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ჰერნინგი | 2:0 |
| ოდენსე-ნორდსილანდი | 3:2 |
| ტოტემპო-ესბერგი | 8:2 |
| ფრედერიკსჰავნი-ოლბორგი | 1:6 |
| ჰერლევი-სენდერიისკი | 4:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-მარტინი | 2:2 |
| მიკულაში-ტრენჩინი | 3:4 |
| სკალიცა-კეჟმაროკი | 3:0 |
| ჟილინა-კოშიცე | 5:5 |
| ზვოლენი-ნიტრა | 2:1 |
| პოპრადი-სლოვანი | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-სლავია | 6:3 |
| კლადნო-პარდბიცე | 4:4 |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 5:4 |
| ზნოიმო-ზლინი | 4:3 |
| სპარტა-ტრშინეცი | 4:4 |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 4:3 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ციურიხი | 0:5 |
| ბილი-კლოტენი | 0:2 |
| ფრიბურგი-ცუგი | 6:0 |
| ლუგანო-ბერნი | 4:3 |
| რაპერსვილი-დავოსი | 3:4 |
| ლანგნაუ-სერვეტი | 0:2 |

## TV სპორტი

### 13 დეკემბერი. შაბათი

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
14:00 იმედის ფსონი.
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ოლიმპი-დინამო (LIVE).
16:15 რაგბი. საქართველოს თასი. ფინალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:20 საფეხბურთო კლუბი.
08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
08:40 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/4 ფინალი. პაჩუკა (მექსიკა)-ალ აჰლი (ეგვიპტე). ტოკიო. იაპონია (LIVE).
10:40 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბორუსია (მ).
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ბრედა.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-არსენალი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
23:40 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ალკმაარი (LIVE).
01:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.
03:50 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
05:40 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:15 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
09:20 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ნანსი-პროკომი.
11:10 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-აილენდერსი.
12:55 სპორტკლუბი.
14:00 სპორტის სამყარო. ტელეჟურნალი.
14:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბორუსია (მ).
16:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ნანსი-პროკომი.
18:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო - სერია A-ს მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ტორინო (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).
03:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-არსენალი.
05:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
06:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტ იუნ.

**EUROSPORT**

11:30 ფიგურული სრიალი. ფინალური გრანპრი. სეული. ს. კორეა (LIVE).
13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. I ცდა. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
14:30 მულტისპორტი.
14:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. I ცდა. ესპანეთი (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. II ცდა. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. HS140. პრაჯელატო. იტალია.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. პრაჯელატო. იტალია (LIVE).
20:45 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). III დღე. ხორვატია (LIVE).
21:30 ფიგურული სრიალი. ფინალური გრანპრი. სეული. ს. კორეა.
23:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I დღე. ტელფორდი (LIVE).
02:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. შვედეთი.
03:15 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. შვედეთი.
04:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. HS140. პრაჯელატო. იტალია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
13:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
13:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
14:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-ფინეთი. ჩეხეთი.
17:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 კმ. კაცები. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
18:30 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იტალია. ჩეხეთი.
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. X ტური (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. აშშ.
22:15 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
00:15 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ჩეხეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

### 14 დეკემბერი. კვირა

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
14:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია (LIVE).
16:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სსსუ-ავიამშენი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლე მანი-ბორდო.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 საფეხბურთო კლუბი.
14:25 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/4 ფინალი. ადელაიდა (ავსტრალია)-გამბა ოსაკა (იაპონია). ტოკიო. იაპონია (LIVE).
16:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ნიუკასლი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი (LIVE).
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბეტისი
03:55 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-შალკე.
05:45 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დეტროიტი.
09:50 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ტორინო.
12:00 ფეხბურთელთა ცხოვრება.
12:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლეჩე.
14:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:40 სპორტის სამყარო.
15:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი.
16:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო - სერია A-ს მიმოხილვა.
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ლაციო (LIVE).
19:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-შალკე (LIVE).
21:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ნანსი-პროკომი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
03:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
03:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი.
05:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
07:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. HS140. პრაჯელატო. იტალია.
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. ქალები. I ცდა. ესპანეთი (LIVE).
13:15 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
14:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. პრაჯელატო. იტალია (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
18:45 ავტორბოლა. ჩემპიონთა რბოლა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
20:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). IV დღე. ხორვატია (LIVE).
21:30 ავტორბოლა. ჩემპიონთა რბოლა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
23:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II დღე. ტელფორდი (LIVE).
02:00 ზამთრის სახეობები. უექენდის მიმოხილვა.
02:30 ავტომოტოსპორტი. სეზონის პრიზების გადაცემის ყოველწლიური ცერემონია. მონაკო.
03:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ჩეხეთი.
14:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. იტალია (LIVE).
17:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი.
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
18:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები, ქალები. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
19:30 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ჩეხეთი.
20:15 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. X ტური.
00:30 ავტორბოლა. ჩემპიონთა რბოლა. ლონდონი. ინგლისი.
02:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. იტალია (LIVE).
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

დუეინ უეიდი

# MVP-ის ტიტული არ მაინტერესებს



**ტელეარხ ESPN-ის ვებგვერდზე "მაიამი ჰიტის" ლიდერის დუეინ უეიდის ინტერვიუს გადავაწყდით, სადაც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი და მთავარი ბომბარდირი ბოლო ორი წლის განავლობაში თავის თავგადასავლებზე ლაპარაკობს...**

**- დუეინ, დღეს თქვენ თითო მატჩში 29 ქულაზე მეტს აგროვებთ, "ჰიტი" სულ უფრო ხშირად მიგყავთ გამარჯვებამდე და რაც მთავარია, ჩვეულ ბრწყინვალე ფორმას უბრუნდებით. რა შეიცვალა? რის ხარჯზე შეძელით ამის გაკეთება?**

- ჯერ ერთი, როგორც იქნა გამოვჯანმრთელდი. მეორე – კოლოსალურად მოტივირებული ვარ. წინა ორმა სეზონმა ჩვენი გუნდისთვის კატასტროფულად ჩაიარა. არადა, მანამდე ჩემპიონები ვიყავით, მე კი კარიერის მწვერვალზე ვიმყოფებოდი, მაგრამ უცებ მკვეთრად დავეშვით ფსკერზე. ეს ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო. გარდა ყველაფრისა, ამ ტრავმების გადამკიდე კალათბურთის თამაში და პარტნიორები მომენატრა. თამაშის სურვილის ფაქტორიც თავის როლს თამაშობს.

**- გასულ სეზონში 31 შეხვედრა გამოტოვეთ, ხოლო იმ 51 მატჩში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეთ, 41-ჯერ დამარცხებულმა დატოვეთ მოედანი. როგორ შეაფასებ განვლილ ჩემპიონატს?**

- ეს ჩემი კარიერის ის ნაწილია, რომელიც მინდა სამუდამოდ ამოვშალო მეხსიერებიდან. მაგრამ რადგან ერთი წლით უკან დაბრუნებას მთხოვთ, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს საშინელება იყო. სპორტში არ შეიძლება ამაზე უარესი რამ მოხდეს. არაფერია იმაზე მტკივნეული, როცა მოედანზე გასვლისას წინასწარ იცი, რომ განწირული ხარ.

**- თქვენ ამ ჩავარდნას საკუთარ თავს უკავშირებდით?! გაიხსენეთ, რომ გარშემო ყველა სწორედ "მაიამის" აგდებდა სანაგვეზე, თქვენს შესახებ კი სიტყვა არავის დაუძრავს.**

- რა თქმა უნდა, პირადად ვიყავი პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე. მე ხომ კლუბის ნაწილი ვარ. სხვებთან ერთად, "მაიამი" ჩემი გუნდიცაა, რომელთან ერთადაც ჩემპიონობა მოვიგე. და თუ "მაიამიზე" ლაპარაკობენ, მაგრამ ჩემს გვარს საერთოდ არ ასახელებენ – ნებისმიერ შემთხვევაში ეს ყველაფერი მეც მეხება. თუ ჩემს პარტნიორებზე რაიმე ცუდს ამბობენ – ე. ი. მეც მაკრიტიკებენ. და ეს სწორი მიდგომაა.

**- რაღაც არ მახსენდება, რომ თქვენ ვინმეს მკაცრად გაეკრიტიკებინეთ...**

- ამ შემთხვევაში მახსენდება, როცა ამბობდნენ, რომ "ყველა ვარსკვლავის უიქენდზე" არაფერი მესაქმებოდა. შემიძლია ამ ადამიანების გვარების ჩამოთვლა, მაგრამ ახლა არ ღირს ამის გაკეთება. მიყვებოდნენ იმის შესახებ, რომ მე საერთოდ არ ვარ კალათბურთელი. მოკლედ, მეც ბევრი მხვდებოდა...

**- ეს ყველაფერი სისულელეა. სამაგიეროდ მე მახსოვს, რამხელა მითქმამოთქმა გამოიწვია თქვენი ტანსაცმლისა და ქუდის უცნაურმა არჩევანმა, რომელიც საჩემპიონო ბეჭდების გადაცემისას გეხურათ... ამბობდნენ, რომ უეიდის ადგილი ჰოლივუდშია. ამაზე რას იტყვით?**

- მე სამხრეთი სანაპიროს გუნდს წარმოვადგენდი და შესაბამისად, ამ იმიჯს უნდა მოვრგებოდი. სხვა შემთხვევაში კი... ვაღიარებ, რომ მიყვარს ლამაზად ჩაცმა და ამას ვერ გავექცევი.

**- 2006 წელს "მაიამის" ჩემპიონობა ზღაპარს ჰგავდა. როგორ ცხოვრობდით საჩემპიონო ბეჭდის მოპოვების შემდეგ?**

- მე და ჩემი თანაგუნდელები ცხოვრებით ვტკბებოდით. მაშინ ხომ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ, როგორც იქნა ბეჭდები მოიგეს გერი პეიტონმა, ანტუან უოკერმა, ჯეისონ უილიამსმა... ჩემპიონები გახდნენ ჯეიმს პოუსი და ადონის ჰასლემი, ჩვენმა ბებრებმა – ზომ და შაკმაც მიაღწიეს თავისას... ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენებისგან დიდ სიამოვნებას ვიღებდით.

**- მაგრამ შარშანდელ სეზონში ყველაფერი თავდაყირა დადგა – შაკილ ო'ნილი "ფინიქსში" გადავიდა. რა რეაქცია გქონდათ ამ ტრეიდზე?**

- ამის დაჯერება არ მინდოდა. უბრალოდ შოკში ვიყავი. ერთად შესანიშნავი დრო გვქონდა გატარებული... ის ჩემთვის ძმასავით იყო, ამავდროულად, მფარველი მამისა და ერთგვარად ჩემი პირადი მცველის ფუნქციებსაც ასრულებდა. და უცებ – ეს ყველაფერი გაქრა. მომენტალურად... ძალიან რთული იყო...

**- ახლა თქვენ შორის რა დამოკიდებულებაა?**

- ისეთი, როგორიც უნდა იყოს. პატივს ვცემთ ერთმანეთს. ურთიერთობა გვაქვს, ოღონდ არც ისე ხშირი. მას თავისი საქმეები აქვს "ფინიქსში", სადაც ისევ გეგმავს ჩემპიონობის მოგებას. მე კი ჩემი საქმეები მყოფნის "მაიამიში", სადაც დიდი გარდაქმნები მიმდინარეობს.

**- მოდით, ზაფხული გავიხსენოთ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მხოლოდ ოქროს მედლისთვის არ მიდიოდით. მომეჩვენა, რომ რაღაც განსაკუთრებული მისია გქონდათ. ეს მართალია?**

- დიახ. ძალიან ვიყავი მოტივირებული. უნდა დამემტკიცებინა, რომ ვიმსახურებდი ოლიმპიურ გუნდში მოხვედრას. იმაში მადანაშაულებდნენ, რომ "მაიამის" სეზონი ჩავუგდე და ნახევარი ჩემპიონატი უსაქმოდ გავატარე. შესაბამისად, საბოლოო განაცხადში მოხვედრის ღირსი არ ვიყავი, ამიტომაც უნდა მეჩვენებინა ყველასთვის, რომ ძველებურად სასარგებლო ვიყავი.

**- თქვენ ლებრონ ჯეიმსის, კობი ბრაიანტის, კარმელო ენტონის გვერდით იდექით. ხომ არ იგრძენით, რომ საუკეთესოთა შორის ჩაიკარგეთ?**

- კი არ ვგრძნობდი, სინამდვილეში ასე იყო.

**- და ეს სამართლიანია?**

- ისეთივე სამართლიანი, როგორიც კრის პოლის ერთი საფეხურით ზემოთ ასვლა. დავიმსახურე საუკეთესოებიდან გავარდნა. ჩემი გუნდი საშინლად თამაშობდა, მე ტრავმებით ვიტანჯებოდი და კარგად ვერ ვთამაშობდი. ე. ი. მათ შორის ჩემი ადგილი არ იყო.

**- ყველაზე ხშირად რა მოსაზრებებს ისმენდით: საუბრებს მუდმივ ტრავმებზე თუ იმას, რომ არანაირ სუპერვარსკვლავს არ წარმოადგენთ და სულაც არ ხართ ისეთი კარგი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს?!**

- ორივე მოსაზრება მოვისმინე. მთავარი არგუმენტი ერთი უბრალო ფაქტი იყო - თუ ადამიანი NBA-ის ვარსკვლავია, მისმა გუნდმა 51 შეხვედრიდან 41 არ უნდა წააგოს.

**- ახლა როგორ არის საქმე? პეკინი უკან დარჩა, წლევანდელ რეგულარულში 21 მატჩის ჩატარება მოასწარით, მაგრამ კვლავინდებურად მოწადინებული ხართ რაღაცის დასამტკიცებლად...**

- მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც უნდა გავაკეთო. თუ მინდა, რომ საუკეთესო კალათბურთელად მივიჩნეოდე, საკუთარი გუნდი გამარჯვებებამდე უნდა მივიყვანო. და თუ ამას ვერ ვაკეთებ, როგორც ეს წინა ორ სეზონში იყო, კრინტიც კი არ უნდა დავძრა საკუთარ ამბიციებზე და ვარსკვლავის სტატუსზე. მაშინ, 2006 წელს პატივისცემა დავიმსახურე. ახლა ეს თამასა უნდა შევინარჩუნო და უფრო მაღლა ავწიო ის.

**- გულახდილად მითხარით, რა ადგილი გიკავიათ დღეს ლიგაში?**

- საუკეთესო სამეულში არ შევდივარ, მაგრამ ვხვდები, რომ ელიტური ჯგუფის წევრი ვარ.

**- მალე დადგება 2010 წელი, როცა თქვენ და ლებრონი თავისუფალი აგენტები გახდებით და სადაც მოგესურვებათ, იქ გაემგზავრებით. ჯეიმსთან მიმართებაში სულ უფრო ხშირად ახსენებენ "ნიუ იორკს". თქვენს მომავალზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- როცა 2010 წელი მოვა, ყველა ჩვენგანს ექნება რაღაცის მიღწევისა და საკუთარი საქმის კეთების შანსი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლებრონს ან დუეინს სადღაც უშვებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რაღაც არჩევანი გაგვაჩნია.

**- მოდით, მეორე მხრიდან შევხედოთ ამ საკითხს. წარმოვიდგინოთ, რომ მოთამაშეები – იგივე ბიზნესმენები არიან. და ერთ-ერთი მათგანი მოგიახლოვდათ და გითხრათ: "მოდი, ვითანამშრომლოთ!" როგორი იქნება თქვენი რეაქცია? (ჟურნალისტს მხედველობაში აქვს 2010 წელს უეიდის მონაწილეობით სუპერდუეტის ან სუპერტრიოს შექმნის შესაძლებლობა).**

- სიმართლე გითხრათ, დღეს ეს საკითხი საერთოდ არ მაღელვებს. იმიტომ, რომ ჩემთან არავინ მოვა და მსგავსს არაფერს მეტყვის. აი, 2010 წელს კი ვნახოთ, რა მოხდება. დღეს მე "მაიამიში" მაქვს საქმეები და არც ლებრონი და არც ამარე ჩემ გვერდით არ ითამაშებენ – ისინი ჩემ წინააღმდეგ იმოქმედებენ. დღეს ვერ ვხედავ მომავალზე ლაპარაკის აზრზს. "ჰიტში" თამაში ყველანაირად მაკმაყოფილებს.

**- თქვენი მომავალი კარიერისთვის რამდენად მნიშვნელოვანია გამარჯვების მოპოვება?**

- ეს ყველაზე მთავარი ფაქტორია. ჩემთვის არანაირ ინტერესს არ წარმოადგენს ყველაზე შედეგიანი მოთამაშის სტატუსი, ან MVP-ის ტიტული. მხოლოდ მოგება მინდა.

**- არ გაინტერესებთ MVP-ის ტიტული?**

- დიახ.

**- რას ამბობთ! თქვენ ხომ ამ პრიზის მიღების ათ პრეტენდენტს შორის იმყოფებით?!**

- ეს არაფერში მჭირდება. თუ კარიერის ბოლომდე MVP-ის ტიტულს ვერ მოვიპოვებ, მაგრამ სამ საჩემპიონო ბეჭედს მივიღებ, სავსებით მისაღები ვარიანტი იქნება. მე მაქვს "ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშის" პრიზი, მაგრამ ის ჩემთვის არაფერს ნიშნავს.

**- როგორ წარმოგიდგენიათ იმ გუნდის პერსპექტივა, რომლის სასტარტოშიც ორი დებიუტანტი – მაიკლ ბიზლი და მარიო ჩალმერსი დარბის. ისინი ცუდი ბიჭები არ არიან და დიდი მომავალიც აქვთ. მაგრამ ხედავთ თუ არა იმ ფუნდამენტს, რომლითაც "ჰიტმა" მწვერვალს უნდა მიაღწიოს? გაქვთ თუ არა პლეიოფში გასვლისა და იქ ჩემპიონობის მოპოვების შანსი?**

- პლეიოფში გასვლის შესაძლებლობა უკვე გაგვაჩნია. მთავარი ისაა, რომ ჩვენ იმაზე უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით წარმოუდგენია ყველას. დაცვაში ძალიან გავაუმჯობესეთ თამაში, რადგან სწორედ კარგი დაცვა იგებს ტიტულს. უძლიერესი გუნდი არ ვართ, გვაკლია გამოცდილება, ძალა. "ლეიკერსს", "ბოსტონს" და "კლივლენდს" ვერ შევედრებით, მაგრამ პლეიოფში გასვლა შეგვიძლია და ჩვენ გვჯერა ამის. ე. ი. ამას მივაღწევთ კიდეც...

გია თვალაბეიშვილი



გამოვიდა დეკემბრის ნომერი